

მამული



კრებული მშობლიური ისტორიისა, მწერლობისა და კულტურისა

აგვისტო, 1951 წ.

BUENOS AIRES, AGOSTO, 1951. Nr. 3

რვეული მესამე

საბჭოთა კავშირისთვის

TARIFA REDUCIDA
Concesión Nr. 4564
Sucursal 31. (B)

MAMULI - "La Patria"
Revista GEORGIANA de HISTORIA y LITERATURA
Director Dr. VICTOR NOSADSE
Calle Blanco Encalada 5196, BUENOS AIRES.

Reg. Nac. de la Propiedad
Intelectual Nr. 352438



არგენტინის ხალხი საპრეზიდენტო არჩევნების წინაშეა.

22 აგვისტოს ბუენოს აირესში მოხდა დიდი სახალხო ყრილობა, რომელმაც გენერალი ხუან პერონი პრეზიდენტის კანდიდატად გამოაცხადა.

აქ არის ყრილობის ერთი სურათი.

ლაპარაკობს პრეზიდენტი გენ. ხუან პერონი.

F 14847

El General Juan D. Perón SERA REELECTO



El Credo Peronista que pregona Igualdad, Justicia y Patriotismo, fué comprendido en toda su magnitud por las masas que forman la ciudadanía argentina, no podrá ser sustituido ya por las promesas de los políticos profesionales que en otras épocas mantuvieron subyugado al pueblo con falsas promesas, para ponerlo al servicio de sus bastardas ambiciones. El entusiasmo partidario lo está probando en todo el país y dice con la voz de los hechos que terminó para siempre el reinado del fraude y la mentira.

Al asumir el mando el 4 de Junio de 1946, el Gral. Perón no prometió nada al pueblo, pero éste confiaba en su profundo patriotismo, y las ilusiones que se forjó al ungirlo Presidente de la República por una mayoría de votos abrumadora, se han visto colmadas con creces en el día de hoy, en que la Argentina, libre de ataduras coloniales, puede hablar en un idioma viril, ofracer el fruto del trabajo de sus habitantes al mejor comprador y sentarse en mesas internacionales dictando cátedra de equi-

dad, justicialismo y sentido común, en esta hora de amargos celos que vive la humanidad.

Quienes se obstinan en considerar que no tenemos — mayoría de edad para ser económicamente libres y prosiguen en sus funestos presagios de hace cinco años, sin comprender el vuelco fundamental experimentado por la Nación, que hoy marcha por su verdadero cauce, se olvidan de las penurias pasadas por el pueblo cuando ellos gobernaban asentando su poder en el fraude electoral y el engaño sistemático.

Hoy el país tiene sus ferrocarriles nacionalizados, su flota mercante propia, líneas aéreas internacionales de jerarquía, sólida economía financiera, política crediticia de altísimos niveles al servicio exclusivo del pueblo, y lo que es más importante, el ciudadano argentino ha sido dignificado cívicamente y el humanismo ha reemplazado a la explotación del hombre por el hombre.

Por estas innumerables razones, que son solo una parte de lo realiza-

do por este hombre providencial para la Nación, todos los argentinos, que sienten sincero y hondo amor a la Patria y quieren que ella marche activa y digna hacia su luminoso destino, se han agrupado en torno a la figura ya histórica de Perón, para llevarlo nuevamente en las próximas elecciones a la Presidencia de la Nación, por un nuevo período constitucional. Millones de ciudadanos argentinos llevarán como lema a las urnas libres ya del fraude denigrante y vergonzoso, el "Perón Cumple", que es la gran verdad argentina de la hora, propósitos a los que se unen los georgianos que residen en la REPÚBLICA ARGENTINA unirán su voz a los que en las próximas elecciones presidenciales, consagrarán por un nuevo período al actual conductor, General Perón y aspiran a la realidad de ver junto a él a su dignísima esposa Doña Eva Perón, cuya obra social, plasmada de esperanza y alivio hacia los humildes, ha hecho nacer la gratitud en el corazón de todos los que tienen la suerte de habitar el suelo argentino.

29 de Agosto de 1924 en Georgia

El pueblo georgiano desde miles de años ha salvaguardado la cultura cristiana — occidental en la encrucijada de Europa y Asia, cosechando muchas amarguras en la misma.

No obstante los graves golpes que su destino le ha deparado durante su larga vida el reino Georgiano mantuvo su independencia hasta el siglo XIX.

Solamente en 1801 fué lograda por los rusos la anexión rompiendo un tratado de defensa mutua y traicionando a este pueblo.

Después de desterrar a la familia georgiana de Bragationi que había reinado durante doce siglos, su pueblo fué sistemáticamente despojado de su fuerza nacional lo que ha producido como resultado una constante insurrección. Solamente después de cien años pudo ese pueblo recobrar su independencia.

Justamente la Argentina fué la primera en reconocer en el año 1918 a esta nueva República siguiéndole después todos los otros Estados que pertenecían a la Liga de las Naciones.

Después de tres años la Rusia (bolchevique) invadió de nuevo a

este país pues no pudo conformarse con la pérdida de estos territorios tan ricos y tan estratégicamente situados. Sin previa declaración de guerra invadió a Georgia obligándola a participar de su propia ideología de comunismo.

La respuesta de Georgia fueron nuevas insurrecciones y en Agosto de 1924 sublevaron a toda la Nación pero fué no obstante un gran éxito inicial fulminado con ferocidad inaudita, debido a la enorme superioridad del enemigo.

Los rusos tuvieron una victoria a lo Pirro. No obstante el permanente terror que implantaron después de la derrota, no consiguieron quebrar en el pueblo georgiano su voluntad de perdurar y sus deseos de libertad.

Todos los años festejan los georgianos como Día Sagrado el del levantamiento nacional.

Los emigrantes Georgianos, que desde la pérdida invasión rusa en 1921, se han dispersado por Europa y América y prosiguen su lucha contra los opresores, han honrado, como todos los años, a sus heroes de la insurrección, de Agosto de 1924.


Todos los Georgianos, en cualquier parte del mundo donde se encuentren, repiten en la fecha el solemne juramento de no doblegarse jamás ante la tiranía comunista y no olvidan la sangrienta venganza de los rojos.

Conservan el recuerdo de los caídos esos días, en aras de la libertad de su Patria, y renuevan el solemne juramento de seguir luchando siempre hasta recobrar la soberanía que les fuera arrebatada, pues así lo han hecho durante tres mil años, para poder subsistir y resistir las ambiciones de otros pueblos.

Esos días de Agosto de 1924 permanecerán siempre como un símbolo de la resistencia Georgiana defensora de la cultura Europea, como una fortaleza a sus puertas, contra las hordas asiáticas.

Al mismo tiempo, los Georgianos que viven en la Argentina desean expresar su agradecimiento a este país, ya que cuando Georgia se declaró como nación independiente en 1918, la Argentina fué, en un cabal y heroico gesto, la primera en reconocer, lo que nunca podrá ser olvidado por los Georgianos.

Dr. A. HATCHIDZE



რაიო - გადაცემისა — „ამერიკის ხმა“ — ქართული განყოფილების დაარსების გამორეკონსტრუქციონირება

ბედნიერი ვარ, მაქვს შემთხვევა რამოდენიმე სიტყვით ქართველ ხალხს მივმართო.

მე ბევრი გამიგონია თქვენს ზენიერ ქვეყანაზე, მის უმწვერვალესი მთებისა, მის მდიდარ ვაკეთა, განსაცვიფრებელ ისტორიულ ნაშთთა, წარსულისა და სულიერი სიძლიერის შესახებ.

მცირეა იმ ამერიკელთა რიცხვი, რომელსაც ბედნიერება ჰქონია თვით საქართველო ენახა, მაგრამ იგი ჩვენთვის უცნობი არ არის.

საქართველოს სახელი იწვევს ჩვენში მოგონებას არგონავტთა მოგზაურობაზე, რომელნიც იქ ოქროს ვერძს ეძიებდნენ; იგი მოგვავიწყებს პრომეთეოსს; რომელმან ზეცას წმიდა ცეცხლი მოსტაცა და ადამიანს თავისუფლებისათვის ბრძოლის იარაღად გადასცა. მსოფლიოს კარგად ახსოვს ქართველი ერის შეუწყვეტელი ბრძოლა, მისი სახელოვანი ისტორიის განმავლობაში, ძველი კულტურის და საქრისტიანო ცივილიზაციის დასაცავად.

საქართველო ხშირად ყოფილა დაპყრობილი, — მაგრამ არასოდეს დამორჩილებული: ქართველმა ერმა დღემდე შეინარჩუნა თავისი ვინაობა და მას არასოდეს არ დაუკარგავს ნებისყოფა ბრძოლაში ადამიანურ უფლებათა დაცვისათვის. ამიტომაც ჩვენში აღფრთოვანებას იწვევს ქართველი ხალხის ურყევი სულიერი სიმტკიცე. ამერიკელ ხალხში დაუთრგუნველის რწმენა ყველა-

სათვის თავისუფლებისა და სამართლიანობის შესახებ. ჩვენი შვილები ამ პრინციპის დასაცავად იბრძვიან...

„ამერიკის ხმა“ დღეიდან თქვენ, ქართველებსა უშუალებას გაძლევს საკუთარ ენაზე ამცნოთ ქართველ ხალხს ჭეშმარიტება, რომელსაც მას კომუნისტები უმაღავენ.

თქვენ მას ეტყვი, რაც მსოფლიოში ხდება; ამცნობთ მას მილიტარისტული და თავდასხმითი მოქმედებათა შესახებ, რომელთა პასუხისმგებელი მხოლოდ კომუნისტების მეთაურნი არიან.

ამ უკანასკნელთა შეთქმულება და მუქარა თავისუფალ ადამიანს აიძულებს დესპოტიზმის გაღრმავებას და გავრცელებას შეებრძოლოს.

ამერიკელი ხალხის და მისი მთავრობის საბოლოო მიზანია — საერთაშორისო მშვიდობიანობა; როცა აღარ იქნება არც ძლიერი და არც სუსტი, არც ბატონი და არც ყმა; მხოლოდ ასეთი მდგომარეობა შესაძლებელს გახდის იყოს თავისუფალი და ბედნიერი შრომა, შიშისა და სიღატაკის გარეშე და უფლებას იძლევა თვითუღმმა ის ღმერთი იწამოს, რომელიც მას სურს.

ამგვარია ჩვენი წარმოდგენა მომავალზე; მოვიხმობთ ეს გაიზიაროთ.

ჩვენი ხალხის სახელით მოვმართავთ, ქართველებო მეგობრული და გულწრფელი სალაშქროთ.

საქართველო და რუსეთი

(წერილი მეოთხე)

1920 წლის ნოემბერში ბოლშევიკური რუსეთი და ქემალისტური ძალები სომხეთის რესპუბლიკას თავს დაესხნენ და იგი შუაში გამოიქყლიტეს. 29 ნოემბერს 1920 წ. სომხეთში ბოლშევიკებმა საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს და სომხეთს საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადეს.

1920 წლის დასაჯალს საქართველოს გარშემორტყმა და რკალში მომწყვდევა უკვე დასრულებული იყო. საქართველოს ყოველი მხრიდან ერთკმოდნენ მტრული მეზობლები და მთელი ქვეყანა შემოქალაქული იყო ბოლშევიკური რუსეთით ბოლშევიკურ აზერბაიჯანით; ბოლშევიკური სომხეთით და ბოლშევიკთა მეგობარის, ქემალისტური თურქეთით.

1920 წლის ნოემბრის 28-ს კომუნისტური პარტიის მდივანთა ყრილობაზე ტროცკიმ განაცხადა — „სომხეთის გასაბჭოების შემდეგ ჯერი საქართველოზე მიდგა; სულ ცო-

ტა დაჭიმვა გვეჭირდება, რათა ბათუმი ბაქოს შევეუერთოდ“-ო. ჰეკკერს, მეთორმეტე რუსული არმიის სარდალს მოსკოვმა მოხსენება მოსთხოვა, თუ როგორ შეიძლებოდა საქართველოს დაკავება. ჰეკკერი მოსკოვს მოახსენებდა; ამისათვის საჭიროა თურქეთის გულის მოგება, რათა მან ხელი არ შეგვიშალოსო. მოსკოვში თურქებთან მოლაპარაკება დაიწყო, რომელიც 16 მარტის ხელშეკრულებით დასრულდა და ამავე დროს რუსულმა ჯარებმა საქართველოს ყოველი მხრიდან შეუტეეს.

1921 წელს 11 თებერვალს საბჭოთა სომხეთის მხრიდან წითელი ჯარები საქართველოს საზღვრებში შეიჭრნენ. როგორც კი წითელმა ჯარებმა მოულოდნელად შელავერი დაიპყრეს, იქ გამოცხადებულ იქმნა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა“, რომელშიც შედიოდნენ წევრებად, ქართველი ბოლშევიკები — ფილიპე მახარაძე, ბუღუ მდივანი, მამია ორახელაშვილი, და მათ გარდა სომ-

ხები, თათრები და სხვანი. ბოლშევიკებმა აქ განიმეორეს ის, რაც ერთჯერ უკვე გააკეთეს სომხეთში, მაგრამ აქ, ამ შემთხვევაში, ამ შეთითხნილ, სრულიად უკანონო მთავრობას ხელისუფლება არავინ ჩააბარა, და ომი დაიწყო.

საქართველოს მთავრობამ დაუყოლებლივ მიმართა რუსეთის წარმომადგენელს თბილისში, შეიმახს — თურატომ ესხმის საქართველოს წითელი არმია? შეიმახს მთავრობას განუცხადა, რუსეთმა ამის შესახებ არაფერი იცის, სამხედრო მოქმედება საბჭოთა სომხეთმა დაიწყო.

იმავე წუთში, თბილისში მყოფმა საბჭოთა სომხეთის წარმომადგენელმა, შავერდოვმა საქართველოს მთავრობას განუცხადა — სომხეთი აქ არაფერ შუაში არ არის, იგი ომს არ აწარმოებს და საბჭოთა სომხეთი მზა არის, ყველა სადავო საკითხი მშვიდობიანი მოლაპარაკებით გადასწყვიტოსო.

მაგრამ 15 თებერვალს კი, ეხლა აზერბაიჯანის მხრიდან, წითელმა

ჯარებმა საქართველოს შეუტყეს.

16 თებერვალს (1921 წ.) საქართველოს მთავრობის თავჯდომარე, ნოე ჟორდანიას პირდაპირი მავთულით მიმართავს მოსკოვს მოსალაპარაკებლად, მაგრამ მოსკოვში მას არ უპასუხებენ.

მაშინ იგი მიმართავს საქართველოს ელჩს მოსკოვში, მაგრამ მას იქ აპარატზე არ ეძახიან.

17 თებერვალს საქართველოს მთავრობა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩიხერინისაგან რადიო - დეპეშას ლებულობს, რომელშიც, თითქო რუსეთი აქ არაფერ შუაშია, ნათქვამია — რუსეთი მზადაა შუაგაცობა გასწიოს საქართველოსა და სომხეთის შორის!

საქართველოს მთავრობამ ჩიხერინს უპასუხა — იგი მზადაა მიიღოს ეს წინადადება, თუ მოსკოვი საქართველოს ტერიტორიიდან თავის ჯარებს გაიყვანს.

ამ დიპლომატიური ამბების დროს საქართველოს მიწაზე სისხლი იღვრებოდა. ქართულმა ჯარებმა თავისი მცირე ძალები მოიკრბეს და მტრის იერიშები მოიგერეს.

1921 წ. 21 თებერვალს საქართველოს მთავრობის თავჯდომარე ნ. ჟორდანიას კვლავ ეკითხება რუსეთის საგარეო კომისარს ჩიხერინს — რა მიზეზია, რუსეთი რომ ომს აწარმოებს პატარა საქართველოს წინააღმდეგ? „რა გნებათ ჩვენგან? წამოადგინეთ მოთხოვნილებანი, რომელთა გულისათვის თქვენ ჩვენს წინააღმდეგ ომი დაიწყეთ. შეიძლება ჩვენ სისხლის დაუღვრელად შევთანხმდეთ“ -ო.

რასაკვირველია, ნ. ჟორდანიას ამ დეპეშაზე პასუხი არავის გაუცია.

22 თებერვალს ნ. ჟორდანიას ეხლა მიმართავს ლენინსა და ტროცკის და სხვებს მათ შეწყვეტილ იქმნას ომი, რომლის დამპყრობითი და თავდამსხმითი ხასიათი ეჭვს გარეშეაო.

ეს მიმართავს უპასუხოდ დარჩა. პასუხი ნამდვილი კი ის იყო, რომ სომხეთ - აზერბაიჯანის მხრიდან ადრევე, შემდეგ დარიალის მხრიდან, მამისონის მხრიდან რაჭაზე, აფხაზეთის მხრიდან საქართველოს მიასკდნენ რუსულ ჯართა ერთეულები — მეთერთმეტე არმია მერვე, მეცხრე და მეთორმეტე არმიის ერთეულები, კავალერია ბუდიონისა და ქლობასი.

17 თებერვალს სოღანლულთან მეტად სისხლიანი ბრძოლა იყო სამი დღის განმავლობაში.

1921 წ. 23 თებერვალს საქართველოს მთავრობა უკვე ქემალისტურ

თურქეთის მთავრობისაგან ულტიმატუმს ლებულობს — ქართულმა ჯარებმა დასცალონ არდაგანი და ართვინი!

საქართველოს თურქეთთანაც ომი არ შეიძლო — მან პროტესტი განაცხადა თურქეთის მთავრობის მოთხოვნის წინააღმდეგ და რათა მდგომარეობა არ გაემწვავებია და ფრენტის შემოკლებას მიზნითაც არდაგან — ართვინიდან თავისი ჯარები გამოიყვანა.

24 თებერვალს წითელი ჯარი მდ. მტკვარზე გადმოვიდა და 24 თებერვალსვე კოჯორზე მწარე ბრძოლათა შემდეგ, ქართული ჯარების მთავარ სარდალმა გიორგი კვინიტაძემ საქართველოს დედაქალაქი დასტოვა და მთავრობაც ბათუმისაკენ გაიხიზნა.

აფხაზეთში წითელი ჯარები სოხუმს უახლოვდებოდნენ მამისონის უღელტეხილი წითლებმა უკვე გადმოლახეს და ქუთაისს დაემუქრნენ. ქართულმა ჯარებმა მცხეთისაკენ დაიხიეს, აქ ფეხი ვერ მოიმარგეს და გორისაკენ გასწიეს; თურქებმა არდაგანი და ართვინი დაიკავეს. გორში მყოფმა ქართულმა ნაწილებმა და იწყეს სურამის უღელტეხილის გამარგება, მაგრამ ველარ შესძლეს, აქედანაც დაიხიეს და მდინარე რიონის პირას, საჯავახოს ზემოდ დაიკავეს პოზიციები.

ამ დროს თურქეთის მთავრობის წარმომადგენელი საქართველოს მთავრობას უცხადებს, რომ ის დაკმაყოფილებულია არდაგანისა და ართვინის დაკავებით, სხვა რამე მოსათხოვნი მას აღარა აქვს და ეხლა მზადაა დაეგნმაროთ და ბოლშევიკური ჯარები ბათუმში არ შევუშვათო. ამიტომ ნება მოგვეცით შევიყვანოთ ჩვენი თურქული ჯარები ბათუმის ოლქში და მერმე თქვენთან ერთად ვბრძოლებთ ბოლშევიკების წინააღმდეგო! გაჭირვებულ და სასოწარკვეთილ საქართველოს მთავრობას ეს განცხადება გულწრფელი და მართალი ეგონა, და ოსმალეთს ნება დართო თავისი სამხედრო ძალები ბათუმში შეეყვანა. მაგრამ შევიდნენ თურქები ბათუმში თუ არა, რამოდენიმე დღის შემდეგ, 16 მარტს, ქალაქში ფურცლები გააკრეს, რომლითაც აცხადებდნენ, რომ ბათუმი და სხვა მისი ტერიტორია თურქეთს ეკუთვნისო!

თურქებმა მოიწადინეს — ბათუმის ციხის ფორტების დაკავებაც და იხლა დაიწყო ბრძოლა თურქების წინააღმდეგაც. ბათუმში მყოფმა ქართულმა ნაწილებმა გაილაშქრეს თურქების წინააღმდეგ და სისხლიანი

ბრძოლით ისინი ქალაქიდან გარეეს. ამ დროს ქართული ჯარი რიონის ხაზზე ქვაბშია მომწყვდილები, აღარავითარი იმედი აღარაა მამისონის გაგრძელებისათვის და არც ვინმეს დახმარებაზე ოცნებაც კი არ შეიძლება!

17 მარტს საქართველოს მთავრობამ გასცა ბრძანება ქართული ჯარის დაშლის შესახებ. დამფუძნებელი კრების უკანასკნელმა სხდომამ საქართველოს მთავრობას დააეალა უცხოეთში გაეგრძელებინა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა და დაიცვა ქართული უფლებანი. 18 მარტს 1921 წ. საქართველოს მთავრობა ევროპაში გაემგზავრა და რამოდენიმე საათის შემდეგ ბოლშევიკური წითელი ჯარები ბათუმში შევიდნენ.

მოსკოვის მთავრობამ განსაკუთრებული დეპეშებით მთელს მსოფლიოს ამცნო — „საქართველოს გლეხები და მუშები აჯანყდნენ ბურჟუაზიული კონტრ - რევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ“-ო! შემდეგ ამას ის ცნობაც დაურთეს, რომ ქართველმა გლეხებმა და მუშებმა დააპყრეს საქართველოს ხელისუფლება და საბჭოთა ძალაუფლება დაამყარესო! რასაკვირველია, ეს მტკნარი სიცრუე არავის დაუჯერებია! არც ქართველი მუშები და არც ქართველი გლეხები საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ არ აჯანყებულან; საქართველოს ოკუპაცია მოუხდინა რუსულმა წითელმა ჯარმა. მაგრამ ამ სიცრუეით მოსკოვს სურდა ევროპაში შეცდომაში შეეყვანა და თავისი იმპერიალისტური ძალადობა დაემალა. ევროპის პრესა და საზოგადოებრივი აზრი დიდი აღშფოთებით შეხვდა რუსეთის ამ უხეშ თავდასხმას და საქართველოს შესახებ რუსეთის წინააღმდეგ დიდი ქადაგება დაიწყო.

რუსეთზე ბეჭდვითი სიტყვით თავდასხმა ისე შორს წავიდა, რომ თერთმე ტროცკი იძულებული გახდა, მოსკოვის მთავრობის გასამართლებლად, საქართველოს შესახებ წიგნი გამოეცა, რომელშიც ზემოაღნიშნული ზღაპარი ქართველი მუშებისა და გლეხების აჯანყების შესახებ განმეორებულია. შემდეგ ბოლშევიკებმა ველარ დამალეს სიხამდვილე და იძულებული გახდნენ იგი აღეარებინათ —

ჯერ კიდევ 1922 წელში, აპრილის 2 — 5-ს მეორე ინტერნაციონალის, ორნახევარი ინტერნაციონალის და მესამე ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტთა სხდომაზე ვანდერველდემ და მაკდონალდმა მოსთ-

ხოვეს ბოლშევიკებს საქართველოს განთავისუფლება. ამაზე ბოლშევიკების წარმომადგენელმა რადეკმა განაცხადა —

„რაც საქართველოს საკითხს შეეხება, ჩვენ აღარ ვიცით, რა აწუხებს ვანდერველდეს, — ის რომ თბილისში ჩხეიძესა და ყორდანის მაგერ მდივანი გამოჩნდა, თუ ის, რომ ბაქოზე თავდასასხმელი კარები (ბათუმი!) ინგლისის ხელში არ არის... ეხლა, ამხანაგებო, შეიძლება სხვა და სხვა აზრისა იყონ განაპირა სახელმწიფოთა შესახებ; მაგრამ რასაც ეს ნიშნავს, ესმის ყველას; სახელდობრ, რომ რუსეთზე თავდასასხმელი კარებზე, რიგა და ბათუმზე, ინგლისს უნდა ჰქონოდა ხელი... საქართველოს არ შეეძლო ნეიტრალური დარჩენილიყო. მთავრობის თავჯდომარე, ყორდანის ესპოდა ეს და ამიტომ თქვა — თუ ჩვენ უნდა ავირჩიოთ აღმოსავლეთის ფანატიზმსა და დასავლეთის ცივილიზაციის შორის, ჩვენ ვემზობით დასავლეთის ცივილიზაციას“ო. ეხლა, დასავლეთის ცივილიზაციის მეთად კარგი საქმეა, მაგრამ დასავლეთის ცივილიზაციას ეკუთვნის არა მარტო ისეთი მშვენიერი რამე, როგორც არის თბილისის დემოკრატია...; ინგლისი კი დასავლეთის ცივილიზაციის ნაწილად სთვლის აგრეთვე ბაქოს ნავთის წყარობს. ნავთის წყაროებზე მოთხოვნილება მეტად დიდი ხდება არა მარტო სანავთო საზოგადოებისათვის, რომლის უკან ინგლისის ადმირალიტეტი სდგას, არამედ თვით ინგლისის მთავრობისათვისაც. თქვენ კარგად იცით, რომ ნავთის საკითხი არა მარტო პატარა საქართველოსათვის, არამედ აგრეთვე თვით დიდი რუსეთის ხალხისათვის და რუსეთის მუშათა კლასისათვის ისეთი რამეა, რომელსაც აგრეთვე ერთგვარი მნიშვნელობა აქვს. ეხლა დამიძახა ერთმა ამხანაგმა ვენის ინტერნაციონალისა: „შვენიერი ნავთის კომუნიზმი! — (აბრამოვიჩი იძახის — მართალია, ნავთის კომუნიზმი!). როდესაც მოქალაქე აბრამოვიჩი სოციალიზმს დაამყარებს, ამას ის უნათოდ იხამს (დიდი სიცილი). ჩვენ საწყლებს არც კი გვიშავლია: ნავთი ხეირიანად სოვიზმაროთ“ო... ასე მჭერმეტყველებდა ბოლშევიკი რადეკი და ამით მან გამოამჟღავნა ერთი ის მიზეზი, თუ საბჭოთა რუსეთმა საქართველოსთვის დაიპყრო — რუსეთს უნდა ჰქონოდა ბათუმის კარები ხელში ჰქონოდა და ბაქოს ნავთის გზა ხელთ პყრობოდა.

შემდეგ ბოლშევიკებს აღარ დაუმაღათ ის მოვლენა, რომ არა აჯანყებულმა ქართველმა გლეხებმა და მუშებმა დაიპყრეს საქართველოს ხელისუფლება, არამედ ნამდვილმა რუსულმა წითელმა ჯარებმა და ამას აშკარად სწერდნენ იქ, რუსეთში — რუსული სამხედრო ჟურნალი „მეხანიზაცია ი მოტორიზაცია“ (1936 წ. თებერვლის ნომერი, გვერდი 18) მოგვითხრობს საქართველოზე რუსეთის ლაშქრობის შემდეგ ამბავს —

„საქართველოს განთავისუფლებისათვის (!) მეთერთმეტე არმიის ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ამ არმიის იმ ნაწილებმა, რომელნიც აღჭურვილი იყვნენ ჯავშნიანი მატარებლითა და ტანკებით... ორი მოკლე გზა ახერხაიჯანიდან საქართველომდე, მენშევიკურ ცენტრისაკენ, თბილისისაკენ და ამ ქალაქზე დარტყმას შეეძლო გადაეყვიტა ბრძოლის ბედი... ამ მიმართულებით გაგზავნილ ჯარებს დაემატა რკინისგზით ხუთი ჯავშნიანი მატარებელი (ნომერი 5, 7, 77, 94) და ტანკების ჯგუფები (ნომერი 2)...

ჯავშნიანი ავტომობილების ჯგუფმა (ნომერი 55) ბრწყინვალედ შეასრულა თავისი ამოცანა 1921 წლ. 16 თებერვალს ღამით... 16 თებერვალის განმავლობაში ჯავშნიანი მატარებლები... უბასუხებდნენ ყუმბარებითა და ტყვიამფრქვევებით მტერს, რომელიც რამოდენჯერმე შეეცადა ჩვენს ჯარებზე იერიში მოეტანა, მტრის ჯავშნიანმა მატარებელმა სცადა შეტევა ჩვენი ჯარების წინააღმდეგ სალოლის მხრიდან, მაგრამ ჩვენი ჯავშნიანი მატარებლის ნომერ 94 შორსმსროლმა ქვემეხებმა აიძულა იგი უკან დაეხია“ო.

საქართველოს დაპყრობის ამბავი ისედაც ძნელი დასამალი იყო, ვინაიდან იმ დროს საქართველოში უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები ცხოვრობდნენ და საერთოდ იქ ბევრი უცხოელი იმყოფებოდა. ამიტომ მოსკოვის ტყუილს უცხოეთში არავითარი გამართლება და გასავალი არა ჰქონია.

საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით საქართველო დღესაც უფლებრივად დამოუკიდებელი სახელმწიფოა. რუსეთის ბატონობამ მას უფლებრივად ვერ მოუშალა მისი ლირებულება და პატივი. ამ საკითხის შესახებ ცნობილი ფრანგი იურისტი, საერთაშორისო უფლებების პროფესორი ლე ფურ სწერს —

საქართველოს წინანდელი და დღევანდელი (1932 წ.) მდგომარეობის

განხილვის შემდეგ უნდა დავასკვნათ, რომ ეს ქვეყანა უფლებრივად მუდამ დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ეს დამოუკიდებლობა ორჯერ იყო ძალით დარღვეული, წინააღმდეგ ვარკვეულ ვალდებულებათა. მოხდა ძალადობის ფაქტები, რომელთა წინააღმდეგ ყოველთვის ენერგიულ პროტესტს აცხადებენ გადაყენებული მთავრობანი და თვითონ ხალხი გამუდმებული აჯანყებებით-ო...

წერილი მეხუთე

აჯანყებანი საქართველოში

ეროვნული თუ სოციალური ბრძოლის ასპარეზზე ყველაზე უფრო მჭრელი მახვილი და სახიფათო იარაღი — აჯანყებაა. იგი ბევრ მსხვერპლს მოთხოვს და ხშირად მიზანს ვერ აღწევს. ეს იცის ერმა, ეს იცის აჯანყებულთა ფენამ, მაგრამ ისტორიაში აჯანყება დღემდე მეორდება.

ქართველი ერის გრძელი ისტორია ეროვნულ აჯანყებას კარგად იცნობს. საქართველო პარტიზანულ ომითა და აჯანყებათა კლასიკური ქვეყანაა. არა ერთხელ უბრძოლია ქართველ ერს გარეშე მტერთა წინააღმდეგ პარტიზანული ომებითა და აჯანყებებით. არა ერთხელ აფრიალებულა დროშა აჯანყებისა ქართულ მიწაზე უცხოეთის ბატონობის წინააღმდეგ, რადგან აჯანყება აქ ყოველთვის დამპყრობელთა გასაძევებლად იყო მიმართული.

ძველმა საქართველომ არ იცის სოციალური აჯანყება ან ბრძოლა საკუთარი, ქართული წესწყობილების წინააღმდეგ. და როდესაც ამ ნიადაგზე, სოციალ-ეკონომიურ საფუძველზე აჯანყება ხდებოდა, იგი მიმართული იყო მხოლოდ იმ წესების წინააღმდეგ, რომელიც უცხო ძალამ, უცხო ბატონობამ თან მოიტანა და დაამყარა.. ამგვარად, ეს აჯანყებაც ამ შემთხვევაში ყოველთვის იყო ეროვნული, ვინაიდან იგი მოწყობილი იყო უცხო ბატონების მიერ შექმნილი წესრიგისა, და მათსადასამე, თავისთავად დამპყრობელთა ბატონობის წინააღმდეგ. ვინ ჩამოსვლის რამდენი პარტიზანული ბრძოლა და აჯანყება გადაიხდა ქართველმა ერმა თავისი ხანგრძლივი ისტორიის გზაზე!!! მარტო მეცხრამეტე საუკუნო რომ მოვიფიქროთ, საქართველოში ოცდახუთჯერ მიანიც მოხდა აჯანყება!

1801 წლიდან 1905 წლამდე აჯანყებითი ბრძოლის დროშა მრავალ-

ჯერ აფრიალდა და მრავალჯერ ჩამოიგლიჯა, სისხლში გასვრილი...

ალექსანდრე ორბელიანი, 1832 წლის შეთქმულების წევრი, თავის მოგონებებში სწერდა — რაც რუსები მოვიდნენ საქართველოში, აქიდან 1812 წლამდის ექვსი შეთქმა გაუქმეს რუსებს, საწინააღმდეგო მათი და იმათი გარეკისათვის საქართველოდან-ო.

1802 წ. მოხდა აჯანყება მთიულეთში, კახეთში, ხევსურეთში.

ამ აჯანყების საბაზი იყო ის მოვლენა, რომ რუსის სალდათებმა ხალხი ააწიოკეს, გლეხებს სცემეს, ქალები გააუპატიურეს, ასოში ძაბრით ღვინო ჩაასხეს!

1804 წ. — აჯანყება მთიულეთში. საბაზი — რუსების მიერ დადებული ბეგარა აუტანელი შეიქმნა.

1804 წ. — აჯანყება მთიულეთში და ქართლში. კიჟინა — არა გვსურს რუსები!

1812 წ. — აჯანყება კახეთში და ქართლში. — ჩვენ გვსურს ჩვენი მეფე! და გრიგოლ ბატონიშვილი აირჩიეს საქართველოს მეფედ!

1813 წ. — აჯანყებანი და პარტიზანული ბრძოლანი, რომელთაც ალექსანდრე ბატონიშვილი ხელმძღვანელობდა კახეთში და მთიულეთში.

1819 — 1820 წ. — აჯანყებანი გურიაში, იმერეთში, რაჭაში, კახეთში, სამეგრელოში. იმერეთის აჯანყებულებმა საქართველოს მეფედ ბატონიშვილი ვახტანგი გამოაცხადეს.

1824 წ. — აჯანყება აფხაზეთში.

1826 წლიდან 1832 წლამდე შეთქმულების მზადება, რომელში ქართველი ინტელიგენცია და რუსულ სამხედრო სამსახურში მყოფი ოფიცრები მონაწილეობდნენ. შეთქმულება ვაკემულ იქმნა და მისი მონაწილენი დასჯილი. კიჟინა — (როგორც სოლომონ დოდაშვილი დავით ბაგრატიის ძეს სწერს) — გავდევნოთ ძალით მოსულნი, სამშობლოს მაონკრებელნი!

1829 წ. — აჯანყება თბილისში — სიძვირე მეტისმეტი!

1840 წ. — აჯანყება გურიაში, იმერეთში, წებულდაში გურიაში — გადასახადების გულისათვის — შაუროიანი აჯანყება!

1841 წ. აჯანყება გრძელდება გურიაში და იმერეთში. აჯანყება გორშიც.

1849 წ. — აჯანყება თბილისში.

1857 — 1862 წ. — აჯანყებანი სამეგრელოში, გურიაში, იმერეთში, ქართლში, — აგრარულ ნიადაგზე.

1863 წ. აჯანყება საინგილოში —

ადმინისტრაციულ უწყისობათა გამო.

1865 წ. — აჯანყება თბილისში — გადასახადთა მომატების გამო.

1866 წ. აჯანყება აფხაზეთში — ავტონომიის მოსპობის გამო.

1875 წ. — აჯანყება სვანეთში — რუსული ადმინისტრაციის დამყარების გამო.

1878 წ. — არეულობა კახეთში — სალდათობის გამო.

1882 წ. — აჯანყება გურიასა და აჭარაში, — მაჰმადიანობის ღვენის გამო.

1905 წ. — ფართო აჯანყება მთელ საქართველოში.

ყველა ეს აჯანყება, იყო იგი პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიური ხასიათისა; არსებითად მაინც რუსული წესწყობილების წინააღმდეგ იყო მიმართული და ამ აჯანყებებით ქართველი ხალხი თავის უკმაყოფილებას ხმამაღლა და თოფის სროლით გამოხატავდა.

ყველა აჯანყება, რასაკვირველია, სრული დამარცხებით დასრულდა, მაგრამ ხალხი ამ ბრძოლაში თავის ზნეობრივ დაკმაყოფილებასაც პოულობდა და ერი თავის ნებისყოფას განამტკიცებდა.

სწორედ ამ დროს იწყება კიდევ ქართულ პოლიტიკურ პარტიათა ასპარეზზე გამოსვლა და ხალხის პოლიტიკურად დარაზმვაც. ქართველი ხალხის მოწინააღმდეგობის სული ამ პოლიტიკურ პარტიებში გადავიდა და ბრძოლამ უკვე ჩამოყალიბებული პოლიტიკურ ხასიათი მიიღო.

ამ ბრძოლის სულის მატარებელმა ერმა 1918 წ. თავისი სახელმწიფოებრივობა აღიდგინა და საკუთარი ცხოვრების მოწყობას შეუდგა. მაგრამ იმავე რუსეთმა თავს მოახვია ძალიანით თავისი რეჟიმი და ქართველი ხალხის არც დამოუკიდებლობის დაკარგვასა და არც უცხო უწყისობილებას არ შეურიგდა.

ღია ბრძოლაში დამარცხებული ხალხი გადადის ფარული ბრძოლის წესზე და არა - ლეგალური ანტი - ბოლშევიკური მუშაობა იწყება; რომელიც მალე აჯანყებათა ხასიათს ღებულობს.

ბოლშევიკური ჩეკა სასწრაფო ზომებს ხმარობს — იჭერს მოწინააღმდეგეთ, ასახლებს მათ, მაგრამ ჯერ კიდევ ხვრეტას გაურბის, იმ იმედით, რომ თავისი დაპირებებით ხალხს მუშებსა და გლეხებს თავის მხარეზე გადაიყვანს.

ამის მიუხედავად, ქართველმა ხალხმა აჯანყება დაიწყო სვანეთში, მთიან ადგილებში, სადაც ბრძოლა არც ისე ადვილი უნდა ყოფილიყო. ბოლშევიკებმა წითელი არმიები მიაყარეს სვანეთს და აქ ბრძოლაში ორივე მხარეს დიდი დანაკლისი ჰქონდა. აჯანყება დამარცხდა. დაიწყო დახვრეტების ხანაც.

1922 წ. ხევსურეთის აჯანყება

ხევსურეთში აჯანყება დაიწყო 28 აგვისტოს და იგი დიდად აქტიური და სისხლიანი იყო. წითელმა რეგულიარულმა ჯარებმა იგი სისხლში ჩააღრჩვეს, ... ბევრი დახვრიტეს... ბევრი გადაასახლეს...

ამის მიუხედავად, ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ მაინც არ წელდებოდა. არა - ლეგალური ქართული პარტიები შეეცადნენ ხალხის უკმაყოფილებისათვის ორგანიზაციული სახე მიეცათ და ბრძოლაც ორგანიზაციულად მოეწყოთ. ამ მიზნით დაარსდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელშიც ყველა არა - ლეგალური პარტიების წარმომადგენლები მონაწილეობას ღებულობდნენ

1923 წლის შეთქმულება

ბოლშევიკებს თავიდანვე არ მოუხპიათ ქართული ჯარი, რომელსაც ქართველი ოფიცრები ხელმძღვანელობდნენ; ჩეკის მეთვალყურეობით, ეს ქართული ჯარიც ქართველ ხალხს წარმოადგენდა და მის სურვილთა მატარებელი იყო; ამიტომ მას არ შეეძლო დამპყრობელთა ერთგული გამხდარიყო. ამიტომ ჯარში დაიწყო არა - ლეგალური ანტი - ბოლშევიკური საიდუმლო მუშაობა და დაარსდა შეთქმულების ცენტრი. შედეგი — დახვრიტეს უმაღლესი ოფიცრობა და დაშალეს ქართული ჯარი.

პარტიზანული ბრძოლანი

საქართველო მთიანი ქვეყანაა და პარტიზანული ომებისათვის ძალიან ხელსაყრელი და გამოსადეგი. ქართველმა ხალხმა ისარგებლა ამ თავისა გეოგრაფიული ვითარებით და მრავალი ახალგაზრდობა იარაღით ხელში ტყეში გაიჭრა. შეიქმნენ პარტიზანული რაზმები ქართლში (1. კასრაძისა, 2. ფავლენიშვილისა, 3. ლაშქარაშვილისა); კახეთში — 1. კრა-

წაშვილისა, 2. მათიაშვილისა; ჯავახეთში — ფორაისი; გურიასი — გოგუაძისა, 2. მუხამაშვილისი, 3. მათიაშვილისა და სხვანი. მაგრამ ყველაზე უფრო სახელგანთქმული და დიდი რაზმი იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილისა, კახეთში. ბოლშევიკურ ხელისუფლებას დიდი ძალები სჭირდებოდა ყველა ამ რაზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს იყო იარაღით ბრძოლა... დიდი მსხვერპლითა და დიდი მარცხით.

საქართველოს დიდი აჯანყება 1924 წელს

1924 წლის აგვისტოს დასასრულს, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ხელმძღვანელობით, საქართველოში დიდმა აჯანყებამ იფეთქა. აჯანყებულებმა დიკავეს პროვინციები, აღადგინეს ძველი დაწესებულებანი; ააფრიალეს შვინდისფერი დროშა..., მაგრამ თბილისიდან წამოსულმა წითელმა ჯარებმა ზარბაზნებითა და ტყვიაფრქვევებით თოჯიან - მაჭახელიანი ხალხი ყველგან დაამარცხეს.

დიდი და სასტიკი იყო ბოლშევიკური მთავრობის შურისძიება. გამარჯვებული ჩეკა აჯანყებულთ და არა - აჯანყებულთ განუკითხავად, განუსამართლებლად ხვრეტდა. სისხლის ტბები დადგა საქართველოში.

აჯანყების სისხლში ჩახრჩობის დღეებში ერთმა მოხუცმა ქალმა თბილისელ ერთ ყაბაზს შესჩივლა — ხორცი ძვირიაო! ყაბაზმა, რომელიც ქართველი არ იყო, მას უპასუხა — დედი-ჯანი! იაფი ხორცი თუ გინდა, წაღი საბურთალოსზე, იქ ბევრი ხორცი არის, ქართველებს ჰკლავენო!...

1925 — 1926 წელი

ეს ორი წელიწადი იყო მწარე და განუსაზღვრელი გლოვის დრო — ქართველი ხალხი ძაძით იყო შემოსილი...

1927 წელი

ამ წელს მოხდა აჯანყება სვანეთში და ლეჩხუმში; მაგრამ მას ფართო ხასიათი არ მიუღია, ვინაიდან ბოლშევიკურმა მთავრობამ სასწრაფოდ ზომები მიიღო და ჰაეროპლანებით სოფლები გაანადურა.

1928 — 30 წელი

ხალხი ბოლშევიკებს პასიურ წი-

ნაღმდევობას უწევს. კოლექტივიზაციის გატარებამ საქართველოს ყველა კუთხეში ხელისუფლების წინააღმდეგ მასიური გამოსვლანი და თავდასხმანი გამოიწვია. ხალხი სწვავდა და ანადგურებდა კოლექტივიზაციას. ანადგურებდა კოლექტივიზაციას, თავს ესხმოდნენ მოქალაქეთა და ინსტრუქტორებს, პარტიულ პირებს და სხვ. ამას თან მოჰყვა მასიური დაჭერანი, გადასახლებანი, დახვრეტანი...

1931 — 1932 წ.

კოლექტივიზაციის შემოღებას ხალხი არ ურიგდება და თავდასხმანი გამოემდებით გრძელდებიან იმის მიუხედავად, რომ გლეხებს დაუბრუნეს ვენახის ნაწილი და ეზო. გრძელდებიან დაჭერა - გადასახლებანი...

1933 — 1936 წ.

კოლექტივიზაციამ და კოლექტივიზაციის მოხებად გლეხების შეყრამ დიდი სასოფლო - სამეურნეო კრიზისი გამოიწვია, რომელიც შიმშილობით დასრულდა. სიღნაღის რაიონში მოხდა აჯანყება. აჯანყებულებმა მთავრობის მსგავსი ორგანიზაცია აირჩიეს და პლაკატები გამოაკრეს, რომლითაც ისინი ბოლშევიზმის მოსპობასა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას მოითხოვდნენ....

1933 — 1936 წ.

ამ წელთა განმავლობაში დიდი გარდატეხა მოხდა ქართულ კომუნისტურ პარტიაში, სადაც ძველმა ბოლშევიკებმა შეჰქმნეს შიმინდარეობა; ეგრედწოდებული უკლონისტური გადახრა. ქართველი ხალხის შეურთავებლმა ბრძოლამ კომუნისტების წინააღმდეგ და თავისუფლების მოსაპოვებლად თვით ქართველ ბოლშევიკებზე იქონია გავლენა და ისინი იძულებული გახდნენ ქართველი ხალხის ძისწრაფებისათვის ერთგვარი ანგარიში გაეწიათ. ამ ხიდავზე წარმოიშვა ქართული კომუნისტური პარტიის ერთი დიდი ნაწილის ოპოზიცია მოსკოვის წინააღმდეგ და მოითხოვდნენ მოსკოვის ოპიკისაგან და ცენტრალური ხელისუფლებისაგან განთავისუფლებას. ამ ძრაობაში, მონაწილეობდნენ ძველი ქართველი ბოლშევიკები, ცენტრალური კომიტეტის წევრები, მთავრობის წევრები და პარტიის ლიდერები, როგორც მაგალითად — ბუღუ მდივანი, მიხეილ ოკუჯავაძე ნიკოლოზ ოკუჯავა, მამია ორახელაშვილი, შა-

ლვა ელიავა, მალაქია ტორიშვილი, თენგიზ ჟღენტი და სხვა მრავალი, ხოლო მოსკოვში მათ ემხრობოდა საბჭოთა კავშირის აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი, აბელ უსუქინი... ამ უკლონისტურ-ნაციონალურმა მოძრაობამ მოსკოვისათვის ისეთი საშიში სასიათი მიიღო, რომ მოსკოვმა სასწრაფო ზომებით ჩვეულებრივ სასტიკ სასჯელს მიმართა და თითქმის ყველა ბოლშევიკი, დიდი და პატარა, რომელიც ამ ეროვნულ მოძრაობას მიემხრო, დახვრეტულ იქმნენ ... ასობით...

1936 — 37 წ.

ხვრეტა გრძელდებოდა ამ ორი წლის განმავლობაში და დაიხვრეტნენ არა მარტო ბოლშევიკები, არამედ უბრალო ხალხიც, საერთო სრულიად ესესერის ხვრეტასთან შეთანხმებით. პროფესორები, მწერლები, არტისტები; ინჟინრები და საერთოდ, ბრალიანი და უბრალო დაუზოგველად იქლიტებოდა...

1938 — 1939 წ.

ამ მასიური ხვრეტა - ჟლეტის მიუხედავად, პროტესტები მაინც გაგრძელდა და საქართველოს ცხრამეტი უმალღესი სასწავლებელიდან 1500 სტუდენტი გამორიცხეს და ციხეებში გამოამწყვდიეს. ამ სტუდენტთა უმრავლესობა ციმბირის კონცენტრაციულ ლაგერებში გადააგზავნეს. ვინ დაბრუნდა იქედან? ...

მეორე მსოფლიო ომის ხანა 1941 — 1945 წ.

1941 წლის 22 ივნისს გერმანია-საბჭოთა რუსეთის ომი დაიწყო. გერმანული ჯარები ელვის სისწრაფით შეიჭრნენ საბჭოთა კავშირში და მილიონობით ტყვე ჯარი ხელთ იგდეს. საბჭოთა კავშირის ამ ტყვე ჯარებიდან შემდეგ, გერმანიამ ნაციონალური ჯარები შეჰქმნა და რუსეთის წინააღმდეგ მიმართა....

რუსი ემიგრანტები სწერენ. ეს იყო რუსის ხალხის პორაყენცობის გამოსახულებათა. შემცდარი შეხედულებათა. ეს იყო არა უბრალოდ პორაყენცობა, არამედ იარაღით საბჭოთა კავშირის ხალხთა აჯანყება; უდიდესა და უმაგალითო აჯანყება, ისტორიაში ამგვარი, უცნობი. ყველა სხვა ერთან ერთად ქართველებსაც მიიღეს ამ აჯანყებაში მონაწილეობა და ვაჟკაცურად იბრძოლეს. ეს გრძელი ამ-

ბავია, რომელიც ცალკე ფურცლებს მოითხოვს...

მომავალი წლები

მთელი მსოფლიო დღეს ორ ბანაკად ირანება და მოსალოდნელია დაუზოგველი ამ ორი ბანაკის დაჯახება. ომი იქნება სასტიკი თავისი იარაღითა და უმოწყალო წესებით...

საქართველო დიდი საფრთხის წინაშე სდგას, მას განადგურება და აღგვა მოელის ამ ომში... თუ მან სიღინ-

ჯე, მოთმენა და გამძლეობა არ გამოიჩინა... ქართველმა ხალხმა, რომლის მთელი რიცხვი დიდი სახელმწიფოს არმიის მხოლოდ უმცირეს ნაწილს თუ უდრის, წინდახედულება და თავის დაზოგვის უნარი უნდა გამოაჩინოს. დღეს ბრძოლა მაქანელებით არა ხდება და ამიტომ ქართველი ხალხი ყოველგვარ ცთუნებას უნდა მოერიდოს, — მის ჩაურევლად გადაწყდება ვეებერთელა, მომავალი ცეცხლიანი საერთაშორისო დაჯახება...

ვ. ნოზაძე.

ჟიკარაბი აგვისტოს ღვინავა

საქართველოს მრავალი საუკუნეები უცხოვრია კულტურულ სახელმწიფოს ცხოვრებით და ნურავის გაუკვირდება; თუ ახლო და შორეულ მეზობელ ერებთან შედარებით, მას მეტი გამოცდილება შეეძინოს.

არა ერთხელ ყოფილა ველურ ურდოებისაგან გარდალახული, ძლიერ მაჰმადიან მეზობელთაგან დაპყრობილი და „ღირსება - აყრილი“ ერთ ადგილას მიჯაჭული. ხანდისხან მას შეეძლო კიდევ ამ ჯაჭვის გაწყვეტა და თავის აშვება, მაგრამ... ის არჩევდა დუმილით, ჩუმი დრტინებით გაუგონარ ტკივილების ატანას და მოთმენას მომავლის ახალ იმედებით.

მან იცოდა, რომ მტერსაც, ამ შემოსულს, უცხო ძალასაც თავისი თავი უნდა ამოეჭამა, რომ ერთხელ მასაც მოულოდნელი გართულება უნდა გაჩენოდა და ამ დროს ჯაჭვის გაწყვეტა ამირანისათვის ნაკლები, ძალების განწირვას მოითხოვდა.

საქართველო თვის მცირე ძალებს განსაკუთრებულის სიფრთხილით ეპყრობოდა. მან იცოდა, რომ „მრავალ გზით ჭირნახალი“ იყო და წინ კიდევ დიდი და მძიმე ისტორიული გზა უნდა გარდაეღო; — ეს იყო მისი უმალესი მიზანი...

ამიტომ ჩვენი წინაპრები მუდამ მოთმინებისკენ მიგვიითებდნენ; რამდენჯერ ურჩევდნენ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ მეფეს ბრძენი და ერის მესვეურნი: კვლავ ხლებოდა მტერს თავყანსაცემად, თუნდაც ეს გამგზავრება მისთვის სახიფათოც გამხდარიყო...

ჩვენი მატანე მდიდარია ამგვარ დამამცირებელ ტკივილების ატანით, და ყველაფერი ეს ხდებოდა არა „შეგუების“ და მტერთან შესხეულების მიზნით, არამედ ცოცხალ ძალთა შენახვისათვის, ქართულის კერის შენარჩუნებისათვის.

მაგრამ მას აზრი ჰქონდა მხოლოდ

განსაზღვრულ დრომდე და როცა სასწორი იქეთკენ გარდისხებოდა, საცა მისი მეტი „მოთმინება - შეგუება“ უკვე ხიფათს უმზადებდა ერს და მთლიანად გადაგვარებით ემუქრებოდა, მაშინ ერთბაშად გაისმოდა ისტორიული: — „ქართველო, ხელი ხმალს იკარ... ან სიკვდილი; ან თავისუფლება“—ო.

მეცხრამეტე საუკუნის მიჯნაზე კავკასიას და კერძოდ მისს უძველეს სახელმწიფოს — საქართველოს ახალი ძალები ეპატრონებინა.

მოდის დიდი და უტრადიცო ძალა რუსული იმპერიალიზმისა, რომელიც მითომდა ქრისტიანულ აღთქმებით და დაპირებებით საქართველოს დარიალის კარს გაახსნევინებს.

აი, აქედან იწყება ქართველობის მისი ძველებურ რაინდობის და ქრისტიანობის უდიდესი ტრალედია.

მფარველობა - ერთგულების ფიცი ერთბაშად ავიწყდება „მოკავშირედ“ შემოსულ მტერს.

იქნებ ამ ტკივილებსაც კარგა ხნით თმენით გაუძლებდა და აიტანდა ერი, მაგრამ აქ მოხდა მისთვის სრულიად უჩვეულო და გაუგონარი რამ: ქართველმა ერმა ისეთი რამ დაჰკარგა, რისთვისაც ის მრავალ საუკუნეთა გასწორვ იღვწოდა; მტერს ფეხქვეშ ეგებებოდა და ათასხაირ ხერხელებში ძვებოდა... ეს იყო მისი სუვერენობა, მეფობა და ტახტი, რომელიც ათასეულ წელთა მანძილზე სისხლისაგან დაცილი ქვეყანას, შაინც დაეცვა და მოეტანა.

თუ საქართველოს ხალხი ეხლა ამის დაკარგვასაც შეურიგდებოდა, ეს იქმნებოდა მისი უკანასკნელი საბიჯი: — აღიარება, რომ „როგორც ეროვნული ინდივიდუმი, ის აღარ არსებობდა.

მაგრამ საქართველოს უძველესი ვიტალური ძალები ამოქმედდნენ და მას ისტორიულ გზაზე თვისი სი-

ტყვის და სახის ძველებურად გამოლა სწადდა. ერს სიცოცხლე სწყუროდა, მას ახალ ქმედობის პრეტენციები მძლავრად აწვებდნენ. ჩრდილოეთიდან შემოჭრილ ძალებს არ შეეძლო ამ ატავისტურ ენერჯის ჩაკვლა და მეცხრამეტე საუკუნის მატანეს ფურცლები სავსეა ქართველი ერის აჯანყებათა ისტორიით.

რუსეთის დამკვიდრების პირველ წელშივე იწყება ქართველთა პირველი აჯანყება (1801 წ.) ამას მოსდევნ უფრო ძლიერი და უფრო მსოფრი ბრძოლები ერის ღირსების და სუვერენობის აღსადგენად: — 1802, 1804, 1806, 1812, 1819, 1832 წლები ხომ განუწყვეტელი ჯაჭვია აჯანყებათა, რუსეთმა რომ სისხლში ჩაახრჩო, ამ აჯანყებათა ცეცხლმა საშოკიან წლებამდე მოაღწია და შეინახა მტკიცე დარაზმულობა ქართულ ეროვნულ სულისა.

ამ სისხლის გაღების შემდეგ, არავითარ ძალას აღარ შეეძლო ერის დაშლა და გახრწნა, მისი მტერთან შერიგება... უფსკრული უფრო გაღრმავდა.

მაღე ბრძოლამ სულ სხვა სახე მიიღო, ქართველობამ ძალები მოიკრიბა და იწყო კულტურულ და ეკონომიურ მალლობთა დაპატრონება.

აჯანყების დროშა დაიკეცა; გამართლებული და ეროვნულად გათვითცნობიერებული ერი სხვა გზას გაჰყვა, სხვა ამბებისათვის შეემზადა და მართლაც ეს მისი ახალი ენერჯია მთელის სიძლიერით და მშვენებით 26 მაისს 1918 წ. გარდაიშალა — საქართველოს სახელმწიფო აღსდგა!

3 წლის შემდგომ ყოველივე სტერეოტიპულად განმეორდა: ესლა იმავე ჩრდილოეთიდან იგივე იმპერიის შემთხვევათა გამო გაწითლებული, კვლავ მოტყუილებით (6 თვის შემდეგ მეგობრობის ხელშეკრულების დადებისა), შემოიჭრება საქართველოში, სთელავს და ანგრევს მისს ახლად გაფურჩქნილ აღმშენებლობას, და, რაც მთავარია, ქართულ სუვერენობას და სახელმწიფოს ეხლაც ისე, ვით 1801 წ. ერთის დაკვრით ანადგურებს... საქართველოს ის სუვეტების იმპერიის წითელ პროვინციად ხდის.

ჯერ არ ნახული ეროვნული დამცირება განაცდევინეს საქართველოს უმძიმეს მორალურ და ნაციონალურ დამცირებასთან მას წილად ხვდა დევნა: საშინელი ტერორი და სისხლის ღვრა...

ასეთ უხეშ დაწოლას უნდა მოჰყო-

ლოდა სასტიკი პროტესტი, წინააღმდეგობის გაწევა და ერის ორგანიზაციული დარახმვა.

საქართველოს აქაც ძველის, ნაცადის გზებით უნდა ევლო: — ერის მთლიანობა და სიმტკიცე უნდა აღედგინა და შეენახა.

მაგრამ ეს მტერი სხვა იყო, ის ყველაზე დაუნდობელი და უღმობელი გამოდგა და ყველა საამისო ცდები მტრის მიერ უსასტიკესის ტერორით თავშივე ჩაკლულ იქმნა... და სასოწარკვეთამდე მისული ერი, რომელსაც სიცოცხლე სწყუროდა, თავდაცვას იწყებს და საშინელ დევნას და ტერორს აჯანყებით უპასუხებს.

ისე, როგორც წინად, გასაბჭოების პირველ წელსავე იწყება ამ აჯანყებათა სერია.

ამას მოსდევს 1922 წლის აჯანყება, შემდეგ, ეს სტიქიური წინააღმდეგობა 1924 წლის აჯანყებაში, მთელი ქართველი ერის დარახმულად გამოსვლაში გადადის.

ორგანიზულად შედუღებული, აღტყინებული ქართველი ერი რამდენიმე დღეში დაეპატრონა მრავალ სოფლებს და დაბა - ქალაქებს, სუვერენობის დროშა კვლავ აფრიალდა და მარიონეტულ წითელ „მთავრობის“ თავჯდომარე და მისი მესვეურნი ტყვედ ხელთ იგდო.

ამგვარ მარცხს, რუსეთი, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდებოდა... დიდძალ ჯარს და იარაღს თავს უყრის, სისხლის ღვარებს ადენს, ცეცხლით და მახვილით გარდაუვლის საქართველოს და ბოლოს ამარცხებს...

ეხლა არაერთი შემაკავებელი ძალა აღარ არსებობს. შურისძიების წყურვილით მთვრალი რუსეთი, პატარა, წაქეველ საქართველოს შიგ გულში გაუტარებს ხიშტს... მასიური, წითელი ტერორი მძვინვარებს მთელ ქვეყანაში. „კონტრიბუციის“ სახით უდანაშაულო ხალხი ათასობით იხვრიტება.

სოფლებზე, დაბებზე, რაიონებზე ჩაწერილია რაოდენობა დასახვრეტ ქართველთა. სულერთია ვინც იქმნება ის, ილონდ საუკეთესო, მოწინავე კი იყოს იმ ერთეულში და კონტინგენტი აუცილებლივ უნდა შევსებულ იქმნას...

აქ რუსეთმა, სხვა დეკორაციებით მოვლენილმა, სავსებით აიხადა ნიღაბი... თვისი ველური, მონღოლური ბუნება უხვად გაშალა და საუკეთესო მამულიშვილთ თავები დააყრევინა, შორს გადაჰყარა ისე, რომ მათი საფლავიც არავის უნახავს.

ქართველობამ ყველაფერი ეს ნახა

და გულის ფიცარზე დაიწერა; ერი ამ აგვისტოს წამებულთა სისხლით განბანილი, წმიდა სისხლით განწმენდილია...

მისი შერიგება, შეგუება ამ მონღოლურ ველურ ძალებთან ვერასდროს და ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოხდება...

უფსკრული სამუდამოდ გაითხარა. აჯანყების ხანა დამთავრდა და მისი დროშაც ერთხელ კიდევ დაიკეცა.

ქართველი ერი კვლავ შეადგა და განამტკიცა ამ გაუგონარმა შურის ძიებამ და სისხლის ღვარმა, რუსეთმა რომ აღინა მას. ის მიიმე ტკივილებ ქვეშ მოხრილი და განაწამებია, მაგრამ მაინც უდიდეს მოთმინებით აღტურვილი, სდგას და უცდის ახალ, დიდ ამბებს.

ამ დიდ ამბებს საქართველოს აღდგომა უნდა მოჰყვეს და ახალმა ნათელმა თარიღმა 26 მაისი კვლავ უნდა გააცოცხლოს.

ჩვენს ქვეყანას ახალი, პოლიტიკური აჯანყებები აღარ სჭირდება.

უნდა გადაწყდეს

იყო დრო — კომუნისტების მიერ დაზარალებული ერები მარტოდ იბრუნდნენ.

დასავლეთს არ ესმოდა, უკეთ რომ ესთქავთ, არ სურდა ესმინა სისხლში ჩახრჩობილი ერების კვნესა და ვიება... რა ენაღვლებოდა ევროპას, ან ამერიკას, თუ საიღაც შორს, ვიღაცას ჰკლავენ, აწვალბენ, ჟღერენ!

ხანდისხან მხოლოდ გამრიგლი სუფრის შემდეგ სინდისს მოიფხანდნენ. „მსურიალო“ პროტესტს გამოაცხადებდნენ ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ და მერმე ტკბილად დაიძინებდნენ...

რა ენაღვლებოდა კომუნისტებს, თუ ვინმემ პროტესტი გამოუცხადა? ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ პრაქტიკულად მაინც არავინ ჩაერეოდა მათ საქმეებში და გაორკეცებული სიმკაცრით თარეშობდნენ დამონებულ ერებზე...

მაგრამ დრო შეიცვალა — კომუნისტური ბარტყი გაიზარდა, გვებერთელა ვეშაპად გარდაიქცა. მას აღარ ეყო რუსეთი; მისთვის საჭირო იყო ახალი მსხვერპლი; ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და ბანჯგვლიანი თათი დაადო მრავალჯერ წამებულ პოლონეთს; შეიერთა ლიტვა; ლატვია, ესტონია; დაეპატრონა ჩეხეთს, უნგრეთს, ბულგარეთს, რუ-

საქართველო დღესაც გამოუღებელი და გაერთიანებული სდგას მღუმარედ ეროვნულ სადარაჯოზე და სანატრელ განთიადს თმენით უცდის.

წინაპართა ანდერძი გამძლეობისა და ატანისა, მოთმინებისა დღესაც მისი წმიდა ანდერძია; მან იცის, რომ არასდროს არ უნდა მიეცეს სასოწარკვეთილებას.

მართალია, მრისხანე და დაუნდობელმა მტერმა ის ამბობებათა ახალ ამბებში ჩაითრია, რათა მორიგი სისხლი აგელო მაგრამ ქართველი ერი ამ აეანტურას არ გაჰყვა და ამბები 1930 — და 1937 წლის მან საერთო, პოლიტიკურ აჯანყებად არ აქცია. რუსის ჯალათებს იმედი არ გაუშართლდა და ერის ფიზიკური არსებობა გადაარჩინილ იქმნა.

ნაციონალურ, პოლიტიკურ აჯანყების ხანა 1924 წლის აგვისტოში დამთავრდა. აქ გაივლო საზღვარი და ამაშია აგვისტოს დღეების დიდი, ისტორიული მნიშვნელობა...

კახაბერი

მინეთს და სიყვარული გამოუცხადა აგსტრიასა და აღმოსავლეთ გერმანიას.

ამითაც არ დაკმაყოფილდა უზომოდ გაბერილი ვეშაპი... და მოინდომა მთელი მსოფლიოს ბატონ - პატრონობა.

ახლა კი გამოიღვიძა დასავლეთმა მიხვდა რა მოელოდა მას თვითონ და მორცხვად პროტესტი განაცხადა, ხოლო როდესაც ამან არ უშველა, — დაიწყო შეიარაღება და კიდევაც გაბედა მისი წინააღმდეგობა. — დიდი ვაივავლახით გადაარჩინა საბერძნეთი, ჩაება კორეის ბრძოლაში, ჩაღუბა მრავალი საუკეთესო მემომარი იქ და ჯერაც ვერ გაუბედა პირდაპირი შეტევა...

რუსეთი კომუნისტ კორეელებს ხომ ჯარით არ ეხმარება? კომუნისტური ჩინეთი ხომ ოფიციალურად ომში არ არის?

მართალია: მოკავშირეებს ებრძვიან მილიონი ჩინელები, მაგრამ ესენი ხომ მხოლოდ მოხალისენი არიან და ჩვენ რომ ჩინეთს შევუტოთ, მესამე ომი ატყდება!

მაკ - არტურმა გაბედა სიმართლის თქმა და იგი მაშინვე გადააყენეს.

კომუნისტების მიერ გახრწნილი პრესა ჩვეულებრივად ჰყევს, შერიგებას, ზავს და მეგობრობას ქადა-

გებს, მბარამ საქმე ამით არ გათავ-
დება —

სურთ თუ არა სურთ: პირდაპირა
შეტაკება აუცილებელია. დღეს ან
ხვალ მესამე ომი დაიწყება და მდე-
ლი მსოფლიო შიგ ჩაერევა.

უნდა გადაწყვიტოს კაცობრიობის
მომავალი: — ან მონობა, ან თავი-
სუფალი (ცხოვრება, სამუდამო ზავი
და ცივილიზაციის წინსვლა).

თენგიზ ბარაღერო

დამატება —

კარაკასის (გენეკუელა) გაზეთში
„უნივერსალ“ მოთავსებულია გრძე-
ლი წერილი: რომლის შინაარსი მოკ-
ლედ აქ მომაქვს: —

საბჭოთა კავშირის ეროვნულ უმ-
კირესობათა პოლიტიკურმა ორგა-
ნიზაციებმა საზღვარ — გარედ დაი-
წყეს ეროვნული მთავრობების შედ-
გენა.

ჩრდილო — ამერიკის შეერთებულ
შტატებს ჯერაც არ უკვნია ლატი-
ის ლიტვის და ესტონის ანექსია
რუსეთის მიერ. ხოლო რაც შეეხება
უკრაინას, კავკასიას და ცენტრალ
აზიას, საკითხი ხელახლავ უნდა გა-
იჩნეს.

ასევე მოხდება რუსეთის ახალ სა-
ტილიტების საკითხშიც.

თავისუფალი უკრაინის მთავრობა
დაარსდება ან ჩრდილო ამერიკის
შეერთებულ შტატებში ან კანადაში.

დიდი აგზავი რუსულ ემიგრაციაში

პირველი შემთხვევაა, როდესაც
რუსულ ემიგრაციაში ეროვნულ სა-
კითხზე გასაგონი ხმა ამოიღეს და
ეს ხმა არა ჰგავს იმ მიკნავებულს,
რომელიც 30 წლის განმავლობაში
განუწყვეტილად გვესმოდა.

დღემდე გაბატონებული დებულე-
ბა — განუყოფელი და ცენტრალურ-
რი, რუსეთი — რომელშიაც მხოლო-
დ მეორე ომის შემდეგ ზოგიერთმა
კულტურული ავტონომიის ბოძება
ერებისათვის ძლივს თუ გაიმეტა, და
ამგვარად მცირე შესწორება შეი-
ტანა, — დღეს სავსებით გადაყრა-
ვებულია. ამ გადაყირავებელ მოძ-
რობას ძირი აქვს გენერალ ვლასო-
ვის განცხადებაში ომის დროს, რო-
მელსაც რუსეთის ფარგლებში შე-
მავალი ერები ბოლშევიკური ხელის
უფლების წინააღმდეგ უნდა დაერა-
ზმა. ვლასოვმა მაშინ განაცხადა —
„ბოლშევიკებმა წაართვეს ხალხებს
უფლება ეროვნული დამოუკიდებ-

საქართველოსი და სხვა ერების კი
პარიზში.

ხოლო ცენტრალ აზიისა — აღ-
მოსავლეთის ერთერთ დედაქალაქ-
ში...

მართალია, ჩრდილო ამერიკის შე-
ერთებული შტატების მთავრობა ჯერ
თვითნებურად არ ერევა ამ საქმე-
ში, მბარამ მისი მოთავე მოხელენი
ახლავე აღუთქვამენ ახალ მთავრო-
ბებს დასავლეთის დემოკრატიის სიმ-
პატიასა და დახმარებას.

აგრეთვე გვაცნობებენ, რომ იმავე
სახომწოთო დიპარტამენტმა უკვე
დაიწყო მსჯელობა, თუ როგორ უნ-
და მოხდის ამ მთავრობების ოფიცია-
ლური ცნობა.

ცნობილი პოლიტიკური ლიდერე-
ბის აზრით, ეს საკითხი სიძნელეს არ
წარმოადგინს. რადგან დასავლეთის
მთავრობებს ჰყავთ მათი დიპლომა-
ტიური წარმომადგენელნი მხოლოდ
მოსკოვში და არც ერთ სხვა რესპუ-
ბლიკაში, რომელნიც შედიან საბჭო-
თა იავშირში...

ახლად შექმნილი მთავრობების პი-
რველი ნაბიჯი იქნება — იყოლიონ
საკუთარი წარმომადგენელნი უნდ-
ში: შემდეგ მათ უნდა შექმნან მკი-
დრო კავშირი ერთმანეთს შორის; გა-
მონახონ საერთო პოლიტიკა კომუ-
ნიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის
და დასავლეთის დახმარებით დაიწ-
ყონ ბრძოლა სამშობლოს განსათა-
ვის უფლებლად....

ლობისა, განვითარებისა და თვითმ-
ყოფობისა“.

მან აღიარა —

„თანასწორობა რუსეთის ყველა ხა-
ლხებისა ნამდვილ მათ უფლებაზე
ეროვნულ განვითარებაში, თვითგა-
მორკვევაში და სახელმწიფოებრივ
დამოუკიდებლობაში“.

მან მოუწოდა —

„ყველა ეროვნულ ძალთა გაერთია-
ნებისაკენ... ბოლშევიკური ხელისუ-
ფლების დასამხობად“...

გენერალი ვლასოვი გამარჯვებუ-
ლებმა მოსკოვს ჩააბარეს და მასთან
ერთად მრავალი თავდადებული მე-
ბრძოლი... ქართველებთან ერთად...
ვლასოვი და თანამებრძოლნი მო-
სკოვში ჩამოახრჩვეს, მბარამ მათა
საქმე უცხოეთში არ მომკვდარა, და
ამ საქმის ერთი გამოხატულება არ-
ის დღეს ის განცხადება, რომელიც
ემიგრაციაში გადაჩენილმა გენერ-
ალ ვლასოვის მიმდევრებმა მოახდ-
ინეს.

ამა წლის ივლისში მუენხენში შე-
სდგა შემდეგ რუსულ ორგანიზაცი-
ათა ყრილობა: 1). რუსეთის ხალხთა
განმათავისუფლებელმა ბრძოლმა — კა-
ვშირი (სტორი). 2). ხალხთა მსახურ-
ფლობისათვის ბრძოლის ლიგა. 3).
განმათავისუფლებელი მოძრობის მხ-
ედართა კავშირი (სვოდ) და 4) უპა-
რტიონი.

აღნიშნული ყრილობა დაიწყო სა-
ბჭოთა კავშირში მყოფ ერთა შენა-
ხებ შემდეგი განცხადებით: —

„1. სახელმწიფოებრივი სისტემა,
რომელიც რუსეთის ხალხთა თავი-
სუფალ თანაარსებობის ინტერესებს
ყველაზე უფრო უზრუნველ ჰყოფს
არის კავშირი თავისუფალ და თანა-
სწორ — უფლებიან ხალხთა, ფედერ-
ატიული დემოკრატიული რესპუბ-
ლიკის სახით, რომელშიც ყველა ერ-
ოვნებათა წარმომადგენელთ შეეძ-
ლებათ აკტიურად მონაწილეობა მი-
იღონ სახელმწიფოებრივი ცხოვრე-
ბის ყველა დარგში, როგორც ცალკ-
ეულ ხალხთა საზღვრებში, ისე საე-
რთო სახელმწიფოებრივ არეში. ...

მხოლოდ ასეთ კავშირს შეუძლია
შექმნას გარანტია განვითარებისა
როგორც ერებისა, ისე ცალკეულ
მოქალაქეთათვის.

„2. რუსეთის ხალხთა თავისუფალი
კავშირის მოწყობა შესაძლებელია
მხოლოდ იმ საფუძველზე, თუ თვი-
თეულ ხალხს უზიარობოდ მიენიჭება
უფლება თვითონვე გამოარკვიოს
თავისი მომავალი ბედი, სახელმწი-
ფოებრივი დამოუკიდებლობის გამო-
ცხადებამდე. ერთად ერთ სწორ
ფორმად ხალხური ნებისყოფის გა-
მოსავლინებლად — შესაძლებელია
საყოველთაო კენჭის ყრა (პლენის-
ციტი) გაერთიანებულ ერთა (უნდ)
მეთვალყურეობით.

„3. კენჭის ყრა გამოყოფისა ან რუ-
სეთის ხალხს კავშირთან სახელმწი-
ფოებრივი კავშირის შენარჩუნები-
სათვის, მოხდება არსებული დიქტა-
ტურის ჩამოგდების შემდეგ, გატარ-
დება არსებულ საკავშირო რესპუბ-
ლიკათა ტერიტორიებზე, — ქადა-
გებისა და პროპაგანდის აუცილებ-
ელი უზრუნველყოფით, როგორც
სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლო-
ბის მომხრეთათვის, ისე რუსეთის ხა-
ლხთა საერთო კავშირთან სახელმწი-
ფოებრივი კავშირის შენახვის დამც-
ველთათვის.

ასეთ კენჭის ყრაში მონაწილეო-
ბის უფლება უნდა ჰქონდეთ ყველა
მოქალაქეთ, მცხოვრებთ რომელიმე
ტერიტორიაზე კენჭის ყრის დროს,

სქესის, ეროვნების, სარწმუნოების და პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად.

„4. საყოველთაო სახალხო კენჭის — ყრის შედეგი სავალდებულო უნდა გახდეს როგორც მათთვის, ვინც უმრავლესობაში იქნება, ისე მათთვისაც, ვინც უმცირესობაში დარჩება.

ამიტომ, თუ რომელიმე საკავშირო რესპუბლიკის მოსახლეობა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამყარების მომხრე იქნება, რუსეთის ხალხები ძალადურ ჯომებს არ მიმართავენ და თავისუფალი კენჭის ყრის შედეგს აღიარებენ.

თავის მხრივ, სახელმწიფოებრივი გამოყოფის მომხრეებმა უარი უნდა განაცხადონ როგორც თვითნება მოქმედებაზე, რომელსაც შეეძლება სახალხო კენჭის ყრის შედეგს წინ გაუსწრონ, ისე ყოველ გვარ (დაზე, არ დაემორჩილონ მას, ან ძალით შესცვალონ იგი.

„5. როგორც მთლიანად ფედერატიული რესპუბლიკაში, ისე ახალ სახელმწიფოებში, თუკი ესენი პირველს გამოეყოფიან, უზრუნველ ყოფილი უნდა იქმნან უფლებანი ყველა ეროვნულ ჯგუფთათვის.

„6. რუსეთის ხალხთა დემოკრატიული ორგანიზაციები, თანხმდებიან რა ერთად ბრძოლაზე კომუნისტური ტირანიის წინააღმდეგ დაუშვებელ-

ად უნდა აღიარებდნენ ეროვნულ და სარწმუნოებრივ შეურთებლობასა და მტრობას ხალხთა შორის. ასეთი მტრობა შეუძლებელად ხდის თანამშრომლობას საერთო მტრის წინააღმდეგ, — კომუნისტური დიქტატურის წინააღმდეგ.

შინიშვნა: ეს გარდაწყვეტილება არ ვრცელდება სუფიერულ სახელმწიფოებზე; რომელიც დაიპყრო სკაღინმა ჰიტლერთან კავშირის შემწეობით 1939 — 1940 წ. წ. ამ სახელმწიფოთა უზენაესობა თავისთავად აღსდგება, და ამ ქვეყანათა მომავალი ბედი დამოკიდებულია მხოლოდ მათ ხალხთა ნებაზე“.

ასეთი არის ეს განცხადება საბჭოთა კავშირში შემაგვალ ერთა შესახებ, რომელიც სრულად ახალი სიტყვაა რუსულ ემიგრაციაში. რასაკვირველია, ამ სიტყვის გაგონებამ ძველ რუსულ ემიგრაციას ყურები ატკინა და უკვე დაიწყო ამ ახალი სიტყვის წარმომთქმელთა წინააღმდეგ გაფთვებული ბრძოლა — მათ უწოდებენ სამშობლოს მოლაპატრებს, გამყიდველებს, გამკრძობებს, სულელებს, ბრყვებს და სხვა. მაგრამ ეს უხეში თავდასხმა ისტორიის ჩარხის ტრიალს ვერ შეაჩერებს და ეროვნული თავისუფლების გზაც გაიკაფება.

ნონო. არსებობს კიდევ ამგვარივე კომიტეტი ფილადელფიაში, მაგრამ იგი ცხადად არ მუშაობს.

ლაიონსის კომიტეტის მიზანია თავისი ამერიკული კომიტეტის გველად ყოვლისა რუსულ ემიგრაციას დაუკავშიროს და შემდეგ მას ყველა სხვა, ს. ს. ს. — რის ფარგლებში შემაგვალ ერების ემიგრაციაც მიუმატოს.

ევროპას ამ ბოლო დროს ეწვია დასახლებული კომიტეტის წარმომადგენელი ის. დ. ლ.-ი. მუენხენში იმყოფება აგრეთვე ამ კომიტეტის წარმომადგენელი ჩ.—, რომლის ამოცანაა შექმნას რუსული პოლიტიკური ცენტრი, დაწყებული მონარქისტებიდან და გათავებული ვლასოვილებით. პირველად ყოვლისა მუენხენში შესდგა — როგორც სჩანს ამერიკული მუშაობის შედეგად — ყრილობა რუსულ დემოკრატიულ ორგანიზაციათა, რომელთა სახელები შემდეგია — 1) რუსეთის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის კავშირი, 2) სახალხო თავისუფლებისათვის მებრძოლი ლიგა, 3) განმათავისუფლებელი მოძრაობის მხედართა კავშირი. ამ ყრილობამ უკვე გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც ს. ს. ს. რ. — ის ერებს უნდა მიენიჭოთ თავისუფლება, თვით განცალკევებამდე.

რუსული ცენტრის შექმნის შემდეგ, რასაკვირველია, შეეცდებიან, სხვა ერთა ემიგრაციის წარმომადგენელთა გაერთიანებასაც რუსულ ცენტრთან, რათა შეიქმნას საერთო ფრონტი ბოლშევიკების საწინააღმდეგოდ. უეჭველია, ქართველებსაც მიმართავენ, — და აქ უნდა ჩემი კერძო აზრაც მოგახსენოთ ამ საკითხის შესახებ.

ქართული ემიგრაციის პარტიული საერთო ფრონტი დიდი ხნის განმავლობაში იყო წარმოდგენილი ეგრედ წოდებულ პრომეთეს ფრონტში, რომელიც პოლონეთის მფარველობით არსებობდა და რომელშიც შედიოდნენ (გარდა რუსულისა და სომხურისა) ემიგრაციის ყველა დემოკრატიული პარტიათა წარმომადგენლები. ამ ფრონტს ბევრი არაფერი გაუკეთებია, მაგრამ სიტყვიერ და კალმურ ბრძოლას მაინც აწარმოებდა.

მით უმეტეს, დღეის აქტიური პოლიტიკის ხანაში, პრინციპაალურად მისაღები უნდა იყოს ქართული დემოკრატიული ძალებისათვის რუსეთის მიერ დამონებულ ერთა კავშირის დაარსება და მასთან თანაბრობა. კიდევ მეტიც, ყოველი გულწრფელი პატრიოტი ამგვარ გაერთიანე-

ამერიკის შეერთებული შტატები და ემიგრაციაში მუშაობა

უკვე აღარავისათვის საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს ის მოვლენა, რომ ამერიკული შეერთებული შტატების ორგანიზაციები საბჭოთა რუსეთიდან გამოსულ ემიგრაციას დაუახლოვდნენ და მათთან საქმიან მოლაპარაკებას აწარმოებენ.

საბჭოთა კავშირის საკითხი დღეს პირველ რიგზე სდგას, როგორც ამერიკის სახელმწიფოებრივ ხაზზე, ისე საზოგადოებრივი მუშაობის არეშიც.

ამერიკის სენატმა დაამტკიცა უსტარი, რომლითაც იგი საბჭოთა ხალხებს მეგობრობას უცხადებს და პრეზიდენტმა ტრუმანმა იგი უმაღლეს საბჭოს თავჯდომარეს შვერნიკს გადაუგზავნა. მოსკოვში ეს უსტარი გამოაქვეყნეს იმ დადგენილებასთან ერთად, რომელიც საბჭოთა უმაღლესმა საბჭომ მიიღო და რომელიც თავის სიყვარულს აცხადებს ყველა ხალხისა, და კერძოდ, ამერიკის ხალხს მიმართაც. ეს კუკუმალიობაა — პოლიტიკური და დიპლომატიური, — სინამდვილეში კი მოსკოვი შეუსვენებელად დანასა ლესავს თავისუფ-

ფალ ხალხთათვის ყელის გამოსადიდრავად. მაგრამ ამასთანავე ამერიკაც დიდძალ საჭურველს ამზადებს და მოგერებისათვის ემზადება.

მეორე მხრივ ამუშავდნენ საზოგადოებრივი ძალებიც, ამერიკაში და არსდა კომიტეტი მისის ჰეტლის თავჯდომარეობით, რომელსაც ეწოდებდა „თავისუფალი რუსეთის მეგობართა კომიტეტი“. — ამას მოჰყვა მეორე კომიტეტის დაარსება, რომელსაც თავჯდომარეობს ევგ. ლაიონს, რომლის წარმომადგენელი მუენხენში არის სპ. უილამსი. ამ კომიტეტის სახელია: „ამერიკული კომიტეტი ს.ს.ს.რ. — ის ხალხთა განთავისუფლებისათვის“. ამ კომიტეტის მთავარი დებულებაა — საბჭოთა კავშირის ერთა სრული თავისუფლება თვითგამორკვევისათვის. თავის განცხადებაში კომიტეტი ამბობს — არსებობს ყველასათვის საზიზღარი ს. ს. ს. რ. — ის სახელმწიფო; იგი უნდა მოისპოს; მისი მოსპობის შემდეგ, მასში შემაგვალმა ერებმა თავისი საკუთარი გზა უნდა გამოსძებ-

ბას უნდა მხურვალედ მიესალმოს და ხელი შეუწყოს.

მაგრამ იამის საკითხი — შეიძლება თუ არა ამ ერების გაერთიანებაში ბოლშევიზმის საწინააღმდეგოდ, რუსების წარმომადგენლებიც შედიოდნენ? ეს კითხვა თითქო მარტივია, მაგრამ, თუ ჩავუკვირდებით რთული და წინააღმდეგობით სავსე.

ასეთ გაერთიანებაში შემაჯავლი რუსული წარმომადგენლობა, უეჭველია, ყველაფერში უპირატესობას მოითხოვს და ამ ფრონტში თავიდანვე განსაკუთრებულ პოზიციას დაიკავებს. რუსეთის ხალხი საუკუნოებით ბატონბატრონია ცალკეულ ერთა ტერიტორიის, სუვერენობის და საერთოდ სეპედეისა; არიან ცალკე ადმინისტრატორები — უკრაინელი, სომეხი, ქართველი და სხვანი, მაგრამ ხელისუფლების უმაღლესი ფუნქციები რუსის ხალხს ეკუთვნის. ეს მისი სახელმწიფო იყო და დარჩა.

სხვა ერებს სწადიათ თავის დახსნა (დღეს უითელი რუსეთისაგან) ე. ი. ძალაუფლების გამოგლეჯა რუსეთის ხალხისაგან ამა თუ იმ ტერიტორიაზე. რუსობა სხვათა უფლებებს დაპატრონება და ამ უპირატესობაზე ხელი უნდა აიღოს. დანარჩენმა ერებმა კი, ეს უფლებები უნდა მიიღონ.

ამ ვალდებულების შესრულებას ნებაყოფლობით ძვირად თუ მოინდომებია ვინმე...

ამიტომ აქ აშკარადება ფრონტის გარღვევა და ძალთა დაპირისპირება. მაგრამ ბრძნული პოლიტიკა ხშირად დათმობებს მოითხოვს; მით უმეტეს — თუ ძალთა განწყობილება რომელიმე მხარისათვის საეჭვოა.

რუსეთის ფარგლებში შემაჯავალ ერთა ფრონტი დღეს დიდი ფაქტორია; ეს ერები საბჭოების ბატონობამ გაათვითცნობიერა და შეადულა ის სახიფათო ძალადაც იქცა რუსეთისათვის. და ამ დროს შორსმჭვრეტელი რუსი პოლიტიკოსი შეეცდება ის მაინც გადაარჩინოს, რისი გადარჩენაც კიდევ შესაძლებელია. ამ მდგომარეობას ძველ ემიგრანტულ წრეებზე უფრო კარგად ხედავენ რუსეთის ახალი სინამდვილის და ძალთა განწყობილების მცოდნენი ახალი ემიგრანტები და ამიტომაც სწორი მათგანი გაბედულად ადგებიან რეალური პოლიტიკის გზას და დათმობებზე მიდიან. თუ ამათ შესაფერი გავლენა მოაზრდეს, ეს იქნებოდა ის ძალა, რომელიც ერთა გაერთიანებულ ფრონტში სათანადო ადგილს დაიკავრდა.

დღეს ბოლშევიზმი არა მარტო დამონებულ ერებს რყენის და ანადგურებს; არამედ თვით რუსებსაც საჭიროა მისი საერთო ძალებით შემუსვრა და მისგან მალე განთავისუფლება, რათა ყველა ერი უდიდეს ხიფათს ასცდეს.

ამ ბრძოლაში ყოველი ერი თანასწორი უნდა იყოს... აქ რუსი, ანუ უკეთ, გელიკოროსი, შედის არა როგორც ბატონი, არამედ როგორც სხვებივით დამონებული. ამიტომ რუსებმა უნდა აღიარონ ეს თანასწორობის პრინციპი ხვალისათვის.

ის განცხადება, რომელიც ეროვნული საკითხის შესახებ მიუხეხნში გამოაქვეყნეს, დიდ და ძალიან დიდი ნაბიჯია რუსების მხრივ გადადგმული, მაგრამ მხოლოდ პირველი ნაბიჯია და ჩვენთვის მთლად დამაკმაყოფილებელი მაინც არ არის და აი რატომ —

მოხსენებული განცხადების მიხედვით: რუსული ორგანიზაციები სხვა ერების მიმართ რუსეთს მაინც ბატონად სთვლიან; რუსეთს სხვა ერების პატრონად აღიარებენ თავისთავად; და ბოლშევიზმის დამხობის შემდეგაც ამ ერებს რუსეთის ფარგლებში სტოვებენ; მხოლოდ შემდეგ აძლევენ მათ უფლებას — მოახდინონ პლენისციტი იმ საკითხის შესახებ — სურთ მათ რუსეთის საკავშირო ფარგლებში დარჩენა თუ აქედან გამოსვლა!

ჩვენი დებულება სრულიად საწინააღმდეგოა : — რუსებმა უნდა ენლავე; წინდაწინვე უარი განაცხადონ სხვა ერების მიმართ უფლებაზე მათ უნდა აღიარონ, რომ ისინი (რუსები) საბჭოთა „კავშირში“ ძალმომრეობით შეყვანილ ერთა დამოუკიდებლობას სცნობენ; რომ ეს ერები, საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შემდეგ თავისთავად, მექანიკურად განთავისუფლებიან და თავის სუვერენობას აღადგენენ. მოკლედ, მათ უნდა განაცხადონ ყველა ერის შესახებ ის, რაც უკვე აღიარეს ბალტიელ სახელმწიფოთა შესახებ. შემდეგ კი ცალკეული ერის საქმე იქნება — მოისურვებს თვითიული მათგანი რუსეთთან ერთად საკავშირო სახელმწიფოს შექმნას თუ არა. ერთი სიტყვით, ეს ფედერაცია მომავალ, თავისუფალ ერთა სურვილიდან უნდა გამოდრიოდეს.

ეს დღად გაადვილებს ამ ერების ერთად დარაზმვას და ბოლშევიზმის წინააღმდეგ შეტევის საქმეს.

თუ ეს რაჟიმი გაგრძელდა, რუსის დიდი ერიც ისევე დაიღუბება, რო-

გორც პატარა ერები ქართველთ, სომეხთა, ლიტოველთა და სხვ. და აი, საერთო სასიცოცხლო ინტერესები გვიკარნახებს გულწრფელთა ნამშრომლობას, ურთიერთის ცნობივიდულ მეობის პატივისცემა და თავის დადებას.

ყველა დაპყრობილი ერი დღეს ერთნაირად უუფლებოა და არ შეუძლია ერთი მეორეს რაიმე მისცეს. ასევე დაპყრობილია რუსობაც დღეს, როგორც ყველა სხვა. „კავშირში“ მომწყვდელი ერები.

მაგრამ მაინც დღეს გაჭივრებაში გამობრძმედილი ერთობა და ძმობა, ხვალის თავისუფალი კავშირის საწინდარია. პატრიოტი რუსები ამას კარგად უნდა ჩავუკვირდენ და ამ ერების მებრძოლ რიგებში ჩადგენ.

ჩვენ ძალიან კარგად წარმოგვიდგენია, რომ მრავალი ერი, დღეს რუსეთის „კავშირიდან“ ამ ფედერაციას ხვალ თვითონვე მოიწადინებს.

ასევე გვჯერა, რომ კავკასიის ერებიც ასეთ კავშირს ურთიერთ შოლის ხელსაყრელად დაინახავენ.

აი, თუ ასეთი დაჯგუფება რუსებისაგან (თვით რუსეთის გადასარჩენად) ჩამოყალიბდება, ჩვენ მასთან ვითანამშრომლებთ გულწრფელად და ყველა ერის ემიგრაციასაც აქეთკენ მოვუწოდებთ.

ასეთია ეს საშური საქმე, და ახლა სიტყვა თვით რუსებს ეკუთვნის.

დონაური



ვიორგი ერისთავი, დრამატურგი და ქართული თეატრის დამაარსებელი.



შარშან შესრულდა 100 წლის თავი თანამედროვე ქართული თეატრის დაარსების შემდეგ, მაგრამ ეს კრებული „მამული“ ჯერ კიდევ არ არსებობდა და ამიტომ ვერ შევსძელით ამ დიდი თარიღის აღნიშვნა. წელს მაინც მივუძღვნით მას ორიოდე სიტყვას...

ძველი ქართული თეატრი

ქართული თეატრის პირველი სახეობა უეჭველად მისტიკურია უნდა ყოფილიყო. ბერიკაობა, ძერაობა და სხვა ამგვარი სახალხო თამაშობან წარმართული ხანიდან მოდიან. ქრისტიანობის შემოღებამ წარსართულ გართობებსა და მისტიკებს ბოლო მოუღო, მაგრამ მათგან გადარჩენილი ეკლესიასთან შეგუებული იყო ქრისტიანული დღეობების სახით სხვა და სხვა თეატრალური გამომსახულება.

ქართულმა ეკლესიამ თვით განავითარა თავისი საკუთარი რელიგიური თეატრი, ეგრედწოდებული — მრჩობლთა თეატრი, სადაც სცენაზე მხოლოდ ორი პირი გამოდიოდა და საეკლესიო შინაარსის ამბებს ათამაშებდა. ამ თეატრის დანიშნულება იყო — ღმრთისმეტყველებრივ წიაღმავლობა და ცოდვილთა მოქცევა. ეს იყო ქართული რელიგიური თეატრი.

მაგრამ ამას გარდა არსებობდა საერო თეატრიც. იუმცა მას ეკლესია წინააღმდეგობას უწევდა. ეს თეატრი, რასაკვირველია, დღევანდელი თეატრის სახე არ არის და მას უფრო გართობის მნიშვნელობა ჰქონდა. გიორგი მონასხონის „ხრონოგრაფის“ არსენის თარგმანში, მომღერლობა თამაშობის, სახელდობრ დრამატული მსახიობობის აღმნიშვნელია (ბერძნული „ტრაგოდონ“). (იხილეთ ბოორ — გეორგი მონასხი ხრონიკონ. 1. გვერდი 381).

ძნობა და მძნობარი, თუ მძობრი, უძველეს ხანაში, უმთავრესად გუნდობრივობის მცნებასთან ყოფილა დაკავშირებული და უფრო სარწმუნოებრივი ცეკვის აღმართულებელთა გუნდებს ჰგულისხმობდა, მაგრამ რაკი ყოველი ასეთი როკვა (ცეკვა) ჩვეულებრივ გალობა-საკრავების აყოლებით იცოდნენ, ამიტომ მაგალობელთა გუნდის აღმნიშვნელადაც ქცეულა და ამ ტერმინის მნიშვნელობა: შავთელს, ჩახრუხაძეს და საბასაც სწორედ ასე ესმოდაო, ამბობს პროფ. ივანე ჯავახიშვილი (იხილ. მისი — ქართულ მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები. თბილისი, 1938. გვ. 52).

ჩვენ არ ვიცით, საქართველოში ბერძნული ძველი ტრადიციების მგავსად იწყობოდა რაიმე თუ არა, მაგრამ მომღერლობა რომ „ტრაგოდონ“ ყოფილა, — ეს აღსანიშნავია.

სიმღერა, როკვა და აკრობატიკა ჩვეულებრივი თეატრალური სახეობაა შუა საუკუნეთა თეატრისათვის და ამგვარი საქართველოშიც ძალიან გავრცელებული ყოფილა. ამ სახეს თეატრი იმართებოდა სასახლეში, ლაშქარში, დიდგვარიანთა ოჯახებში, განსაკუთრებით დღე-

სასწაულებზე, დღეობებზე, ქორწილში და დიდ ნადიმზე. ამგვარი თეატრობანი იმდენად გავრცელებული ყოფილა, რომ მათ ლაშქარის დისციპლინის დარღვევასა და უწესოებას სწამებენ. ამით არის დასაბუთებული დავით აღმაშენებლის (1089 — 1125) მიერ გამოცხადებული აკრძალვა, რომლის შესახებ ისტორიკოსი ამბობს — „საემშაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი და ყოველი უწესობა მოსპობილ იყო ლაშქართა მისთა“-ო.

ეს საემშაკო სიმღერანი და სახიობანი ეკლესიის მიერ მიჩნეული იყო „ღმრთის განმარისხებელ გინებად“, მაგრამ ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას თავისი თეატრი სჭირდებოდა და იგი მას ჰქონდა.

რა უნდა ყოფილიყვნენ ეს საემშაკო სიმღერანი და სახიობანი, ამაზე გარკვევითი ახსნა არაა მოცემული. მაგრამ თვით სიტყვის მნიშვნელობა მოგვითითებს თავის შინაარსზე. საემშაკონი სიმღერანი არიან: სიყვარულის სერო ვალობანი, ვინაიდან სიტყვა სიმღერა აქ სოფლიო ხმოვანება არის, ხოლო სახიობა არის მუსიკა მწყობრი ძალთა (სიმებიანი) და საკრავთანი და ხმონება ტკბილი, ვალობა თუ სიმღერა, როგორც ამას ს. ს. ორბელიანი განმარტავს. მამასადამე, მაშინდელ ქართულ თეატრს ეკუთვნოდა სიმღერა და მუსიკა. მაგრამ ამას გარდა მას აშვენებდა აგრეთვე ცეკვა და აკრობატიკა, როგორც ამას გვიდასტურებს სხვა ცნობა, რომელიც თამარ მეფის ქორწილს შეეხება — „იყო ზმა მგოსანთა და მუშაითთა სახეობათა მჭურეტელობანი“, „დასდევს ნადიმი, სიკეთე სიტურფე გამოუთქმელი, სიხარული იყო და ზმა მგოსანთა და მოშაითთა“... უფრო ვრცლად ეს სურათი ნაჩვენებია ვეფხისტყაოსანში, სადაც ნადიმს არ აკლია არც მგოსანი, არც მომღერალი —

მომღერალნი და მუტრიბნი არ იყვნეს სულ-დაღებულნი, ხმა სცემს ჩანგი ჩაღანასა, მომღერალნი იყვნეს რულნი, მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის მსმელი...

მგოსანი და მუშაითი უხმეს, ჰპოვეს რაცა სადა...

ეს ქართველი მგოსანნი არიან ევროპელი მინნეზენგერები და ტრუბადურები (ვაჟნი და ქალნი, აკომპანიმენტით მომღერალნი), ხოლო მუშაითი კი არის აკრობატი, ყონგლერი —

ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდიან, მასწავლნეს მათი საქმენი, მახტუნებდიან, მწვრთნიდიან, ასრე ვავიდე საბელსა, რომ თვალნი ვერ მომიკიდიან...

ქართული თეატრის ეს სახე — ვალობა, სიმღერა, ცეკვა, ლექსთა თქმა, მუშაითობა, — რომელიც ევროპაში შუა საუკუნეთა თეატრს სავსებით წააგავდა, საქართველოში მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდე დარჩა.

ვახუშტი ბატონიშვილი (1696 — 1777) გვიამბობს — დღესასწაულზე, თუ ქორწილში იმართებოდა ყაბახი, მერმე „შემოვიდიან მეფესა თანა, შეჰქმნიან ნადიმი და პურადობანი დიდნი, მგოსან სახიობითა; არამედ კათალიკოსნი და ეპისკოპოსნი ვიდრემდის იყვნენ მუნ, არ იყო მწყობრთა ძალთა ცემანი (ორკესტრი), არა-

მედ ვალობანი; ხოლო შემდგომად წარსვლისა მათისა იყო მგოსანთა, მომღერალთა და ყოველთა სახიობათა ცემანი“-ო.

იგივე იყო ევროპაშიც — 1556 — 84 წლებში, მაგალითად, პრუსიის მარკგრაფის სასახლეში თამაშობდნენ ინგლისელი კომედიანტები, რომელნიც შემდეგ ხელოვანთაგან შესდგებოდნენ — მუსიკოსები, დაბ-დაბის დამკვრელნი და მსტვენავნი. შემდეგ ხანაში ამგვარსავე დასებს ვხვდებით სხვა სასახლეებშიც; სადაც აგრეთვე მუსიკოსები, მსახიობნი, თოკზე მოთამაშენი (მუშაითნი), კლოუნები და სხ: იყვნენ. 1586 წელს ასეთი დასი იმყოფებოდა დანემარკის სასახლეში, და შემდეგ, გერმანიის სხვა და სხვა ქალაქში. აქედან განვთარდა დრამა, ტრადედია და კომედია.

ერეკლე მეორეს დროს (1762 — 1798) ევროპიული და რუსული გავლენით თბილისში წარმოიშვა ახალი სახის თეატრი, ისეთი, როგორც ეს დღეს ცნობილია. სასახლესთან დაარსდა დრამატიული დასი, რომელიც წარმოდგენებს მართავდა. ამ მიზნით გადათარგმნეს კორნელის, რასინის, ვოლტერის და რუსთა დრამები და კომედიები. იმ დროიდან დარჩენილია თეატრის ბილეთი, რომელსაც ასე აწერია — შაური ორი — გაბრიელი მაიორი.

გაბრიელ მაიორის მიერ მოწყობილ წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობდნენ — ერეკლე მეფის და გიორგი მეფის ასულნი, ბატონიშვილი დავითი, იოანე ერასტი თურქესტანიშვილი და სხვანი.

პირველი ქართული წარმოდგენა, რომელიც ამ დასს გაუმართავს, ყოფილა თვით გიორგი ავალიშვილის პიესა — „მეფე თეიმურაზი“. ეს პიესა დაკარგულია, მაგრამ ცნობილია მისი ერთი ადგილი, რომელიც ასეთი ყოფილა: მეფე თეიმურაზი წარმოდგება საფლავიდან, დაინახავს ქალაქელ მილუაშვილს, ევროპიულად გამო-

წყობილს, საერთოდ ხედავს ქართველთა ზნეჩვეულების გამოცვლას და ამბობს — „ჰაი გიდი საქართველო!“-ო. და მიმართავს ერეკლე, პატარა კახს, რომ მან სამართლით განაგოს ქვეყანა...

ქართული თეატრის სულის ჩამდგმელი, ბეტორი, მთარგმნელი და დამდგმელი გიორგი ავალიშვილი, პოლიტიკურ ასპარეზზე ცნობილი როგორც ერეკლე მეფის ელჩი პეტერბურგის ტახტთან, წარმოდგენის დაწყების წინ ლექსს ამბობდა ხოლმე, რომლის ერთი ნაწყვეტი ასეთი არის —

მე სახედველნი იგ ჩემნი დავაშვრუ წიგნთა წერითა, ზოგთ ჩემით მოქმედებულზე, ზოგთზე სხვით გადმოწერითა,

მსმენელთ ვევედრებ, ნუ მკიცხვენ ამა ლექსისა მღერითა, არ დაიშლიან, მაჩვენონ იგ, თუ ვმსახურე მე რითა...

საქართველოს სამეფოს დამხობისა და რუსთა გაბატონების შემდეგ არ ჩამქრალა ეს კულტურული კერა და თეატრალური მუშაობა კვლავ გაგრძელდა ახალი ძალებითაც. კვლავ იმართებოდა წარმოდგენები და მათი მფარველი და ხელის გამმართავი იყო, იონა მეუნარგიას მოხდენილი და კობტა. გამოთქმა რომ ვისმართო, ქართველი მადამ რეკამიე — მანანა ორბელიანი.

მაგრამ სჩანს: ქართული წარმოდგენა სისტემატიურად არ იმართებოდა და თბილისში დაარსებულმა რუსულმა დასმა მას ბოლო მოუღო...

მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარის დასასრულს ჩაეყარა საფუძველი ქართულ თეატრს.

გრავ ვორონცოვის დახმარებით და გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით თბილისში დაარსდა დრამატიული დასი და შეიქმნა ქართული თეატრი, რომელმაც 1850 წლის 2 იანვარს პირველად დასდგა ქართული წარმოდგენა.

ბ. ვარდანი



ქუთაისის დრამატიული დასის პირველი მესამედიის რეჟისორობით

(100 წლის შესრულების გამო)

ცნობა ქართული თეატრის ისტორიული ჩანასახის შეახებ ჩვენს მწერლობას ფრაგმენტებად ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნის დასაწყისიდან შემოუნახავს. დავით აღმაშენებელი თეატრს ქართველთა აღმზრდლობისათვის შესამჩნევ ფაქტორად სთვლიდა. მაგრამ ენლა ჩვენს მიზანს არ შეადგენს ამ სათავეების, ქართულ „მუშაითობისა“ და „სახიობის“ შესწავლას და არც უფრო ახლობელ ეპოქაში, განსაკუთრებით ერეკლე მეფის დროს, საკმაო სიმძლავრით გამომჟღავნებულ, თეატრალურ კულტურის გზების კვლევას შევუდგეთ.

ეს საგანი გაცივრით აღნიშნული აქვთ ჩვენს მკვლევართ და თითქმის ვერც ერთი სეროზული შესწავლა საქართველოს მეთვრამეტე საუკ. კულტურულ კვალისა გვერდს ვერ აუხვევს ქართულ „სასახლის თეატრის“ მოკლე განხილვას. ქართული საელჩოს წევრი; დესპანი გიორგი ავალიშვილი, რომელიც უეჭველად მაშინდელ „ბრწყინვალეთა“ წრეს ეკუთვნოდა და ევროპის კულტურის სათავეებს უხვად იყო ნახიარვეი, ერთი პირველთაგანი შეუდგება ქართულ თეატრალურ საქმეს, ერეკლეს კარზე, ის სხვა და სხვა ფსევდო-კლასიკურ პიესებს სთარგმნის და აქართულებს და ზოგს თვითონაც სწერს დიდებულ მეფის და მისი კარის შესაქცევად.

ამას მოსდევს ნიჭიერი დრამატურგი, ვოლტერია-ნელი დ. ჩოლოყაშვილი, რომელმაც თავისებურად გადმოაქართულა რასინის „ფიგენია“ და სხ. (იხილეთ პრ. ცაგარელის „პამიატნიკი“).


მაგრამ სხვებზე უფრო გულმოდგინებით და ნაყოფიერებით ქართულ თეატრალურ მწერლობის სამსახურს ცნობილი მგოსანი ალ. ჭავჭავაძე; დის შვილი გიორგი ავალიშვილისა და ძე ცნობილ ელჩის გარსევანისა, შეუდგა; მან ჩვენი დრამატიული ლიტერატურა გაამდიდრა კორნელის, რასინის და ვოლტერის თარგმანებით.

აღსანიშნავია, რომ ცნობილი კომედია გრიბოედოვისა: „ვაი ჭკუისაგან“ ოცდაათიან წლებში პირველად სწორედ მგოსან ალ. ჭავჭავაძის ოჯახში დაიდგა; ეს კაცი იყო არა მარტო იმამრი რუსთა დიდ პოეტისა; არამედ მისი კულტურული და სულიერი პატრონი და მრჩეველი...

მაგრამ ამჟამად, როგორც ვსთქვით, ჩვენ ქართულ თეატრის ისტორიას არა ვსწერთ და ეს ფრიად საინტერესო თემა სხვა დროისათვის უნდა გადავსდოთ...

ამხელად ჩვენი მიზანია გავიხსენოთ ამბები, რომელთაც ერთი საუკუნის წინ ჰქონდა ადგილი, და სათანადო მოწიწებით და პატივით მოვიგონოთ ის პირნი, რომელთაც ამ ერთი საუკუნის წინ იფიქრეს ქართულ სათეატრო კულტურის ხარვეზების ამოვსებაზე.

გაოცებული დგხართ ამ თავგანწირულ, მართლაც გამბურულ მამულიშვილთა ღვაწლის წინაშე. ესენი იყვნენ მამულისათვის თავდადებულნი, რომელთაც ესმოდათ:



გაყრა“ გ. ერისთავისა სცენა პირველი წარმოდგენიდან ბ. ორბელიანი - ანდრეევსკისა. ან. ორბელიანი გაგარინისა

რომ საქართველო არც 1795 წლის და განსაკუთრებით არც 1801 წლის შემდეგ არ მომკვდარიყო, რომ მას სიცოცხლე და საკუთარ ფეხზე დადგომა სწადდა...

ეს თაობა, რომელმაც განიცადა 1832 წლის შეთქმულების დამარცხება, ქართველი ერის ეს უდიდესი კატასტროფა, მიხვდა; რომ მემატიანემ „აჯანყებთა“ და ძველის აღდგენის და გაცოცხლების ფურცლები დაამთავრა; ეხლა მან იქ მძიმე და მტკივნეული, მაგრამ მაინც იმედიანი სტრიქონები დაანახვა ქართველობას და ახალი მცნებანი მისცა... ეხლა იყო საჭირო ძველ ტკივილების მოშუშება და ქართველი ერისათვის ახალ გზათა, ეროვნულ კულტურის დოვლათთა ჩვენება ქართული სულის გამრთელებისათვის, მისი ახალი პალატის აგებისათვის ახალი ბრძოლა უნდა დაწყებულიყო და ეს ბრძოლა ქართულ კულტურულ კერასთან უნდა გაჩაღებულიყო.

უკვე ნახევარი საუკუნე ბატონობდა რუსეთი საქართველოში — სდევნიდა და ანადგურებდა ყველაფერ ქართულს და ეწეოდა აფვირახსნილ რუსიფიკაციას. ქართველობას არ შეეძლო ამ სტიქიურ ძალის გამკლავება, მისი ხრმალი საბოლოოდ 1832 წ. გადასტყდა და ეხლა მას სულ სხვა გვარი იარაღი უნდა აეღო ხელთ და დაბნეულ, იმედგაცრუებულ ხალხისათვის სკლავ სული შთაებერა.

აქ შესაძლებელი იყო მეორე, უარეს უკიდურესობაში გადაჩეხა: უიმედობას მიცემული ერის შვილი საცხებით გადაიბანაკებდა მტერთან და მის სამსახურს და ერთგულებას შეაღწევდა თვის ძალებს, რათა ამით საცხოვრებელი სახსარი გაეჩინა და თავი როგორმე გაეტანა. ქართველს ეროვნული და ეკონომიური დასაყრდენი გამოაცალეს.

რუსის მოხელეთ განდობა, რუსულ ენის, კულტურის, ზნე - ჩვეულების ათვისება; რუსულ ჯარში სამსახური იყო ამჟამად ერთად - ერთი გზა. „ვისაც არა ჰქონდა ჩინი, ყველგან სამსჯავროებში და სხვა სასამართლოებში ექცეოდნენ უპატიურად, ხან შეურაცყოფითაც, არსად არ უნდოდათ ეგდოთ ყური იმისათვის.“

...და ეს ყოველი ფეხის გადადგმაზედ ჩინოვნიკის გადამეტების გრძნობა და ჩვენება... რასაკვირველია თავდასაც და აზნაურსაც მოაშვლებინებდა ქუდსა უბრალო დიამბეგის წინა და მოანდომებდა, რომ თვითონაც მალე მიიღოს ჩინი, რათა თავის დროზე სხვასაც ეგრე აშვლებინოს თავის წინ ქუდი... ეს ყოფა ხალხს ანატრებდა ჩინოვნიკობას, რომლის სახელითაც... კაცს შეძლო დაუსჯელად დაეჩაგრა არამც თუ დაბალი ხალხი, ... არამედ იმისი თავად — აზნაურობაც-ო სწერს მაშინდელი მკვლევარი ვ. თულაშვილი „საქართველოს მოამბე“-ში.

ეს მდგომარეობა, როგორც აღვნიშნეთ, მთელი ნახევარი საუკუნე ნელ-ნელ განემტკიცებინა ახალ ძალას და საჭირო იყო მართლაც გმირული და მტკიცე შეძახება, რათა მთელი მოწინავე თაობა ამ კარიერის გზას არ გაჰყოლოდა, მთლიანად გარუსებას არ შესდგომოდა.

და ყველაზე უფრო მხნე და მედგარი გამოდგა ერთი ნაწილი ამ მოწინავე თაობისა, რომელიც არაფერს არ დაერიდა, ხმალი დროებით განზე გადასდო და ქართულ კულტურის სამსახურს ხელი მიჰყო. ეროვნული თვითშემეცნება, ქართული ვინაობის წინ წამოწევა; მისთვის — მისი აყვავებისათვის ღწევა, შეადგენდა ეხლა მის ამოცანას, რათა ქართველობამ დავიწყებას არ მისცეს თავისი მეობის მდიდარი სათავეები...

საბედისწერო ხანა იწყებოდა:

საქართველოში, მის დედა - ქალაქში ფეხს იკიდებდა რუსული ენა, მწერლობა, ხელოვნება, რუსული ჟურნალი; გაზეთი, თეატრი და მუსიკა.

ამას შეეძლო დაწაფებოდა მთელი ქართველობა, რომელსაც სხვა რამ სულიერი საზრდო ვერსად ეპოვნა და ასე ბუნებრივად მოხდებოდა სრული გადაგვარება...

„იმ დროს ტფილისში“, გვაუწყებს კ. მამაცაშვილი, „არაფერი საზოგადო გასართობელი ადგილი არა გვექონდა: არც თეატრი, არც კონცერტები, არც კლუბები... ჩვენი დროის გატარება იყო ან ერთად სადილი ან საღამოზედ ერთად ყრილობა... აქ იყო ლაპარაკი მაშინდელ ლიტერატურაზედ, სწავლაზედ, **სხვა და სხვა ჩვენ გარემოებაზედ**“... და სხ. (იხ. ნ. ბარათაშვილის საბიოგრაფიო მასალები, ი. მეუნარგიასი ს. ფირცხალავას გამოცემა).

ამრიგად, რუსეთი თუმცა საქართველოს პოლიტიკურ დამორჩილებს შემდეგ მის კულტურულ სიმაღლეებსაც ეპატრონებოდა, მაგრამ მოწინავე ქართველობა მაინც მტკიცედ ადგა თვის ეროვნულ გზას და ყოველგვარის საშუალებით ცდილობდა ქართული სული ამ საშინელ რღვევის დროსაც შეენახა. ამ ქართველობას გუშინდელი ამბები არ დავიწყნოდა: ის ვახშამზე თუ სხვა რამ შემთხვევის დროს ერთად იკრიბებოდა და მსჯელობდა ქართულ წარსულზე, მის ლიტერატურაზე და სხვა „გარემოებებზე“...

ამ პატარა ნაპერწკლიდან, ეროვნულ კერაზე რომ დაშთენილიყო, შეიძლებოდა მოულოდნელად დიდი



„სამშობლო“ დ. ერისთავისა

ციცხლი გაღვივებულყო, რომელიც რუსულ კალაპოტს და ზრახვებს აღარ დაემორჩილებოდა.

აი, ამ ვითარებას სწორად აუღო ალლო მაშინდელმა მთავარმართებელმა ვორონცოვმა, კაცმა უმაღლესი არისტოკრატიიდან გამოსულმა და ევროპის კულტურას უხვად ნაზიარებმა.

ამ მის ლიბერალიზმს ზედ ერთვოდა შიში შამილის გაძლიერების წინაშე და თუ რუსეთს ოდესმე მაინც უნდოდა მთის მოსტება და დამორჩილება, მას უნდა ქართველთათვის ხელი გაეწვდინა და ის დაეახლოებინა.

ვორონცოვის ეს პოლიტიკა შორით დამიზნებისა კარგად გაიგო მაშინდელმა მოწინავე ქართველობამ და მისი მაქსიმალურად გამოყენება მოინდომა.

წადილი ქართველ მოწინავე თაობისა და ვორონცოვის ერთმანეთს შეხვდა და აქ ჩაეყარა საძირკველი ქართულ კულტურის აღორძინებას ორმოცდაათიან წლებში.

ვორონცოვმა ფართოდ გაუღო ლუქსუსით სავსე სასახლის კარები ქართულ თავად-აზნაურობას, დაუახლოვა და შეაყვარა მას რუსული კულტურა და ზნეჩვეულება, მაგრამ მისი გულის საბოლოოდ მოსაგებად და დასაყვავებლად ქართულ საქმესაც უხვი დახმარება აღმოუჩინა. საქართველოს კვლავ უნდა გაცოცხლებოდა რუსეთზე მინდობის დამსხვრეული იმედები...

აქედან წარმოსდგა ქართული ჟურნალის განმტკიცების საქმე და, რაც მთავარია, საძირკველი ჩაეყარა ქართულ თეატრს. ამ ახალ საქმეს დიდი მატერიალური ღონისძიება სჭიროდა; ხოლო მაშინდელ თავად-აზნაურობას, გაჭირვებაში ჩაცვევნილს, არც საამისო რამ სახსარი გააჩნდა და არც სასარგებლოდ და საინტერესოდ სთვლიდა თეატრს; ვორონცოვმა ეს ხარჯები ხაზინას დააკისრა, და არა თუ დასის შექმნა მიანდო გიორგი ერისთავს, არამედ ქართული გამომცემლობ სათვისაც (ჟურნალი „ცისკარი“) საჭირო თანხაც გაიღო და დასის წევრთ - ქალთ და ვაჟთ მუდმივი ჯამაგირები დაუნიშნა. ეს მაშინ უდავოდ დიდი საქმე იყო; მაგრამ ჭკვიან ვორონცოვს კარგად ესმოდა: რომ ამ გზით უფრო დაიახლოებდა შეურაცყოფილ და დევნილ ქართველობას.

რუსულ წარმოდგენების და იტალიურ ოპერის პარალელურად ამ კაცმა საჭიროდ დაინახა ქართულ ყოფა - ცხოვრების თეატრიც შექმნილიყო თბილისში.

მან შესაფერ ძალებს ძებნა დაუწყო და ამ დროს მას მოახსენეს, რომ არსებობს უკვე ქართულ ენაზე ამგვარი პიესა, რომელსაც მრავალნი კერძოდ უკვე იცნობენ და რომ ამ პიესის ავტორია გორის მახლობლად, ხიდის თავში მცხოვრები გიორგი ერისთავი.

ვორონცოვმა ის სასწრაფოდ გამოიწვია თბილისში, გაეცნო მისს პიესას „გაყრა“ და მაშინვე წინადადება მისცა: მხურვალედ მოჰკიდებოდა ამ საქმეს: ეშოვნა ქართველი მსახიობნი, გაენაწილებინა მათში როლები და შესდგომოდა რეპეტიციებს.

გიორგი ერისთავი, ეს გმირი 1832 წლის შეთქმულებისა, რომელსაც რევდენიმე წელი პოლონეთში გადასახლებაში გაეტარებინა და თეატრალურ კულტურას რუსეთშიაც გასცნობოდა, დიდის მუყაითობით მოეკიდა საქმეს; თვის ნაცნობ - მეგობართა წრეში, სოფლად, მსახიობნი შეჰკრიბა; რაც მაშინდელ პირობებში მეტად ძნელი საქმე უნდა ყოფილიყო, (განსაკუთრებით მოთამაშე ქალების შოვნა), თბილისს ჩამოიყვანა, თავისთან დააბინავა და რეპეტიციებს შეუდგა.

მალე თბილისის საზოგადოებას საგანგებო აფიშებით ეცნობა, რომ — „გიმნაზიის ზალაში ქალაქის დარბაზს ხალხისათვის, ორშაბათს, 2 იანვარს 1850 წელსა წარმოდგენილი იქნება

..მიხილ და ქრისტინე
(ფრანციკულად)
და შემდეგ
პირველ ჯერ ქართულად
გაყრა

კომედია 3 მოქმედებად, თხზულება თ. გ. ერისთავისა. ამას მოსდევდა მომქმედ პირთა სია.

ამ წარმოდგენას დაესწრნენ ვორონცოვი და მისი ამალა. წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. განსაკუთრებით თავი ისახელა თვით ავტორმა და რეჟისორმა მიქიტუმის როლში. ვორონცოვი დიდად ნასიამოვნები

დარჩა. ცოტა ხნის შემდგომ, მასში იქვე წარმოდგენილი იქმნა გ. ერისთავის მეორე კომედია „დავა“...

აი, რას მოახსენებდა მთავარმართებელი ხელმწიფეს ამ წარმოდგენების წარჩინებულად ჩატარებულად საანგარიშო წლის ბოლოს: „

„1850 წ. დასაწყისში თბილისის საუკეთესო საზოგადოების წევრებიდან მოვახდინე პირველი ცდა ქართულ წარმოდგენებისა. ამ ცდამ დიდის წარმატებით ჩაიარა და დაგვანახა მუდმივი ქართული წარმოდგენების გამართვის შესაძლებლობა: გამოჩნდნენ არტისტები, შესდგა დასი; დავიწყებამს მიცემული მრავალი ძვირფასი ადგილობრივი სიტყვიერების ნაწარმოები აღორძინდა და გადავიდა სცენაზე; ამ ნაწარმოებში ჩართულია თანამედროვე თაობის საყოფაცხოვრებო ჩვეულებანი; ქართული ლიტერატურა გამოცოცხლდა, წიგნის ბეჭდვა აცნობს მას ხალხს და მე ვიმედოვნებ, რომ თქვენი იმპერატორული უდიდებულესობა ინებებთ დამერწმუნოთ, რომ ასეთს შედეგს შეუძლია იქონიოს უდიდესი კეთილი გავლენა მეცნიერებისა და გემოვნების განვითარებაზე, ზნე - ჩვეულებაზე და ადგილობრივი მოსახლეობის შეერთება - შეგუებაზე რუსეთთან“—ო... (აქტები, ტ. 10).

იმავე 1850 წ. თბილისს ეწვია მემკვიდრე ალექსანდრე (შემდეგ ალექსანდრე მეორე). როდესაც ამას დიდებულში ჯარების აღლუმი გაუმართეს, ვორონცოვმა მემკვიდრეს წინ წაუყენა გ. ერისთავი და ასე გააცნო: — „...ეს ქართველების მოლიერი გახლავთ“...

— „ფრიად მოხარული ვარ შევიტყო, რომ ქართველებს თვისი მოლიერი ჰყოლიათ“—ო — უბასუხა ალექსანდრემ და ღიმილით გაუწოდა ხელი გ. ერისთავს.

ამით საკითხი ქართუ თეატრისა დადებითად გადაწყდა: გკითხულობთ „აქტებში“. ვორონცოვმა გაიმარჯვა და მაშინვე სათანადო ბრძანება მისცა საოეატრო დირექციას...

მალე ქართულ წარმოდგენებს, რომლებიც სისტემატურად იმართებოდნენ, მტკიცე საძირკველი ჩაეყარა. საქმის გასაადვილებლად ქართულ პიესების ცენ-

F14815



ნატო გაბუნია - ცაგარელისა



ვალერიან გუნია



მაკო საფაროვი - აბაშიძისა

ზორად ცნობილი პლატონ იოსელიანი დაინიშნა და თვით გ. ერისთავი სახელმწიფო შტატში იქმნა ჩარიცხული, ვით ხელმძღვანელი ქართული დასისა.

წლიურად მსახიობთა ჯამაგირებად გადადებულ იქმნა 4. 000 მან., რის გარეშე კიდევ 1. 000 მან. ეძლეოდა მსახიობთ მიმოსვლისათვის და ამას გარდა ვორონცოვი დეკორაციების და კოსტიუმების ხარჯებს საგანგებო თანხებიდან ფარავდა. (იხ. აქტები: ტ. 10).

მალე ქართული სცენა დაამშვენა გ. ერისთავის ახალმა პიესამ: „ძუნწი“. ამავე ხანებში გ. ერისთავს გვერდით ამოუდგა ნიჭიერი მწერალი და მსახიობი ზურაბ ანტონოვი, რომლის საყოფაცხოვრებო პიესებმა კიდევ უფრო გააცხოველა ინტერესი ქართულ სცენისადმი. ეს პიესები ანტონოვისა იმდენად ცოცხლად არიან დაწერილნი, რომ დღემდე არ დაუკარგავთ თვისი ლიტერატურული და ისტორიული მნიშვნელობა: „მე მინდა კენინა გავხდე“, „ქმარი ხუთი ცოლისა“, „მზის დაბნელება“, „ქოროლი“ და სხვ. დღემდე ამშვენებენ ქართულ რეპერტუარს. მისმა მოულოდნელმა, ნადრევმა სიკვდილმა 1854 წ. ქართული ახალგაზრდა თეატრი კვშმარიტად დააობლა.

ზ. ანტონოვთან ერთად გ. ერისთავს გვერდით ამოუდგენ და ქართული თეატრის განვითარების საქმეს დიდი ღვაწლი დასდეს: ივ. კერესელიძემ (შემდეგ „ცისკარის“ გამძღოლმა), გ. დვანაძემ, მეიფარიანმა და ჯაფარიძემ. ყველა ესენი არა მარტო დასში იღებდენ მონაწილეობას, არამედ პიესებსაც სწერდენ და ქართულ დრამატულ რეპერტუარის გამდიდრებას ემსახურებოდენ.

ამათ გვერდს უმშვენებდენ მსახიობი ქალები აბრამიძე, ლაფერაშვილი, უზნაძე, ივანიძე და სხვანი.

თითქოს ყველაფერი რიგზე მიდიოდა, მაგრამ ქართულმა ახალგაზრდა თეატრმა ვერ გაუძლო მრავალგვარ დაბრკოლებებს, რომელთაც თავი იჩინეს განსაკუთრებით ვორონცოვის წასვლის შემდეგ.

მთავარი დაბრკოლება მაინც იმაში მდგომარეობდა, რომ ქართულ წარმოდგენებს არ გააჩნდა ერთი მუდმივი ბინა, საკუთარი შენობა. ის შეჩიზნული იყო რუსულ თეატრთან და იტალიურ ოპერასთან. ქართული წარმოდგენაც ან რუსულ - იტალიური დადგმის წინ უნდა ჩატარებულყო: ან და ამ წარმოდგენათა დასასრულს. ეს, რა თქმა უნდა, დიდად უშლიდა ხელს ქართულ წარმოდგენებს. ხალხი ან სულ აღრე მიდიოდა, ან სულ გვიან...

კრიზისის მეორე მიზეზი, რასაც მაშინდელი პრესა აღნიშნავს, იყო მალალი ფასები, რის გაღება მაშინდელ ქართულ საზოგადოებას არ შეეძლო. თეატრში მხოლოდ ქანდარები იყო ხავსეო, სწერა გაზ. „კავკაზი“, რასაც თეატრის შენახვა არ შეეძლო.

მესამე მიზეზი თეატრის დაქვეითებისა იყო შესაფერ დეკორაციების, აქსესუარების და კოსტიუმების უქონლობა.

ვორონცოვის წასვლის შემდეგ კერძო სუბსიდიების წყარო ერთბაშად დაეხმო ქართულ თეატრს (იხ.

აქტები). ვორონცოვის პოლიტიკა მალე, ჩვეულმა რუსულმა სიტუაციამ შესცვალა და თეატრების დირექტორი ვილაც ბოგდანოვი მთავარმართებელის მოადგილეს ღენ. რეადეს წინადადებით მიმართეს: **ქრეცე ქართულ წარმოდგენებს ხალხი ნაკლებ ესწრება და სხვა** ჯგებს ვერა ჰვარავს, უმჯობესია ქართული წარმოდგე-



ვასო აბაშიძე

ნები შევსწყვიტოთ და ამით ეს სუბსიდია, 4. 000 მან., მას რომ ეძლევა გადავარჩინოთო. მაგრამ რაკმა ამ ხელად ბოგდანოვის აზრი არ მოიწონა, რადგან მას ვორონცოვიდან ან ესთქვათ, ანდერძად ჰქონდა დატოვებული, რომ ქართული თეატრის საქმეს მომავალშიაც ყურადღება არ მოაკლდესო...

დადგა კრიტიკული 1854 — 55 წელი და აქ სეზონს დიდი დაბრკოლებანი გარდაელობენ. გ. ერისთავს სუბსიდია კვლავ შეუჩერეს და 3 — 4 თვის მეცადინეობის შემდეგ მან ძლივს შესძლო მსახიობთა ჯამაგირებისათვის საჭირო თანხის განთავისუფლება.

მალე შენობის შოვნაც გაუძნელეს გ. ერისთავს და მან, გულაცრუებულმა, თეატრს თავი გაანება, ნახა რა — რომ რუსული ცივი ბიუროკრატიაში ქართულ თეატრს გასაქანს აღარ აძლევდა.

მაგრამ გ. ერისთავის მეგობრები და ახლობელნი იმდენად იყვნენ ქართულ თეატრის უანგარო სიყვარულით გატაცებულნი, რომ საქმეს არ ეშვებოდენ. ამ დასმა ივ. კერესელიძის მეთაურობით რამდენჯერმე სცადა ქართულ წარმოდგენების კვლავ აღდგენა და შესაფერის უშუამდგომლობათაც მიმართა მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორს — ბებუთოვს. ერთს თხოვნაში ქართველი მსახიობნი ბებუთოვს სწერდენ: „ეხლა ჩვენ კვლავ შევიკრიბებით და გვიანდა წარმოდგენები გავმართოთ, მაგრამ ერთის მხრით არ გვაძლევენ არც სახელმწიფო განათებას, არც მუსიკას და მეორეს მხრით **რუსი მსახიობები თეატრშიაც აღარ გვიშვებენ**, იმ საბუთით: რომ მხოლოდ მათ მიეცათ უფლება წარმოდგენების გამართვისა... ყველა ამას რომ თავი დავანებოთ, ჩვენ დირექციასთან დადებული გვაქვს ხელშეკრულება, რასაც ვადა ჯერ არ გათავებია; მოგახსენებთ რა ყველა ამას, უმორჩილესად გთხოვთ — დაგვტოვოთ

იმავ პირობებით, როგორც დღემდის ვიყავით“-ო.
(ხ. „აქტები“).

ბებუთოვმა თბილისის ლუბერნატორის საშუალებით უარი შეუთვალა ქართულ დასს ამ თხოვნაზე, რადგან მხოლოდ რუსულ თეატრის არსებობაა მიზანშეწონილად მიჩნეულიო. (იქვე).

ასე დამთავრდა იმ ხანად ქართულ თეატრის ცდები: მისი არსებობა, ევრონაციონალური დროს რომ ასეთი წარჩინებით დაიწყო — როგორმე უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ საამისო ძალა მის შესვეურთ აღარ გააჩნდათ...

ქართული კულტურის საქმეს თუმცა დიდი გულშემატკივარი დაეპატრონენ, მაგრამ თეატრმა მაინც ვეღარ გაუძლო მატერიალური საფუძველის ერთბაშად გამოცლას და ამ პერიოდის ცდა მუდმივი თეატრის შემქმნისა მარცხით დამთავრდა...

რუსეთმა ქართული თეატრის არსებობაში ერთგვარი ხიფათი დაინახა და, რა თქმა უნდა, ქართულ კულტურის საქმისათვის ის არა თუ რაიმე თანხას გაიღებდა, არამედ ყოველგვარ ტენიკურ და ადმინისტრაციულ

დაბრკოლებას უჩენდა მას და ქართველთ ისევ რუსულ თეატრის კარებს უხსნიდა.

მაგრამ უკვე 1850 წ. 2 იანვარს დაწყებული დიდი ეროვნული საქმე ღრმა ფესვებს იღებდა ქართველობაში; მისი ნაციონალური თვითნობიერება დღითიდღე ვითარდებოდა და მალე ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმა მყარი საფუძველი ჩაუყარა ეროვნულ თეატრის საქმეს.

საუკეთესო პატრიოტები გახდნენ ესლა მისი ჭირისუფალნი, გააცხოველეს ყოველგვარი მუშაობა და 1867 წლიდან ნ. ავალიშვილის მეთაურობით ეწყობა სცენის მოყვარეთა დასი, რომელიც მალე, რაღაც 10 წლის შემდეგ გარდაიქმნება მუდმივ ქართულ დასად, ამის შემდეგ ქართული თეატრი ეპიზოდური მოვლენა აღარ არის, იგი მტკიცე, ურყევი და მუდმივი ფუძე გახდა ჩვენი ეროვნული განვითარებისა.

ქართული თეატრალური ხელოვნება ამ ასი წლის თავზე გამარჯვებული და გამართლებული სდგას და ის მრავალ ევროპულ თეატრებს არ ჩამოუვარდება.

აკაკი პაპავა

მალღიანი შრომა

(ძვირფას მამის ხსოვნას)

ვფურცლავ ძველ ჟურნალებს და ამ ფერგადასულ სტრიქონებში ვეძიებ ამბებს ძველი ქართული თეატრის ცხოვრებიდან; ან, ერთი შემთხვევითი ამონაწერი:

„თუ საერთოდ ჭირად არის ცნობილი, რომ მსახიობი უმეტეს ნაწილად ნივთიერ შევიწროებას განიცდის, ეს ათ კეცად ხვდება ჩვენს მსახიობს !...“

ათ-კეცი იყო მისი გაჭირვება მით, რომ ნივთიერად არა - უზრუნველყოფილების გარდა; თავის დედაქალაქში მას მუდმივი ბინაც არ ჰქონდა წარმოდგენებისათვის. რეპეტიციებისათვის ვილა სჩივს, თუ კი დაეთმობოდა მას თეატრის ჩარდახი ან, უკეთეს შემთხვევაში, ფოიე თეატრისა. ყველა ბატონი იყო ამ თეატრებში, გარდა ქართველი მსახიობისა.

მას მხოლოდ მაშინ დაეთმობოდა სცენა, როცა ის არავის აღარ სჭიროდა და ეს კი იშვიათი იყო... ერთი ეპიზოდი: — კერძო ბინა, შემოდგომის საღამოა. სეზონში უთეატროდ დაშთენილ არტისტებს თავი მოუყრიათ. აქ არიან: — ვასო აბაშიძე, ნატა გაბუნია, ნინო ჩხეიძე, ვალერიან გუნია, კოტე ყიფიანი სვ. სვიმონიძე, ადვილი წარმოსადგენია; თუ რა „მოხერხებული“ რეპეტიცია ექნებოდათ მათ კერძო ბინის ერთ საშუალო ოთახში“...

აჲ სწერდა ჩვენი სცენის ერთ - ერთი მოამბე ქალი, მოსიყვარულე ქართული თეატრისა, ნინო ყიფიანი. და განა მარტო ის? განა ამგვარივე მოგონებები არ ავსებენ ძველ ჟურნალ - გაზეთების ფურცლებს დანარჩენ მწერალთა და მსახიობთა, რომელნიც ასეთის უანგარო სიყვარულით მისცემოდნენ ქართული თეატრის სამსახურს?

განა ჩვენ თვითონ არა ვართ ყველა ამგვარ დაბრკოლებათა მნახველნი და მოწამენი?

რამდენი დამცირება და დევნა უნდა გადაგვეტანა მაშინ ქართული სცენის უანგარო მუშაკთ: ჩემი თვალის წინ განვლეს ამ ამბებმა. მამა-ჩემი, სვიმონიძე, 40 წელიწადი ემსახურებოდა ქართულ თეატრს... და მე ვხედავდი, თუ როგორ ცხოვრობდნენ; რაოდენ დევნას იტანდნენ ეს ქართული თეატრისათვის შეფიცულნი მუშაკნი, მაგრამ მაინც კლდესავით იდგნენ...

მაინც ბედნიერად ვსთვლი ჩემს თავს, რომ ბედმა მარგუნა ახლოს ვყოფილიყავ ქართული სცენის ქურუმთა წრესთან და საკუთარის თვალებით მენახა მათი



სვიმონ სვიმონიძე
გაიოზ ფალავას როლში (და - ძმა)

თავდადება, გამძლეობა, დამცირებათა ამაყად და ჩუ-
მად ატანა და ყველა ეს მხოლოდ სიყვარულისათვის ჩვე-
ნი ეროვნული თეატრისა...

მართალია: გივე ავტორი ქალი, ნ. ყიფიანი როცა
სწერს: „ასეთი გაწვალებით ეწეოდნენ სასცენო უღელს
ბურჯნი ჩვენის თეატრისა; ასეთი იყო მათი საქმის სი-
ყვარული, სიმშვილი და უბინაობით გაჭირვება მეგობრ-
ულად თან ახლდათ მუდამ; მაგრამ მაინც ებრძოდნენ
მას და აწარმოებდნენ საყვარელ საქმეს“...

ეს იყო დიდი, ქართული საქმე, რომელიც უნდა გა-
კეთებულყო, რათა ქვეყანას და კერძოდ ძლიერ მტერს
გვრძნო, რომ საქართველოს სიცოცხლე და წინსვლა
სწყუროდა....

საკირო იყო მაშინდელ თაობის სირცხვილისაგან
დახსნა, ეროვნული დიდი ვალის მოხდა.

მაგრამ ვინც ამ საპატიო ვალს აიღებდა, უნდა სცო-
ცნოდა: — სიმშვილის, სიცივის, უბინადრო მონეტიალე
ცხოვრების, გაჭირვების და დამცირების გზით უნდა
ველო და ხშირად საკუთარი, უკანასკნელი გროშიც ამ
ქართული სცენის სამსხვერპლოზე უნდა მიეტანა...

მთელი ახალგაზრდული ვატაცება, ყინი, ენერჯია,
უნდა უყოყმანოდ ამისათვის შეეწირა, ხოლო მოხუცე-
ბულობაში დავიწყება, სილატაკე და მარტობა უნდა
რემკა...

ეს მან იცოდა: კარგადაც იცოდა. მაგრამ რა ექმნა,
რომ წმიდა ცეცხლის ალით იწოდა და იყო შეფიცული
თავის „ლეჩაქ ახილ და და დამცირებულ სატრფოზე“...
ქართველი მსახიობი იყო ხელი და მიჯნური ამ ყველა-
საგან დავიწყებული სატრფოსათვის, იყო მისი რაინდი,
უშიშარი და უბადლო...

საქართველოს ხომ უნდა ჰქონოდა შესანიშნავი სა-
თეატრო. ხელოვნება! ერი, რომელსაც „ვეფხისტყაოსა-
ნი“ შეექმნა ასეთ შორეულ წარსულში, არ შეიძლება-
და მშვენიერ თეატრსაც არ ზიარებოდა... მაგრამ რის-
გან და როგორ უნდა შეექმნათ ის მის მოყვარულთ და
მსახურთ?

საქართველო წაქეციული და გალახული, ლატაკი და
მივიწყებული, ხოლო ქართული სიტყვა დევნილი იყო.
ვინ შეეძლო ამ დროს თეატრისათვის ფიქრი, მისთვის
დანმარება?

„არა!“ — სთქვეს ქართული ღირსებისათვის მეტრ-
ძოლმა ქურუმებმა: — „ჩვენ მხოლოდ სიყვარული გვე-
ყოფა; ის აგვატანინებს ყოველ გაჭირვებას და დევნას
ჩვენ გვინდა მხოლოდ სამშობლოს-სამსახური, და მამუ-
ლიშვილთა თანაგრძნობა! დანმარებას ვერ მოგთხოვთ“...

და დაცლილ, დარღვეულ ქართულ ხელოვნების ტა-
ძარის წინ შემოიკრიბნენ, ღვთიურის ცეცხლით აღვზნე-
ბული ქართველი პატრიოტები. გრძობით აღტაცებული
გულით, შეიარაღებულნი იკეცდნენ ისინი ქართული
კაბის კალთებს; იმკლავებდნენ ყურთმაჯებს და მიჰქონ-
დათ ქვები დანგრეული ტაძარის ასაგებად.

არ იყო ბინა? ისინი საკუთარ სახლებს უთმობდ-
ნენ თეატრს; არ იყო ტანსაცმელი? ისინი თვითონ უკა-

ნასკნელის გროშებით იკერავდნენ მას და ჰქმნიდნენ სა-
კირო აქსესუარებს.

არ იყვნენ სტატისტიები? ისინი თვითონ სწრენი-
დნენ საამისოდ ახლობელ ნათესავთ: არ იყო რეპერტუა-
რი? ისინი თვითონ სწერდნენ პიესებს, ხშირად ნამდვილ
შედეგებს და გ. ერისთავის ტრადიციას არ ღალატობ-
დნენ... და **ასე სქედდნენ და ჰქმნიდნენ არაფრისაგან
ქართულ თეატრს.**

ისინი თვითონ იყვნენ რეჟისორები, ადმინისტრატო-
რები გრიმის გამკეთებელი, მხატვრები და დეკორატო-
რები, აფიშების დამბეჭდავნი და გამკრავნი, მომღერალ-
ნი და მოცეკვავენი, ბილეთების დამტარებელ — გამყიდ-
ველნიც... რა ან ვინ არ იყვნენ ისინი? მხოლოდ ასეთ
თავდადებულთ და შეფიცულთ თუ შეეძლოთ არაფრი-
საგან უკვდავი თეატრი შეექმნათ საქართველოსათვის,
რომელიც ასი წლის თავს დღესასწაულობს და ლაღად
ზეიმობს....

გაიხსენეთ: ბაბო ავალიშვილის ქალი, ეფემია მესხი,
ქეთო ანდრონიკაშვილი, ნატო გაბუნია — ცაგარლისა,
საფაროვ — აბაშიძისა, ნუცა ჩხეიძე, ნატო ჯავახიშვილი,
ლიზა ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე და მათი დამამშვე-
ნებელნი: ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, კოტე მეს-
ხი, ვალ. გუნია, შ. დადიანი, კ. ყიფიანი, აქვ. ცაგარელი,
ვ. შალიკაშვილი, ს. სვიმონიძე და სხვანი და სხვანი...

გადაიკითხეთ ქართული ლიტერატურის სახლემძ-
ღვანელოები და თქვენ ნახავთ, რომ ეს გამოჩენილი მსა-
ხიობნი იყვნენ ამავე დროს ცნობილი მწერლები და
დრამატურგები; ხელმძღვანელნი თეატრალურ გამომ-
ცემლობათა; აი, ამათ გაამდიდრეს ქართული რეპერ-
ტუარი; ამათ აღზარდეს მთელი ახალი თაობა ქართულ
კულტურის და სცენის ისევე უანგაროდ მოსამსახურე-
თა, ვით იყვნენ თვითონ ეს ქურუმები და ოსტატები.

და ამ ძველთა სახელოვან კვალს გაჰყვენ მათი მი-
მდევარნი: — დავითაშვილისა, მარო მდივნისა, ივანე-
ძისა, ყალაბეგიშვილი, კორიშელი, გვარამი, იშხნელი,
იმედაშვილი, ზარდალიშვილი და მრავალი სხვანი...

ამათ გვერდით უდგნენ ქართული თეატრის და-
ნარჩენი მესვეურნი და ჩუმი დაუღალავი მუშაკნი, რო-
მელთაც თბილისის განაპირა ადგილებში და პროვინ-
ციებში სცენა ქართველ ხალხს დაუახლოვეს. ამათაც
ხომ მხოლოდ სიყვარულითა და მოვალეობის შეგნებით
არ დაუზოგავთ არც შრომა, არც დრო, და ხშირად არც
საკუთარი ქონება. და მათ შეჰქმნეს ქართული სახალ-
ხო თეატრები და მთელ საქართველოს ღვთიური აღვ-
ზნების ცეცხლი შეუკეთეს.

ესენი იყვნენ: — სვ. სვიმონიძე (მამა-ჩემი), შათი-
რიშვილი, ბარველი, გოცირიძე, ივანიძე და მრავალი
სხვა, რომელნიც უანგაროდ იღვწოდნენ, ითმენდნენ და
იტანდნენ მომავლისათვის...

ჩემს გულშიაც ნათელი ჩამოეშვება ხოლმე, როცა
მოვიგონებ, რომ მეც ბედნიერება მქონდა ამა თუ წრეში
17 წელიწადი ქართულ სახალხო თეატრისათვის მცირე-
დი სამსახური გამოიწვია.

რა მოხდა შემდეგ, ვინ მოჰყენენ ამათ კვალს?

მოხდა ნამდვილი სასწაული: — ქართული თეატრი განმტკიცდა, დამკვიდრდა და გაიშალა გაჩნდნენ დიდი, ევროპული მასშტაბის რეჟისორები: მარჯანიშვილი, წუწუნავა, ახმეტელი და სხვანი; მსახიობნი: — თ. ქავჭავაძე, თ. წულუკიძე, ვ. ანჯაფარიძე, ა. ვასაძე, ა. ხორავა, დავითაშვილი, ჩხეიძე, ა. ჟორჟოლიანი და სხვ. მრავალნი, მაგრამ ესენი ეხლა დიდ დარბაზებში და სასახლეებში ქედმაღლად დადიან; მათ საზოგადოებაში დიდი და საპატივო ადგილი მიაკუთვნეს ესენი მსახურებენ მტკიცე ჯამაგირებით, პენსიებით, ორდენებით და პრემიებით. მათ მზადა აქვთ უდიდესი თეატრები, დეკორაციები, ორკესტრები... ყველაფერი ეს შედის სახელმწიფო ხარჯთ — აღრიცხვაში მტკიცედ და ურყევად.

მაგრამ ეს უკვე სხვა საქმეა — გაჩაღებული და მთავრობისაგან წინასწარ გაწყობილი... ხოლო ისინი კი, ვინც ამასზე წინ თეატრს უძღოდნენ, დარჩებიან უკვდავ და უანგარო რაინდებად, რომელთაც მართლაც შეეძლოთ ეთქვათ —

კუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება

ჭეშმარიტად მათ განვლეს ეს ეკლიანი გზა, გასთელეს და გასტკეპნეს იგი... და დიდება და ნათელი მათ სახელს ამ მადლიანი შრომისათვის.

თამარ პაპავა

მხილვანი

ჩვენი პასუხი


„მამული“-ს საგანგებო განყოფილებამ — „მხილვანი“ — უჩვეულო გამოხმაურება გამოიწვია ემიგრაციის სხვა და სხვა წრეებში, რაც იმის მომასწავებელია, რომ ჩვენი ნაწიჯი სწორი იყო, როცა პ. პარიზელის წერილი სრულად მოვათავსეთ და თან განვაცხადეთ, რომ „მხილვანი“ მომავალშიაც ამგვარ ცნობებს ადგილს დაუთმობს.

ერთ-ერთი კორესპონდენტი, რომლის წერილს ჩვენ შემდეგ ნომერში დავუბრუნდებით, გვწერს — „ისეთი აურზაური ასტყდა, თითქო ვილაკას წყვილიაღში ბომბა გაესროლათ. დამდგარი ჭაობი ატორტმანდა, მისი დღემდე „მყუდრო“ მობინდრენი ერთბაშად შეირხნენ, მათი არსება შიშმა მოიცვა, დამალულ და მიფუჩჩებულ ამბავთა გახსენება მათთვის მორიელის კბენა იყო“-ო... ამას ჩვენ ვხედავთ იმ წერილებიდან, რედაქციას და ზოგ მის ახლობელთ რომ მოსდის.

დღეს ეს ხალხი აშლილა, უკვე პირაქეთ გვტყვის და ჭკუასაც გვარიგებს, რომ ამ დამარხულ და დავიწყებულ ამბავთა გამოტანა ემიგრაციას დაშლის, ურთიერთს ვადაკიდებს და საერთო საქმეს დიდად აეგებსო.

ზოგი კიდევ გვაფრთხილებს მეგობრულად და გვირჩევს: ამგვარი „მხილვანი“ დროზე შევწყვიტოთ; ზოგი საფრთხეზე მიგვითითებს და გვიწინასწარმეტყველებს, რომ არამც თუ მარტო ჩვენს კორესპონდენტს, არამედ გამოცემის ხელმძღვანელთაც კარგი რამ არ მოგვლისო.

„ხომ იცით“, გვწერს ერთი კუ-



თბილისის ქალაქის თეატრი. დაიწვა 1874 წ.

თილისმყოფელი, „რომ სწორედ იმ სხვა და სხვა ქაჩყნებისა და რეჟიმების პოლიციებში ნამსახურთ, რომელთაც თქვენ ბნელ საქმეთა გამომტლავნებით ემუქრებით, სწორედ ეს პირები მოტყუილებით და მოხერხებით დღეს დემოკრატიული ქვეყნების პოლიციათა განყოფილებებში მოკალათებულან და ნდობაც კი მოუპოვებიათ, ისე როგორც გუშინ გესტაპოში... ესენი, ხომ იცით, ძველებურად არავის არ დაინდობენ, როცა კი რაიმე მათ კარიერას და კეთილდღეობას დაემუქრება... ამ დროს თავის გადასარჩენად ისინი არავითარ ცილისწამებას არ დაერიდებიან და ან თვითონ, ან რომელიმე „გავლენიანის“ ხელით შეიძლება თქვენც

რამე ბაღეში გაგზავნონ და ჩრდილი მოგაყენონ. ამას ისინი ხომ ჩვეული არიან“-ო...

ჩვენ არ ვიცით, ეს „კეთილისმდომი“ ამ „გაფრთხილებას“ საკუთარი გულუბრყვილობით, თუ ვინმეს საგანგებო ჩაგონებით გვაძლევს... მაგრამ ესეც ხომ სიმპტომატიურია... ამ მრავალ გამოხმაურებათა შორის, ამ წერილებში, საბედნიეროდ, სასურველო და გამამხნეველები ბევრით სჭარბობს.

ბევრი მოწინავე აზრთა მკვდელი და მუშაკი გვამხნევენს, ჩვენს „მხილვას“ დიდი მადლობით ხვდება და გვირჩევს — ასე განვავარძლოთ და შეუდრეკელად ვემსახუროთ ემიგრაციის გაჯანსაღებას.

ჩვენ ყოველთვის გვრწამდა, რომ გულწრფელ მამულიშვილთა გამხნე- ვება და თანაგრძნობა ამ საქმეში ჩვენთან იქნებოდა. — ან კი სხვაგვარად რად უნდა ყოფილიყო?

განა ამ საკითხშიაც ჩვენ სხვა რამ გვამოძრავებდა, თუ არა ჩვენი ერის უანგარო სიყვარული და მისდამი სამსახური?

ამ „მხილებათა“ გამოქვეყნებას მხოლოდ ეს გრძნობა გვიკარნახებს და გვინდა საჯაროდ აღვიაროთ, რომ გუშინდელ ბნელ საქმეთა განქეჩით სრულიად არა გვწადია ვინმეს მოს- პობა, ამა თუ იმ პიროვნების განგებ გაზავება, ან მასთან რაღაც „ანგარი- შების გასწორება“.. ჩვენ ყველა ამა- ზე მალა ვდგევართ და სულ სხვა- გვარი მოვალეობის გრძნობებით ვხელმძღვანელობთ.

ჩვენ გვინდა ამ გუშინდელ ამბავ- თა გამოტანა და მსჯავრის დადება უმთავრესად ორი მოსაზრებით და უნდა დაგვეთანხმობთ, რომ ორივე ეს მოსაზრება მხოლოდ ერის ღირსების დაცვის გრძნობითაა ნაკარნახევი.

პირველი მოსაზრებაა — ჩვენი ეროვნული და მოქალაქობრივი მო- ვალეობის, თუნდაც დაგვიანებით, მოხდა: იმ ცარიელი ადგილის ამო- ვსება, რაც ჩვენი მათიანეს უკანას- კნელ ფორცლებზე მტკივნეულად დარჩენილა.

ჩვენ არა გვსურს, რომ მომავალმა თაობამ ქვა გვესროლოს და გულის ტკივილით აღიაროს, რომ ამ უდი- დეს და საბასუხისმგებლო დროს, როცა შეიძლებოდა ქართველის ბედი ერთბაშად შებრუნებულიყო, ზოგ უდიერ და დამამცირებელ მოქმედ- ბათა შესახებ ქართული მოწინავე აზრი სდუმდა, საზოგადოებრივი მო- ვალეობის გრძნობა მკვდარი იყო. რომ არავინ გამოჩნდა, რათა დაეგ- მო და აეღაგმა ქართულისა და ქარ- თველთა მავნებელნი...

და განა ცოტანი იყვნენ ეს მავნე- ბელნი, ქართულ საზოგადო საქმეს რომ შემთხვევით დაეუფლნენ და ერის სამსახურის ნაცვლად საკუთარ კარიერასა და განდიდებას ემსახუ- რებოდნენ? ...

განა ჩვენი თვლით არა ვნახეთ ეს შემთხვევითი პირები, სულ ცოტა რამეს მცოდნენი და დიდ საქმეთა მოყვარულნი, რომელნიც სხვა და სხვა დოკუმენტებს ხელს აწერდნენ და ნამდვილად, შემთხვევით გადარ- ჩენილ ტყვეების ხარჯით და სახე- ლით ზვიად ცხოვრებას ეწეოდნენ? რამდენი ასეთი „მომსახურენი“, რო-

გორც ამას ერთ-ერთი პარიზელი მე- გობარი გვწერს, „დაპქოდნენ ჰიტ- ლერის ოკუპაციის ქვეშ მდრტინავ ერთა საზღვრებს შორის, ვითომდა ეროვნულ ქართულ დავალებათათვის და დასჯილ და წამებულ ტყვეთა დასახმარებლად, — და ნამდვილად კი მიჰქონდ — მოჰქონდათ სურსათ — სანოვავე, ოქროულობა, ბრილიან- ტები და სხვა სავალუტო საქონე- ლი და უკან მოჰქონდათ სხვა და სხვა გაძვალტყავებულ ერთაგან ფულები- თ სავსე ჩემოდნები...“

ესეც არა კმაროდა: — ისინი დასცი- ნოდნენ და ფეხქვეშ სჯიჯგინდნენ იმ ერთა საუკეთესო შვილთ, რომელ- თაც ლტოლვილი ქართველობა მე- ოთხედი საუკუნე დიდი სწრუნვე- ლობით შეენახათ.

ამას მოჰყვა ბუნებრივი რეაქცია ლიბერაციის შემდეგ და ჩვენ მრავალჯერ გვსმენია — როგორ ჰკილა- ვდნენ ქართველის სახელს რადიოში, პრესაში, ოჯახებში ... და ოდესღაც საამაყო სახელი ქართველისა, ამ ერ- თი მუჟა ავანტიურისტების წყალო- ბით „მძარცველი და გამცემის“ სი- ნონიმი გამხდარიყო. ასე გვწერს ერ- თი ჩვენი მეგობარი და განა ყველა- ფერი ეს მართალი არ არის? განა ამაზე მეტი და დამამცირებელი არ გვინახავს ყველას? და სად იყო იმ დროს ქართული საზოგადოებრივი აზრი? როგორ ითმენდა ყველა ამას? საქმეც ის არის, რომ ეს საზოგადო- ებრივი აზრიც მაშინ გათელილი იყო, აბუჩად აგდებული, ბურთ-ჩაჩრილი, შიშით ან უიმედობით შეპყრობილი. ყველა მას სტუქსავდა და ემუქრე- ბოდა...

აბა, გაებედა ვინმეს სიმართლის ხმის ამოღება, ეთქვა, რომ ამ ვაჟბ- ტონების პოლიტიკური და ფინანსი- ური კომბინაციები ქართველთათე- ის დამამცირებელი იყო...

აი, რა მდგომარეობაში ჩააყენეს ოდესღაც მალა მდგომი ქართული წმიდა და მოუსყიდველი საზოგადო- ებრივი აზრი.

რასაკვირველია: — იყვნენ ამ გუ- შინდელ მესვეურთა და მეთაურთა შორის გულწრფელნი, ნამდვილი მამულიშვილური ცეცხლით აღზნე- ბულნი, რომელთაც შექმნილ პო- ლიტკური პირობებით სწადდათ ესარგებლათ და საქართველოს მო- მავალისათვის, არსებული ძალთა გა- ნწყობილება გამოეყენებინათ. ესე- ნი იყვნენ იდეალისტები და უანგა- როდ ქართული ინტერესებისათვის მშრომელნი... ჩვენ ამათზე არ მო- ვახსენებთ; ისინი ჩვენთან ერთად გა-

ნიციდან იმ ტკივილებს, გუშინდელმა დღემ რომ მოგვაყენა.

ჩვენი მხილება შეეხება სულ სხვა პირთ, რომელნიც ამ იდეალისტებს ირგვლივ ირახმებოდნენ და ნამდვი- ლად კი არც დიდს, არც პატარას, არც კაცს და არც ქალს არ ინდობ- დნენ, როცა საკითხი მათ პირად კა- რიერასა და ქონების შეძენას შეე- ხებოდა.

რამ გაათამამა ისინი? მხოლოდ იმან, რომ საიდუმლო პოლიციებ- თან კავშირები გაეზაბათ და ყოველ მოწინააღმდეგის დაღუპვისა და გა- ქრობის საშუალება ეძლეოდათ...

და აი, ამ დროს ქართულ ფრონტ- ზე სრული დუმლი სუფევდა; ყვე- ლას შიშის ზარი დასცემოდა და ახ- სოვდა, რომ „ზოგჯერ თქმითაც და- შავდესა“—ო...

აი, ეს საშინელი სიბნელე, ეს უკუ- ნი ადგილი ჩვენი საზოგადოებრივი აზრისა გაშუქებულ და ამოვსებულ უნდა იქმნას. ეხლა მაინც უნდა გა- ცოცხლდეს ძველი, ტრადიციული და ყოველგვარ ანგარებას მოკლებული ქართული საზოგადოებრივი აზრი; თავისუფალი და მოქალაქობრივ სი- მალღეზე მდგომი ქართული პრესა. ეხლა მაინც უნდა ითქვას, რაც „შე- მთხვევათა სხვათა და სხვათა გამო“ დროზე ვერ ითქვა. ეს არის ჩვენი ეროვნული ვალი.

მომავალმა თაობამ უნდა იცოდ- ეს, რომ გუშინ ქართული სული და სინიღისი მკვდარი კი არ იყო, არა- მედ ძალად დაღუმებული და დაბო- რკილი.

აი, პირველი მოტივი ჩვენ „მხი- ლებათა“ და „მუღავნებათა“... მეორე მოტივი, პირველს რომ ეკავშირება არის წმინდა პრაქტიკ- ული, რეალური პოლიტიკით ნაკარ- ნახევი.

ისტორიამ დიდ ამბავთა და საქმე- თა წინაშე დაგვაყენა; ხდება უდი- დესი გადაჯგუფება მსოფლიო ძა- ლთა და უკანასკნელი ანგარიშის გა- სწორებისათვის შეუწყვეტელი სა- მზადისი.

ამ დროს შესაძლოა საქართველოს საკითხი აკტუალური პოლიტიკის სა- კითხად იქცეს და ჩვენ ვგჭირდება დიდი და თავდადებული, უანგარო და დაუღალავი მუშაობა. აი, ამ დი- დლისათვის უნდა ვეცადოთ, ამას უნდა ვემსახუროთ წრფელს გუ- ლით და დახვეწილი ეროვნული ძა- ლების შეკავშირებით.

ამ ხვალის საქმეში ჩვენ გუშინდე- ლი საშინელი მარცხი არ უნდა მო- გვივიდეს. ჩვენ წმიდა და დიდად სა-

პასუხისმგებელი საქმეში ვიგინდა-
რები და შემთხვევითი მიმტმანსები
ვგრ უნდა ერეოდნენ. გუშინდელმა
მწარე გამოცდილებამ ყველას თვა-
ლები უნდა აუხილოს.

ყველა, ვინც გუშინდელი ამბებით
ასე თუ ისე დაძვინებულა და დღე-
საც კი აპირებენ ქართულ ეროვნულ
საქმეში ხელი აფათურონ, ესლავ გა-
ნზე უნდა გადაგნენ. თუ ისინი რო-
დ-სმე და რაიმე დავალებისათვის სა-
ჭირო იქმნებიან, და წარსულს გულ-
წრფელად მოინანიებენ. მათ თვით-
ონ მიმართავენ ეროვნული საქმის
ახალი მეთაურები.

ყოველი მათი ცდა, (რის შესახებ
ჩვენი კორესპონდენტები გვწერენ),
ხელახლა ჩაერიონ განთავისუფლე-
ბის საქმეში, უნდა სასტიკად დაგ-
მობილ და განკიცხულ იქნას... მა-
თი დამამცირებელი საჭიველი აქე-
ლანგი ყველას უნდა ემცნოს; უნდა
გაიგოს ყველამ, რომ ეროვნული დრო
შით გაჭრობის, კარიერის გაკეთების
და სპეკულაციის ნებას ჩვენ ვერავის
მივცემთ რომ ქართული საზოგადო-
ებრივი აზრი ფხიზელი და დამოუ-
კიდებელია. მისი პრესა თავისუფა-
ლია და მხოლოდ მაღალ მორალსა
და იდეას ემსახურება, და ვინც ამა-
ში მას ხელს შეუშლის, მას ულმო-
ბელად ჯვარს გააკრავს.

ამას მოითხოვს ჩვენება ჩვენი გა-
ნაწამები ერი; ამას მოითხოვენ ჩვე-
ნებან საქართველოსათვის უკანასკ-
ნელ ომში დაღუპული ახალგაზრდა-
ნი; ხელ - ფეხშეკრულნი და პირში
ბურთჩაჩრილნი მამულიშვილნი; ასე
უმოწყალოდ და განუკითხვად ბოლ
შევიკებისათვის გადაცემულნი... ამას
მოითხოვენ — შემთხვევით გადაარჩე-
ნილი თითოთოროლა იმ რაზმებიდან,
რომელნიც გულწრფელად და თავ-
განწირვით სამშობლოსათვის რუ-
სულ ხიშტებს გულს უღერებდნენ.
მათ განიცადეს მაღალ იდეათა დამ-
ცირება და შეურაცყოფა, საკუთა-
რი თვალთ იხილეს იმ ხალხის გამ-
ცემლობა, გულცივობა და სრული
დაუდევრობა.

აი, ესენი გვავალებენ ჩვენ, გაბე-
დულად ავიმადლოთ ხმა; დღეს მა-
ინც მოვფინოთ ყოველივეს ნათელი
და ამით ხვალის ახალ ცდას სამშო-
ბლოს ხსნისათვის, გზა გავუკაფოთ.

აი, ეს არის ჩვენი მეორე და პრა-
ქტიკული მოტივი, რასაც „მხილე-
ბანი“ და საერთოდ დღეის თავისუფ-
ალი პრესა უნდა ემსახურებოდეს.
ყოველი გულწრფელი მამულიშვი-
ლი ჩვენთან იქნება და ჩვენ ყურად-
ღებას არ მოგვაკლებს.

ჩვენი მაღლობა ყველას, ვინც წე-
რილები მოგვწერა, მომხრეებსაც და
მოწინააღმდეგეებსაც, ყველას, ვინც
კეთილშობილურად ხელი გამოგვი-
წოდა და ცნობები მოგვაწოდა. ჩვენ
ამით შესაფერისად ვისარგებლებთ
მომავალშიაც, რამდენადაც „მხილე-
ბა“-ნის მოცულობა ამის ნებას მო
გვცემს.

ჩვენი ღვა

2.

... აქაურობაზე აბა ახალი რა მო-
გვწერთ! დიდი და პატარა სულ „მა-
მულ“-ზე ლაპარაკობს! ბევრი გულ-
ში იცინის — ვაცხონე პარიზელის
მამა! თუმცა გვიან, მაგრამ დაბო-
ლოს მაინც მეტად მწარე მათრახი
შემოჰკრა, ვისაც ერგებოდა და ვი-
საც ეგონა: ვინ გაბედვს რამესო?!

მათ, რომელთაც თავისი თავი ჩემ
სარკვეში იცვენს, ლანძღვა - გნების
მეტი არა დარჩენიათ რა: დარბიან,
დამრწიან და კარდაკარ ჟურჯულე-
ბენ, თან იმუქრებიან და მტუბნებიან
თვითონ მე — თუ გავიგეთ. ვინაა
ეს პარიზელი კისერს მოვუგრებთო!
ამასთანავე ქადაგებენ — არ მოჰკი-
დოთ „მამულს“ ხელი, არ გაავრცე-
ლოთ ეგ სალანძღავი გაზეთო! ამა-
ვი დროს ჩემად კითხულობენ —
„მამული“-ს შემდეგი ნომერი ხომ
არ გამოსულაო? — აქაურ ეკლესი-
აშიც დიდი ამბები! დიდი მოთქმა-
მოთქმა და მეამის: „მამული“-სათ-
ვის ბოიკოტის გამოცხადებაზე ლა-
პარაკობენ... და რა გასაკვირველია,
ჩემი დიდთავა რომ ასე სასწრაფოდ
ჩვენს ჩვეულ კაფეში მომადო.

— მოგელოდი! ვიცოდი მოხვიდო-
დი! რატომ ასე გაბუვირბობარ?

— თითქო არ იცი! ბიჭო! ჩვენ აქ
ერთმანეთს შინაურულად რაღაცეებს
ველეპარაკებოდით და შენ ასწიე და
რედაქციას გაუგზავნე? ან შენ რო-
გორ მოგივიდა ჭკუაში მაგის დაწე-
რა ან „მამულ“-მა როგორ დაბეჭდა
იგი? ხომ არ გაგიჟებულხართ? სად
გავგონილა ჭუჭყიანის სარეცხის გარედ
გატანა და ქვეყნისათვის ჩვენება?

— ნუ ცხარობ, გულს ნუ მოგდის,
ვეუო! მე თუ რატომ დაწვირე, ეს
უკვე მაშინ გითხარი. თუ „მამულ“-
მა რატომ დაბეჭდა, ამას თვითონ
მისგან გაიგებ, თუ გინდა! მაშ აქ
პარიზის კაფეებში ვიჭურჩულოთ
ამის შესახებ, — ეს გინდა არა? არა,
ჩემო დიდთავა! უნდა ითქვას საჯა-
როდ.

— ბიჭო! განა შეიძლება საჯა-
როდ ითქვას რაიმე გრიშაზე ან კო-
ტეზე? ხომ მოგვეჭრა თავი?!

ნეტა შემეძლოს ერთი ვებერთე-
ლა თაბახი ქალაღი ავესო და და-
ვბეჭდო! აი, მთავარი გმირები ქარ-
თული სახელით ვაჭრობენს! განა შენ
არ იცი, რომ მაგათ ოკუპაციის დროს
გერმანელებისგან დიდი კონცესიები
მიიღეს იმ პირობით, რომ მოგების
ერთი ნაწილი ქართული საქმისათვის
უნდა მოეხმარებინათ?! მილიონები
შეიძინეს, მილიონები, და ქართული
საქმე კი ის იყო, რომ კოტემ ბოლ-
შევიკური პასპორტი ჩაიჯობა და
გრიშამ აქედან მოუსვა. არხენინად
ცხოვრობს ახლა და აბა, რად უნდა
ქართული საქმე! მილიონები მოი-
პოვეს და ბასტა! მამავაცხოვრე იმი-
სი, ვინც გრიშას მიერ პარიზში და-
ტოკიეული განქი მითთვისა! განა ეს
გრიშა და კოტე გასაკიცხი არ არი-
ან? აბა მითხარი!

— რატომ გავიწყდება, რომ ეგენი
ქართველებს ეხმარებოდნენ? ესეც
ხომ კარგი საქმე იყო!

— ეხმარებოდნენ! ორიოდ გროში
თუ თავისი მილიონებიდან ვინმე გა-
ჭირვებულს მისცეს, — ეს, თქმა არ
უნდა, კარგი საქმეა, მაგრამ რა შე-
აშია აქ ქართული საქმე, ქართული
პოლიტიკური სახელი და ეროვნული
ღირსება, რომელნიც მაგათ გამო ამ-
ლისვარენ ლაფში, გაითვლენ ტა-
ლახში და ჩვენი მტრების საჯიჯგნი
გახდნენ?!

— შენ რომ გკითხოს კაცმა, მაშ
შალვა ოდიშარის ჩამოახრჩობდი?!
ხომ გახსოვს მაგის მოღვაწეობის გუ-
ლისათვის ქართველობას რა დღე და
ადგა?! მაგრამ ქართველობას ვინლა
სჩივარა — საქართველოს სახელი რო-
გორ შელახეს და გალანძღეს!!

— მე არ ვიცი განა? მე აქ ვარ და
მოწმეც ვარ! როდესაც შალვა ოდი-
შარია გერმანულ გესტაპოში სამსა-
ხურშს იწყებდა, მე თვითონ ვნახე
იგი და ვუთხარი შემდეგი: ნუ შვრე-
ბი მაგას, ჩვენი საქმე არ არის, გე-
რმანული ოკუპაციის დროს აქ რე-
ზისტანსის ხალხს ვებრძოლოთ. იცი
რა მიპასუხა? — მე კომუნისტებს
ვებრძოლებო,, ამაზე მე ვუთხარი
— ახლა, როდესაც რეზისტანსში გა-
ერთიანებული არიან კომუნისტები
და ნაციონალისტები, ძნელი გასარ-
ჩევი იქნება ვინ რომელია, რადგან
ისინი ერთად იბრძვიან არალეგალუ-
რად გერმანული ოკუპაციის წინააღ-
მდეგ. — შენ ჯავრი ნუ გაქვს, მე
გავარჩევ მათო! — არ არის ჩვენი
საქმე საფრანგეთის შინაურ საქმე-
ებში ჩავერიოთთქო, ცოტა აღელ-
ვებით ვუთხარი მას. — მე ვებრძვი
კომუნისტებს და უნდა ვებრძოლოთ

მათ ყველგან, სადაც ეს არ უნდა იყვესო, — მომიბრუნა მან სიტყვა. — მე მას მაინც არ დავეთანხმე. მაგრამ, როგორც ხედავ, შალვას პრინციპიალური პოზიცია მაინც ჰქონდა; მაგრამ განა შესძლო მან მისი დაცვა? მას აეკიდნენ და აეტორღალნენ ერთი მხრივ კრიმინალები, ქურდები, მძარცველები, ხოლო მეორე მხრივ სპეკულიანტები, შავი ბირჟის ხალხი, ოხრები და ვიგინდარები და ნაყოფი? მისი მიზანი გაუჭყიანდა, გაბინძურდა, გათახსირდა და შედეგი ის იყო, რომ საფრანგეთში თავი მოგვეჭრა და ამ მოჭრილ თავზე ლაფს გვასხამდნენ დიდხანს...

— ეს მართალია! მაგაზე არ გედავები. მაგრამ მადლობა ღმერთს, ამაზე ფრანგები აღარაფერს ამბობენ, მათ გაათავეს და ეხლა შენ იწყებ, კაცო?

— ფრანგებმა კი გაათავეს, მაგრამ ჩვენ არაფერი გვითქვამს და ჩვენც უნდა ვთქვათ!

— არა! არაა საჭირო!

— საჭიროა ყველაფერი ზოგადად მაინც ითქვას, რადგან ხომ გესმის — ზოგიერთმა ვაჟბატონებმა დაიწყეს ხელახლა აქეთ-იქით ძრომიალი; აბამენ ქსელებს უპასუხისმგებლოდ და მეშინია კიდევ რაიმე ავანტურაში არ გაებას ემიგრაცია. აი, რაშია საქმე!

— ღირს კი ძველ ამბებზე ლაპარაკი? უშველის ეს მხილება ჩვენს საქმეს? გამოსწორდება ამით წარსული?

— რასაკვირველია, არა! წარსული ვეღარ გამოსწორდება, მაგრამ ამ წარსულის გაკიცხვით, მომავალში გასაკიცი აცდენილ უნდა იქნას! ქართველ ხალხს თავისი ბრძოლის გზა არ დაუმთავრებია, სისხლისაგან დაკლილი, იგი თავის ჭრილობებს იხვევს, ახალ ძალებს იკრებს და სურს მომავლის დიდ ამბებს მომზადებით დაუხვდეს. გუშინდელი პოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობა ხვალ შეიძლება სულ სხვაგვარად შეიცვალოს და საქართველოს საკითხი კვლავ პირველ რიგზე დადგეს. აი, ამ დროისათვის ქართულ საქმეს უნდა ნამდვილი ჭირისუფალნი მოველინონ... დაუშვებელია: ქართულ საქმეს გაეკარონ არაშეკითხველნი, რომელნიც ქართულ დროშას ამოფარებულნი გუშინ საოკუპაციო ქვეყნებში ოსტმინისტერიუმის თუ შტაბის მარშბეფელებით დარბობდნენ და თავისი ჯიბისათვის ზრუნავდნენ, მილიონებს ატრიალდებდნენ, ვაშლილ სუფრანზე,

მშვიერი ტყვეების წინ: ასიათასობით ფლანგავდნენ... ამ ვაჟბატონთა გარდა მოუხსენებელი არ უნდა დარჩენენ ის ქალბატონებიც, რომელთაც ყურები, მკლავები და თითები ოქრო - ბრილიანტებით დაიმძიმეს და „თავი შეიწუხეს“... ეხლა ისინი თავის ხერხელებში თავს კარგად გრძნობენ, ხშირად იქდან გამოდიან და ფართეფართო გულშემატკივარ სიტყვებს ისვრიან სამშობლოზე, წმიდა მოვალეობაზე... ხშირად პატარა საქმესაც უძღვიან და დიდსაკენ ხელს იწვიან. ხანდისხან კიდევ მწერლობენ, კრებებზე გამოდიან და ემიგრაციას მალალი დანიშნულები-საკენ მოუწოდებენ...

ამ ვაჟბატონებმა და ქალბატონებმა პატიოსნად და სუფთად შენახული სახელი შეგვიგინეს, წაგვიბლიწეს, გაგვიტახსირეს...

— და მერე ღირს მათზე ლაპარაკი ან წერა?

— მითზე ლაპარაკი არ ღირდა, მათ რომ ერთი რამე მაინც გააჩნდეთ: — სინილისის ქენჯნა და თავდაჭერის გრძობა... ეხლა მაინც თავის კანში დაეტიონ და მოგვეზორდნენ! ვიდავით ამ საკითხებზე, მაგრამ აბა თქვენი „მამული“-ს ფურცლებს ამით ეხლა როგორ დავამძიმებ თუ საჭირო იქმნა. ასე პატარაპატარა წერლებს მოგაწოდებთ ხოლმე... ნახვამიდა..

პ. პარიზელი

კვაჭი მეცნიერებაში და პოლიტიკაში

ლონდონში გამოცემული პოლონური გაზეთი „ოჟელ ბიალი“ (9 ივნისი, 1951 წ. ნომ. 23 (466),) შემიღეს გვაცნობებს: — „ქართველებს დელეგაცია გენერალ ანდერსთან“

„საქართველოს ეროვნული ფრონტის, პარიზში, დელეგატმა, პროფესორმა არჩილ მეტრეველმა ინახულა გენერალი ანდერსი ლონდონში და წარუდგინა მას ქართული ეროვნული ფრონტის პოლიტიკური მუშაობის გეგმები. პროფესორ არჩილ მეტრეველმა გააცნო ამასთანავე გენერალ ანდერსს ეროვნული ფრონტის მუდმივი დელეგატი ინგლისში. პროფესორი არჩილ მეტრეველი მოკლე ხნით იყო ინგლისში ჩამოსული და ამიტომ ვერ შესძლო გაება უშუალო კავშირი ყველა პოლიტიკურ პიროვნებებთან“.

ჩვენ პირდაპირ გვაოცებს ეგრეთ წოდებული „პროფესორის“ ასეთი სითამამე, — ელაპარაკოს ქართვე-

ლების სახელით გენერალ ანდერსს, და არ გვინდა დავიჯეროთ, რომ რომელიმე ჯგუფს მიენდოს მისთვის ასეთი საპასუხისმგებლობა. **ლონდონელი**

კეთილშობილური

და

მეზობლური საქციელი

გენერალ ალექსანდრე კონიაშვილის გარდაცვალების ამბავმა მეხსიერებაში აღადგინა მისი ძმის, ტენგინის პოლკის ოფიცერის, ვლადიმერ კონიაშვილის კეთილშობილური და მეზობლური, გამირული მოქმედება. ეს მოხდა 1914 წ., როდესაც თურქეთის ჯარი სწრაფად კავკასიისაკენ დაიძრა და პირველი დიდი შეტევით მის დაპყრობას შეეცადა. ტენგინის პოლკის ოფიცერი, თავისი ნაწილით ართვინის რაიონში იდგა. ოსმალთა წინაშე შიშის გამო ბევრი სომეხი დედაწულიანად საქართველოსაკენ გამორბოდა; მაგრამ ერთი სოფლის სომეხი თავის დროზე ვერ გამოვიდნენ და თურქებმა ის სოფელი დიდაკვეს მოულოდნელად. სომეხები, დიდი და პატარა, შეცვივდნენ ეკლესიაში და მის გალავანში გამაგრდნენ. ოსმალებმა მათ ალყა შემოარტყეს. ერთმა გამოპარულმა სომეხმა იპოვნა ართვინთან ახლოს მდგომი ვლადიმერ კონიაშვილი, და მთელი ამბავი მას აუწყა. და რასაკვირველია მას შემწეობა სთხოვა.

ვლადიმერ კონიაშვილი ამ ამბავმა მეტად შეაწუხა; მაგრამ რა უნდა ექნა მას? შტაბის ნებადაურთველად იგი პოზიციას ვერ დასტოვებდა და შტაბი კი შორს იყო და იქ ცნობის მიწოდება დიდ დროს მოითხოვდა. ამ დროის განმავლობაში ოსმალები სომეხებს გაჟლეტდნენ. და მან გამოსავალი ჰპოვა — მან გაამწკრივა ჯარი. აუხსნა მას — ქრისტიან სომეხებს ურჯულთა თათრთაგან გაწყვეტა მოელის. მე მივიღვივარ მათ გამოსახსნელად, და ვის გასურთ ჩემთან ერთად წამოსვლა, ნაბიჯით წინ! — მთელი ჯარი, როგორც ერთი კაცი, ნაბიჯით წინ გადადგა. აისხეს იარაღი და სწრაფი დაუღალავი სიარულით მიადგნენ იმ სოფელს, სადაც ეკლესიაში ხალხი იყო გამომწყვდეული. ოსმალები არ მოელოდნენ სრულებით შემოტევას და ვლადიმერ კონიაშვილის რაზმმა ისინი სასტიკად დაამარცხა და სომ-

ხები სიკვდილს გადაარჩინა. ასეთი კეთილშობილური და გმირული საქციელისათვის იგი შტაბმა დააჯილდოვა შესაფერისად. და თბილისში არსებულმა სომეხ ქალთა კომიტეტმა მას პირადად და მის ჯარსაც დიდი მადლობა შეუთვალა და ბევრი საჩუქრებიც გაუზახვანა...

მალე ვლადიმერ კონიაშვილი გადაიყვანეს დასავლეთის ფრონტზე და იქ იგი ბრძოლაში იქმნა მოკლული. იგი უკვე სახელგანთქმული მხედარი იყო და მისმა თავდადებამ თბილისში დიდი მწუხარება გამოიწვია.

სომეხ ქალთა კომიტეტმა დაუყოვნებლივ შეამდგომლობა აღძრა ვლ. კონიაშვილის გვამის გადმოსვენების შესახებ. და იგი დიდის დიდებით დაასაფლავეს წმიდა ნინოს სასაფლაოზე. იქ მას სომეხ ქალთა კომიტეტმა ძეგლი აუგო, შესაფერი წარწერით.

სანთელ - საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავს, არც კეთილშობილური გმირული მოქმედება!

მომგონებელი

ვლადიმერ კონიაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად ვანო სიმონისძე მატინიანმა „მამულ“-ს შესწირა 500 პესო, რისთვისაც მას უგულითადეს მადლობას მივუძღვნით

გეუშკას ამბავი

— ჩემმა მზემ, ამისთანა ცხოვრებას კაცი რომ მოკვდეს და მოშორდეს ამ ქვეყანას, ისა სჯობიან!

— კაცო, ამდენ სხვა და სხვა დარღთა და ფიქრით ეს საოხრო თავი ისედაც ყოველდღიურად მებერება, გეგონება ტიკიაო — ეს ვეებერთელა კაცი ყინულივით ვდნები და კელაბტარივით ვიწვი და შენ პასმატრი, თურმე ნუ იტყვი, კიდევ ახალი ამბავი არ გამოჩენილა!? წუხელ ჩემი ვარინკა მეუბნება —

— გაიგე, გეურქ-ჯან, როგორი პრიკაზი გამოუძვია მთავრობასა?!

მე გაკვირვებით შევხედე.

— რაო რა პრიკაზი ქალო-მეთქი — თანაც დვუმატე — ეს საოხრო, მე ისეთ ვეებერთელა უჩრეჟდენიაში ვმუშაობ, ისეთ დიდ კაცს უღმავარ კაბინეტის კარებთან, ჩემზეა დაძოკრებული ვისაც შაუშვებ თუ არ შაუშვებ, და მე ვერ გამოვიდა და შენ საიდან იცი-მეთქი?

— გუშინ, გენაცვალოს ჩემი თავი, სიმინდის ფქვილი ვიყიდე, ვიფიქრე,

კარტიჩეებით მაინც არ გეყოფნის პური და მჭადებს გამოვაცხობ მეთქი. მოვხილე, დაეკარ უაროვნიკზე და ჩვენ მეფურნე ხეიოს წაუღე გამოსაცხობად. ხალხი ძაან ბევრი იყო, თითქმის ჩვენი უბნის ქალები ყველანი იქ იყვნენ. ჩვენ მეფურნეს უთხარი: შეიძლება თუ არა რომ გამომიცხო-მეთქი. როგორ არა ჩემო დაოო, აი ჯერ ამათი, — მაჩვენა ქალებზე — იმათი შესლაგებელი მაქვსო.

მეც უცდიდი. ხო იცი ჩვენი ქორიკანა ქალების ამბავი. ვასოს ცოლი ტასო, ჩვენ გვერძე რო დგანან, ხო იცი იმას არაფერი გამოეპრება; იმის ძმა კომსომოლია და აღბათ იმისგან გაიგო, იძახდა, რომ მთავრობამ პრიკაზი გამოუშვაო, ხალხი ძაან გაირყვნაო, უჩრეჟდენიებში იგვიანებენო, ბევრი სატრუდნიკები თურმე ჯერ ხაშით და არყით სკდებიანო და მერე ისე აყროლებული მობიანო. სამსახურს სამსახური უნდა ერქვასო. ეს ოცდაერთი წელი არ გეგონოთო! მოთავდაო! ამ დროს ფურნეში შემოვარდა ერთი ბიჭი, რომელსაც პატარა ჩანთა ეკიდა წელზე, გახსნა, ამოიღო ერთი დავთარი, დაუძახა ჩვენ მეფურნეს, რაღაც ქაღალდი გადასცა და უჩვენა: აქ მომიწერე ხელიო და წავიდა. მეფურნემ წაიკითხა ქაღალდი და მერე ჩვენ მოგვიბრუნდა და გვითხრა — დღეს ვერავის ვერ გამოვიცხობთო კრებაზე მიბარებენ, უნდა საჩქაროდ წავიდეთ; მერე ფენთან მივიდა; გახსნა; აიღო თავისი გძელი ლაფათქა და შელაგებულ უაროვნიკებს დაუწყო გამოყრა.

— ეს ვისია?, დაიძახა მეფურნემ, ქალები მისცივინდენ და სინჯავდენ; ერთი იძახდა, ჩემი არ არის, მეორე — ჩემი უფრო სხვა ფორმისაო მესამე — ჩემი უფრო დიდი არისო! ჩემია ჩემია, — დაიძახა ერთმა — მაგრამ ქა! ეს ხომ ჯერ ისევ ცომაია!

— ხეიო-ჯან! რათ გამოიღე, ყოფილიყო კიდე შიგ, — ეუბნებოდა ტაფის პატრონი ქალი მეფურნეს.

— ქალო არა მცალიან, ხო ხედავ ექსტრენი პავესტკა მომიტანა ბიჭმა! საჩქაროდ მიბარებენ! ან თუ არა, შე მამაცხოვნიეულო, ამაზე მეტი რაღა უნდა გამოვიცხო! — და ქალები ნელნელა წყევლით სახლებისკენ იშლებოდნენ.

იმ დღეს, მუშაობის დამთავრების შემდეგ, აღმასკომის შენობის დარბაზში სასწრაფო კრება იყო მოწვეული. გეურქაც, რა თქმა უნდა, იქ იყო. იაჩიეის მდივანმა ცალმკლავა ჭურღულიამ საერთო კრებას ორი

საკითხი გააცნო: მთავრობის ახალი დადგენილება სამუშაოზე დაგვიანების შესახებ და დაგვიანების შემთხვევებში სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები. შემდეგ ბევრი ილაპარაკა და ბოლოს წაიკითხა რეზოლუცია, რომ აღმასკომის თანამშრომელი მეტის მეტი სიხარულით და დიდი ენტუზიაზმით ეგებებიან მთავრობის მიერ მიღებულ ახალ კანონს, და ამით კრება დაიხურა.

საღამოს 7 საათი იქნებოდა, რომ გეურქამ თავის სახლის კარი შეღო, შემინებული ვარინკა უკვე დიდი ხანია თავისი შვილების ელოდებოდა ქმარს. მის დანახვაზე საწყალ ვარინკას სახე გაუბრწყინდა და ცრემლებიც მოერია.

— სადა ხარ, კაცო, აქნობამდე? უთხრა მან თავის ქმარს და როცა ნახა, იგი გუნებაზე არ არის, მიუახლოვდა და თავზე ხელი გადაუსვა.

სადილობისას ანუ უკვე ვახშობისას გეურქა უამბობდა თავის ცოლს კრების ამბავს და თან გემრიელად მიირთმევდა ვარინკას მიერ ღორის ქონით გაკეთებულ სიმინდის ფქვილის ფაფას, რომელიც მეფურნე ხეიომ არ გამოუცხო.

უკვე კარგა ხნის ჩაწოლილები იყვნენ; გეურქასაც ეძინა, მაგრამ მეტისმეტად შფოთავდა; რაღაც აწუხებდა. დიდ ხანს იტრიალა და ბოლოს თვალები გააჭყიტა. მის გვერდზე მწოლარე ცოლსაც გამოეღვიძა და გაუკვირდა, რომ ძილის მოყვარე ქმარს ჯერ არ ეძინა.

— რა მოგივიდა გეურქა? — შეეკითხა ცოლი, მაგრამ გეურქამ ერთხელ კიდევ მოასწრო თქმა —

— ვაიზე დედავ მუცელი! — და წამოხტა კიდეც.

— რა მოგივიდა, რომ გიყო კაცო? — ეკითხებოდა ცოლი.

— მუცელი, მუცელი, ქალო! ფა, ფა, ფაფამ მიყო! — კვენსოდა საწყალი გეურქა და ვარინკაც თავისი შალით მუცელს თბილად უხვევდა. ასე გამწარებული გაატარა ღამე გეურქამ და რიყრაჟზე ცოტა ჩაიძინა. უკვე დილის 8 საათი იყო, როდესაც გეურქამ თვალები აახილა, შესხდა საათს და კინდამ გული გაუშკდა, გაგიჟებული წამოხტა, საჩქაროდ ჩაიკვა და პირ დაუბანელი გარედ გავარდა.

გეურქა ბაზოვი იყო თბილისელი; ჰქონდა თავის პატარა სამოთახიანი სახლი წმ. ნინოს სასაფლაოს გვერდით, სადაც ერთ დროს პატარა დუქანიც ჰქონდა; — ყიდდა ცოტა ხნელ ხილს, მხეუმშირას, ბადიბუტის და



განრისხებულმა გრიგალმა ცისამ
 მშობელ მიწიდან აღმგვა მეც მტვერთან;
 ჯერ კიდევ ნორჩი ოცნებით სავსე,
 ბრძოლად მიწოდა მტერმა თვის მტერთან,
 მტერი მისდამი, ჩემთვის გულთბილი,
 იყო ეს ნამდვილ თუ მოჩვენებ თ...
 მაჯლაჯუნა დათვის არწივმა სძლია
 მეც მასთან ვფრენდი ყელმოღერებით...
 ვფრენდი არწივთან მძლეოსან ფრთებით
 გარს ვეველებოდი ჩემს დიდ ოცნებას:
 მშვენება მისი თვალწინაც მყავდა,
 შავი თვალელებიც დავუკოცნე მას
 ცამ შავი ნისლი ჩადრით დაჰფინა,
 ბურუსად მექცენენ სამყაროს დღენი,
 მაგრამ ვაუკაცურ მკერდზე ამყად
 მეკრა უკვდავი სახელი შენი!
 ბევრი ვეწამე შენსკენ ლტოლვილმა,
 სიკვდილის წუთიც ბევრი მინახავს
 მაგრამ ვერასდროს სიკვდილის შიშსაც
 შენი სახელი ვერ შეულახავს.
 ბევრჯერ ვიგემე მტრის მარლი ტყვია...
 დაცინვით დევნა უცხო მხარესი, —
 ყოველ ნაბიჯზე თან დამყვებოდა
 იმედად დედის ტკბილი ალერსი!
 მახსოვდი დედა! მახსოვხარ დღესაც!
 ამ წუთში გხედავ! შენ არ ელოდი?
 თვალელები ცრემლით გევსება, დედა
 როგორც ეს მაშინ, როს გშორდებოდი!
 ეგ ცრემლებია გულს რომ მილადრავს,
 და მიჩენს მწარე ტკივილს, იარებს,

არ არს წამალი, არც მინდა იყოს,
 რაც დამიშუშებს და დამიამებს
 ვიდრე ეგ შენი თბილი ხელელები
 დედის მალამოს არ გადამისობს...
 და შენი! დაცრემლილ ეშხიან თვალელებ
 ცხელი ამბორით შვილი დაგიშრობს...
 ძვირფასო მამავ! სამშობლო, ძმებო!
 ჩემდამი ხსოვნა მუდამ ატარეთ...
 დრო მოვა, უკან დაგიბრუნდებით...
 იმ გრძობით, რაც თქვენ გამომატანეთ
 ნუ დაგაღონებთ ორბის ურჯულს,
 ფრთა შეღებილის წითლად ფართხალი...
 ცეცხლად ქცეული ცა მას თვით შთანთქავს —
 და აბრწყინდება კვლავ სამართალე

„სუბა“

ბრძოლაში დაღუპულ დათიკო ფირცხალაიშვილის
 ხსოვნას

რას ვეამბორო, რითი ვსტკებოდე,
 მყოფად რა ძალით ვებრძოლებოდე!
 ჩემი ცხოვრების განვლილი გზიდან
 შედეგი რა მაქვს, რომ მეტს ველოდე!
 ეკლიანი გზა სიმწრით თელილი
 ფეხებდასისხლულს მიმაგდებს უბრად,
 განატანჯ სახეს ოფლის ლაწვები
 ჭირის მძივებით აესხმის სულრად...
 დაჭრილ ვეფხივით სისხლით ვიცლები,
 მკერდის გრაგანიც მიილულება,
 ქურა გრდემლს რკინას ველარ გაუთბობს
 იმედიც ჭირში მიიბურება...

გ. გოგელაშვილი.

წვრილ შავ ხურმას, კამფეტებს და
 სხვა ამგვარს. ზაფხულობით საზამთ-
 როსა და ნესეს დაყრიდა ხოლმე
 დუქანია წინ; თანაც ნედლ სიმინდს
 სწვავდა; ბოლოს, ცოტა ღვინის გა-
 ყიდვაც დაიწყო და პურის ფულს
 ყოველთვის შოულობდა. შემდეგ,
 როცა ბოლოშევიკები შემოვიდნენ და
 ნახა: რომ კერძო ვაჭრობას მეტად
 ცუდი თვალთ უყურებდნენ, დაკეტა
 თავისი დუქანი და თვითონ თავისი
 სიყრმის მეგობარს პავლეს სთხოვა,
 რომ მასთან ერთად ემუშავებინა. ეს
 პავლე წმიდა ნინოს მესაფლავედ მუ-
 შაობდა და იქვე ცხოვრობდა. მას ყა-
 ვდა ორი ვაჟი, ორივე ყაჩაღლარი:
 იპარავდნენ სასაფლაოდან ჭირისუფ-
 ლეების მიერ მიტანილ სხვა და სხვა
 საგნებს ერთხელ ვილაციის საფლავს
 რკინის ლობეც კი ააცალეს, და ასე.

გეურქამ, როგორც იყო, რამოდენიმე
 წელიწადი იმუშავა მესაფლავედ
 და ველარ გაუძლო; წლოვანებაშიც

იმოქმედა და თავი მიანება.
 ერთხელ თავის მეგობარს, პავლე
 სუხიშვილს (ზემოაღნიშნულ მესაფ-
 ლავეს) გაუარა და დიდი ყოყმანის
 შემდეგ, როგორც იყო, გაბედა და
 უთხრა —
 პავლე! თუ ძმა ხარ, უთხარი ლა-
 დოს, რამე სამუშაო მომიხერხოს, ე
 სახე-ძალი ჩემ ხელში გაიზარდა;
 ძან უყვარვარ და ვიცი უარს არ
 გეტყვის.
 პავლემ იმ საღამოსვე უთხრა თა-
 ვის შვილს ლადოს, რომელიც მაშინ
 თბილისის საბჭოს თავჯდომარედ იყო
 და მანაც თანხმობა მისცა — მოვი-
 დესო — და გეურქაც მივიდა ლა-
 დოს ვეებერთელა კაბინეტში, რო-
 მელმაც გეურქა ძალიან შეაშინა;
 მერმე იფიქრა: შეხედე ამ წმიდა ნი-
 ნოს სასაფლაოს ჯიბვირს, რა გლავ-
 ნი კაბინეთი ჰქონია!. ლადომ ვილა-
 ცას გამოუძახა და უთხრა —
 ეს კაცი დღეიდან ჩემ კარის კაცად

ინიშნება, გააფორმეთო, — და გა-
 ვიდა.
 გეურქა უკვე სამი თვე მუშაობდა,
 პირველ ხანებში სეროზულად შე-
 უდგა თავის მოვალეობის აღსრუ-
 ლებას: ედგა სკამი ლადოს კაბინეტ-
 თან და არავის აწაწანებდა; თუ ლა-
 დოს არ მოახსენებდა და თანხმობას
 არ მიიღებდა; გაიგებდა გვარს, შეა-
 ლებდა კარებს და იმ გრძელ კაბი-
 ნეტში კარებიდანვე უყვიროდა :
 — მისა ჩოდრიშვილია!
 — შემოუშვი! — იყო პასუხი და
 გეურქაც უშვებდა...
 — ანდრო ფირცხალავა, ვანო ბო-
 ლქვაძე, სტურუა, თოდროი!
 — შემოუშვი! შემოუშვი! —
 კვლავ გაისმოდა ლადოს ხმა და ასე
 დამდებოდა დღეები.
 გეურქამ შემდეგ ცოტა ყოყონო-
 ბაც დაიწყო, გვარებითაც კი აღარ
 მოახსენებდა ლადოს. ერთხელ შეა-
 ლო, კარები; როდესაც ლადოს კაბი-

ნეტში რამოდენიმე კაცი იყო და თათბირი ჰქონდათ და ჩვეულებისამებრ დაუყვირა

— მარქსი მოვიდა, შემოვუშვა თუ არა?

ყველამ ყურები აცქვიტა, გაუყვირდათ და სიცილი დაიწყეს. ლადომ თავი გაუქნია და დაუძახა — მოიცადოს!

რამოდენიმე ხნის შემდეგ ლადოსთან მყოფნი ყველანი გამოვიდნენ, თვითონაც გამოჰყვა მათ, უნდოდა შეეხებინა, თუ ვინ მარქსი უცდიდა მას და თვალი მოჰკრა ნესტორ ცერცვაძეს, რომელიც მეტად გაჯავრებული რალაცას ბუტბუტებდა. გეურქამ ლადოს მისკენ თვალთ აჩვენა — ეს არისო!

— ამხანაგო ნესტორ! მობრძანდი, რას ზიხარ მანდ?

ნესტორმა ლადოს ახედა და ხმა-მალა უთხრა:

— ძან ცირკი გაიხსნია ამხანაგო ლადო აქანეი! შეე კაცო! უკეთესი ვერ მონახე რო ვიცხა ეს შტერი არ დაგეყენებია? ვინაა ე მამაძალი რო ვერავის ვერ ცნობს ია სჩიტაიუ ჩტო ეტო ბეზობრაზე ი ბოლშე ნიჩაგო! დღესვე მოვახსენებ მამულიას. ხო გეიგე: რავა მოვახსენა, მარქსია აქანეიო,, ეს ვიცხა ჩუყდი ელემენტი უნდა იყოს! — ბრაზობდა ნესტორი და ლადოც გაჩუმებული უსმენდა.

— კარგი ნესტორ,, გაგეხუმრაო, — აწყნარებდა მას ლადო და ნესტორი კაბინეტისაკენ მიჰყავდა. ოციოდე წუთის შემდეგ ნესტორი გამოვიდა ლადოს კაბინეტიდან, მიუბრუნდა გეურქას და თითის ქნევით უთხრა: — ია ტიბე პაკაჟუ კტო ტაკოი ნესტორ ცერცვაძე!

ამ დღით მირბის საწყალი გეურქა. აგერ ანტონოვის ქუჩაც ჩაირბინა, ჩაუხვია ჩერქეზიშვილის ქუჩაზე და იქვე მარჯვნივ ტრამვაის გაჩერებასთან შედგა.

— დასწყევლოს ღმერთმა! სწორედ ეხლა გაუწყრება ღმერთი! როცა არა გჭირია, ზედისეღდ მოდიან! აგერ გამოჩინდა! მაგრამ რა გრნდა, ძმანო, გაჰქილია, ხალხი გარედან არის ჩამოკიდებული, ჰაზირ არც გაჩერდა!

ასევე ჩაიარა მეორემ, მესამემ. ნერვიულობს ჩვენი გეურქა. ტრამვაი კვლავ გამოჩნდა და გეურქამ იფიქრა — თუ არ გაჩერდება, რაც არ უნდა დამიჯდეს, შევახტებო! მაგრამ, გაჩერდა ტრამვაი, ვილაც დედაკაცი ჩამოვიდა. გეურქამ იხელთა დრო და როგორც იქნა მოექცა ვაგონს.

— გაიწით წინ!

— ნეტუ მესტა! ნეტუ-მეთქი!
— არ გესმის? ნუ ეჭიდები! რა რჯულის ხარ, ვა!

— ეს ვინა ყოფილა! ძია-ჯან! არ არის ადგილი, — უძახის კონდუქტორი, — მაგრამ ვის ესმის.

— შემქიდროვდით! ხალხნო, შემქიდროვდით, წინ გაიწიეთ, წინ!

— ვაშ ბილეთი დედი-ჯან! ბილეთი! — ეხლავე შეილო, ეხლავე; ჯიბე ველარ მიპოვნია! ქა!

ამასობაში გეურქა როგორც იქნა, აძგრა და იმდენი მიინძრ — მიინძრა, რომ კონდუქტორამდე მივიდა.

— ძმანო, შენ რა რჯულის ხარ? ხო ხედავ რო ადგილი აღარ არის, სად ეტანები? გეტყობა ჯერ შენთვის ჰკუა არ უსწავლებიათ.

— შეჩქარება ამხანაგო, და აბა რა ვქნა?

— ამხანაგო, გაიწით იქით! რა უბედურებაა, კაცი ტრამვაიში ველარ ჩამჯდარა!

— ერთი უყურეთ ამასა, როგორ მომთელა! უსინდისო. ახალი კაბა სულ მიმისრისა! ეს ნახლობაა!

— კარლ მარქსის მოედანი! — ყვირის კონდუქტორი და თან ზარი ჩამოჰკრა. ხალხი კვლავ ასკდებოდა გეურქა უკვე შიგ ვაგონში იყო. ამოვიდა კონტროლორი და ბილეთებს სინჯვა დაუწყო.

— გაიარეთ, წინ გაიარეთ, ამხანაგო! ვაშ ბილეთი! თქვენი ბილეთი, მიბოძეთ თქვენი ბილეთი, თქვენი! უკაცრავად, გთხოვთ გზა მომცემთ! ყვირის კონტროლორი და გეურქას ხელი წაავლო:

— გაიწი, კაცო, ცოტა იქით! რა კუნძივით გაჩერებულხარ!

— ვა! შეე კაი კაცო! ხო ხედავ, წინ ქალი დგას! ზედ ხომ არ დავაჯდები!

ქალმა იმ წამსვე უკან მოიხედა და გეურქას მიმართა:

— არა! რა სთქვით თქვე გაუზრდელა თქვენა, როგორ თუ დამაჯდები? ვის დააჯდები! ერთი უყურეთ ამასა თქვე, თქვე, თქვე კინტო! ნახალ! ხალხი აყაყანდა.

— ვა! რა ძაან ცხარდები ჩემო დანო! განა რა გითხარი? შენთვის ხმაც არ გამოიცია! მე კანტრალიორს ველაპარაკებოდი.

— არა გცხვენია, კაცი დაბერებულხარ და ჰკუა არა გაქვთ?

— აბა! აბა! წყნარად! ჩემს ჰკუას ხელს ნუ ახლები! თქვენ ვილაც ვილაცეები არ გგონოთ. არც მე ვარ თქვენზე ნაკლები ატვეტსტენი რა-ბოტნიკი!

ხალხი მათ დავას ყურს უგდებდა

და იცინოდა. ავე ტრამვაი „თავისუფლების მოედანზე“ მივიდა.

— გაგვატარეთ ხალხნო! გაგვატარე, ამხანაგო!

— ჩადიხართ?

— ჯერ ნუ ამოდიხართ! — ყვირის კონდუქტორი, — გაატარეთ, ხალხი ჩავიდეს..

— წინიდან ამხანაგო! წინიდან!

— სად მოხვალ! ხო იცი რო უკანნიდან ჩამოხტომა აკრძალულია!... მაგრამ გეურქამ არც მოუსმინა, გაჰკრა — გამოჰკრა მუჯკლუგუნე

— ნადირო! ჩოქშ! უზრდელო!... კინტო! — მაგრამ ის ყურს არავის უგდებდა და როგორც იქნა ჩავიდა და გარბის.

— ტრრრრრრ! — დაუსტვინა მილიცილმა — გაჩერდით! თქვენ გეუბნებით თქვენ! ტრრრ! — დაუსტვინა განშეორებით მილიციელმა და გეურქას გამოეკიდა... და ის იყო, გეურქა უნდა შეეარდნილიყო აღმა-სკომის შენობაში, რომ ამ დროს მილიციელმა მას ხელი სტაცა:

— თქვენ ამხანაგო! რატომ არ ჩერდებით! როცა გისტვენთ? — უთხრა მილიციელმა გეურქას — თუ არ ემორჩილებით ბძანებას?

— აბა! შეე კაი კაცო! მერე ვინ გითხრა რო დაუსტვინეო? რამდენი მილიციელი უსტვენს, მე რო სულ ვჩერდებოდე, ალბათ სახლიდან სამსახურამდე ვერას დროს ვერ მივალ! თუ ძმა ხარ, მერე ვილაპარაკოთ, აგერ მგონი სამსახურში დამიგვიანდა! — და გეურქა წასვლას აპირებდა, მაგრამ მილიციელმა ის შეაჩერა, ამოილო ჯიბიდან წიგნაკი, ამოხია ერთი ცალი ქვითარი და გეურქას გაუწოდა:

— ჯარიმა სამი მანეთი!

— ვა! რაში ძმანო!

— თბილისის საჭოს 87 მუხლის დაარღვევისათვის...

— რაო?! — გაკვირვებით შეეკითხა გეურქა — მე რომელი დამრღვევი მნახე ან რა დავარღვიე? კაცი წყნარად სახლიდან მოვიდივარ!

ტრამვაის უკანა ბაქანიდან რო ჩამოხვედით, თქვენ არ ბძანდებოდით?

— რა უკანა, კაცო, რას ამბობ? როგორ თუ არ უნდა ჩამოსულიყავ?

მაშ სამუდამოდ შიგ ხო არ გავეჩრდებოდი? მოვედი და ჩამოვიდი!

— დიახ! ამისათვის სამი მანეთი უნდა გადაიხადო. აბა ჩქარა!

გეურქა უარზე იყო.

— არ გადავიხდი!

მილიციელი მას არ უშვებდა, და ბოლოს გეურქამ კანკალით ამოილო სამი მანეთი და გადასცა მილი-

ციელს ქვეთარც კი არ გამოუტო-
მევია, ისე იყო აშფოთებული.

საჩქაროდ შევარდა აღმასკომის შე-
ნობაში, მივარდა სატაბელო დაფას,
სადაც მოსამსახურეების ნომრები
ეკიდა, მაგრამ იგი უკვე დაკეტილი
დახვდა. ავიდა ზევით. წინა ოთახში,
რომელიც მოსაცდელ დარბაზად იყო
დანიშნული და მას სკამი ედგა, ვი-
ლაც სამი ახალგაზრდა ტრიალებდა.
გეურქა რომ შევიდა, მათ სალაში
მისცეს:

— გამარჯობა! ძია, როგორ ბძა-
ნდებით?

გეურქა ჯერ ვერაფერს მიხვდა,
მერმე როდესაც ისინი შეეკითხნენ:

— რომელ საათზე გეწყებათ მუ-
შაობა?

მაშინ გეურქამ ენაზე იკბინა და გა-
იფიქრა—

— ჩემი საქმე, მგონი ცუდად არის!

— რვა და ნახევარზე, — იყო გე-
ურქას პასუხი.

— აბა შეხედეთ, ეხლა რომელი
საათია?

გეურქამ შეხედა და უთხრა:

— ცხრა საათს ხუთი წუთი აკლია.

— მაშ ძია-ჯან! თქვენ დაგივი-
ანებიათ 25 წუთით, არა? — ჰკითხა
ერთმა. გეურქამ თავი დაუქნია. მერ-
მე ისევ გამაგრდა და ჰკითხა:

— უკაცრავად, თქვენ ვინ ბძანდე-
ბით?

— ჩვენ მსუბუქი კავალერია ვართ,
ძია. არ იცი, რა არის ლოხკი კავა-
ლერია? მაშ ლაღო რო მოვა, იმას
ჰკითხე. — უთხრეს და გავიდნენ.

სალამოს, მუშაობის კათავეებისას,
გეურქას ადგილობრივმა კომიტეტმა
გამოუძახა და განუცხადა:

— გეურქა ოქროსა ძე ბააზოვმა
სამსახურში 25 წუთით დაიგვიანა,
რითაც დაარღვია ს. ს. ს. რ. — ის ცენ-
ტრალური აღმასრულებელი კომი-
ტეტის დადგენილება ნომერი 45,
სამსახურში დაგვხანების შესახებ,
რის გამო პასუხის გებაში არის მი-
ცემული და თან დასძინეს — სამ-
სახურში აღარ მოხვიდეთ!

ვარინკამ რომ ეს ამბავი გაიგო,
კინალამ გული წაუვიდა, მერმე ისევ
თვითონვე გამაგრდა და ქმარსაც
ეუბნებოდა —

კაცო! რას დაღონებულხარ! დაკერ-
ვა რო ყოფილიყო, სახლში აღარ გა-
მოგვიშვებდენ!

მესამე დღეს დილით გეურქასთან
მივიდა მილიციელი და კომისარიატ-
ში წაიყვანა, ხოლო იმ საღამოსვე
იქიდან აღმასკომის დიდ დარბაზში
მიიყვანეს. დარბაზი ხალხით იყო გა-
ჭედილი. ვარინკა თავის შვილები-

თაც აქ იყო. როცა დაინახა, რომ
მის ქმარს ოთხი მილიციელი მოს-
დევდა, თავზე ხელი შემოიკრა და
დაიძახა:

— რატომ არ მოგვედები! შენ
თურმე ყარამან ყათილი ყოფილხარ
და მე კი ჰქვიანი პატიოსანი კაცი
შეგონე!

ვინც გაიგონა, ზოგმა ჩაიციხა.
ზოგი დაიღრიჯა და ზოგმა შუბლ-
შეკრულმა ვარინკას გადახედა.

ცოტა ხნის შემდეგ ზარის წყარუ-
ნმა შეაჩერა ხალხის ხმაური და გა-
მოჩნდა პარტიული ორგანიზაციის
მდივანი, რომელმაც გამოაცხადა:

— ფეხზე ადექით! სასამართლო
მობრძანდება!

ყველა ადგა.

— დაბრძანდით! — გამოაცხადა
ერთმა საშუალო ხნის კაცმა, რკინის
გზის სახელოსნოების მუშამ. შემდეგ
ხელში ქაღალდების ყდა (საქმე) აი-
ღო, გადაშალა და კითხვა დაიწყო.

— ირჩევა საქმე მოქალაქე გეურქა
ოქროსა ძე ბააზოვისა; თბილისის
მოქალაქე, 52 წლისა, ცოლშვილია.

— უპარტო, პასუხისგებაში არ
მყოფი, წერაკითხვის მკოდნე, უწინ
ვაქაოი, ეხლა მოსამსახურე. ბრალად
ედება სრულიად საკავშირო ცენტ-
რალურ აღმასრულებელ კომიტეტის
ნომერ 45 -ის დადგენილების დარღ-
ვევა: სამსახურში 25 წუთით და-
ვიანება.

დაასრულა წაკითხვა. შემდეგ გე-
ურქა გამოიძახა და ჰკითხა:

— სცნობთ თუ არა თავს დამნაშა-
ვედ?

— დიახ, ბატონო, დავიგვიანე, მა-
გრამ... — და აქ გააწყვეტინა სიტყვა
ძოსამართლემ:

— ჯერ ერთი, აქ ბატონები არ
არიან, გაიგე? და მერე, რასაც გე-
კითხები, იმაზე მიპასუხე. „მაგრამ“
საჭირო არ არის. რაძენი წუთით
დაიგვიანე?

— 25 წუთით, ამხანაგო!

კდევ დაარტყა ხელი მოსამართ-
ლემ ძაგიდაზე:

— ჩვენ რომელი შენი ამხანაგი
ვართ?! მოქალაქე მოსამართლენო —
თქო! გაიგე?

— ოასა სთხოვ სასამართლოს?

— პატიებას, — უთხრა გეურქამ
და თვალებიდან ცრემლები გადმოს-
ცვივდა.

— კარგი დაჯექ!

სასამართლოს შემადგენლობა ორ-
იოდე წუთით სხვა ოთახში გავიდა,
განაჩენის გამოსატანად; მერმე ისევ
უკან შემობრუნდა და მოსამართლემ
ისევ კითხვა დაიწყო:

— საქართველოს სოციალისტური
საბჭოთა რესპუბლიკის სახელით;

უზენაესი სასამართლოს წევრი, თავ
ჯდომარე პეტრე ბარბაქაძე, მსაჯუ-
ლნი ილიკო კიკნაძე და ნიკო ელი-
აშვილის შემედგენლობით; სახელმ-
წიფო ბრალმდებელი პროკურორი

ვასო ცხოვრებაშვილი, მდივანი და
თიკო კიკნაველიძე. განიხილა რა სა-
ქმე ბრალდებულ გეურქა ოქროსა ძე
ბააზოვის; რომელსაც ბრალად ედე-
ბა სრულიად საკავშირო ცენტრალ-
ურ აღმასკომის დადგენილების ნომერ
45-ის სამსახურში დაგვიანების შე-
სახებ, დარღვევა და დაადასტურა რა
ფაქტი დაგვიანებისა 25 წუთით და
სცნო რა დამნაშავედ მოქალაქე ბაა-
ზოვი, დაადგინა: თანახმად სისხლის
სამართლის კოდექსის ნომერ 187.

პარაგრაფი სამი, მიესაჯოს მას, ბაა-
ზოვს სამი წლით თავისუფლების აღ-
კვეთა შორეულ საკონცენტრაციო
ბანაკებში გადასახლებით. განაჩენი-
საბოლოოვან და გასაჩივრებას აღარ
ეკუთვნის. თავჯდომარე — ბარბა-
ქაძე. მსაჯულნი: კიკნაძე, ელიაშვი-
ლი. სწორეა, უზენაეს სასამართლოს
სამეულის მდივანი — დ. კიკნავე-
ლიძე.

და სასამართლო გავიდა.

— ვაიმე გეურქა-ჯან! — დაიწვი-
ლა ვარინკამ, — ვაიმე პაპა-ჯან —
ყვიროდნენ გეურქას შვილები.

გეურქა გაშტერებული იდგა... მე-
რმე, თითქო გამოფხიზლდაო, ერთი
ისეთი შებღავა, რომ აღმასკომის
პირდაპირ თამაშოვის ქარვასლაში
გაიგონეს —

— მომკალით, მომკალით! — ღრი-
ალებდა გეურქა და თან მუშტებს
თავში იცემდა. ზოგნი იქ დამსწრე-
თავანი ტიროდნენ, ზოგი თავს აქნე-
ვდა...

— მომკალით, მომკალით! ვაი ჩე-
მო ცოლშვილო! ...

იმ დღესვე გეურქა ორთაქალის
ციხეში წაიყვანეს. ორი თვის შემ-
დეგ გეურქა ბააზოვს ტაშკენტისაკენ
მიათრევდა საბარგო ძატარებელი...
აუარებელ სხვა ტუსალებთან ერთად.

ვარინკას ერთ ხანს მოსდიოდა ხო-
ლმე წერილი გეურქასაგან, მაგრამ,
შემდეგ შესწყდა.

ვარინკამ შვილები აქა იქ ხელოს-
ნებთან დაარია; თავისი ვალდადე-
ბული პატარა სახლი თითქმის მუქ-
თად მიაციდა, მეზობლებს გამოემშ-
ვიდობა და თავის დასთან წავიდა.

წასვლისას მეზობლებს კვლავ სთხო-
ვა — გეურქა რო ჩამოვიდეს, უთ-
ხარით, რომ ჩემს და შუშანიკასთან

ერთი ისტორიული თარიღის გამო.

ლიდად პატივცემულ ბატონო რედაქტორო,

იმედი მაქვს — თქვენს ქართულ სტუმარ-თმოყვარეობის ტრადიციებს არ უღალატებთ და ამ „მომართვას“ თქვენი „მამული“-ს უახლოეს ნომერში ადგილს დაუთმობთ.

ამა წლის სექტემბერში სრულდება 50 წელი, რაც პირველი, პრაქტიკული ნაბიჯი გადაიდგა საქართველოს სოც. - ფედერალისტთა პარტიის ჩამოყალიბებისაკენ.

1901 წ. ქართველთა წარჩინებული წოდება დიდის ზეიმით იხდიდა საქართველოს რუსეთთან „შეერთების“ ასის წლისთავს; რუსეთის ოფიციალი წრეები და მისი მომხრენი განსაკუთრებით სომხების ვაჭრები, აღტაცებით შეხვდნენ ამ ზეიმის დღეს.

აი, ამ დროს ჩვენი მოწინავე ინტელიგენციის ერთი ჯგუფი არჩილ ჯორჯაძის მეთაურობით, რომელსაც გვერდით უდგნენ: გ. ლასხიშვილი (ლალი), გ. რციხილაძე (ზანგი), გ. დეკანოზიშვილი, გ. ლორთქიფანიძე და სხვანი, გაბედულად გამოვიდა ამ ქართველი ერისათვის სამარცხვინო ნაბიჯის წინააღმდეგ. მათ არალეგალური ფურცლების საშუალებით შესაფერისის მოწოდებით მიმართეს ქართველობას: —

დაპყმეს თავიდანაწაფრობის სპეი-მო გამოსვლები, ყველას თვალი აუხილეს და დანახვეს ის გაუგონარი გერაგობა, რაიც დიდმა იმპერიამ საქართველოს წინააღმდეგ ჩაიდინა; როცა მან 1801 წ. ყველა აღთქმა - დაპირება დაიფიცა და საქართველოს სახელმწიფო ერთის დაკვრით მოსპო, ხოლო ამ ერთი საუკუნის მანძილზე მისი ეკონომიური, კულტურული და ეროვნული დევნა იმდენად განაძლიერა, რომ ქართველობა გადაგვარების გზაზე შეაყენა. ფურცელი ქართველ მშრომელ მასებს მოუწოდებდა: ფხიზლად შეხვედროდნენ ამ ეროვნულ საფრთხეს და მომავალში მეტი უნარი გამოეჩინათ

წავედი მარტყოფში და იქ მოვიდესო მშვიდობით....

... და ყველას ტირილით გამოეთხოვა. როგორ გგონიათ — ჩამოვიდა გეურჩა?

— ისე ჩამოვიდეს თქვენი მტერი!

მიხაკო თბილისელი

გალახულ ღირსება-უფლებების აღდგენისათვის ბრძოლაში.

ეს მოწოდება ნათელ შუქად მოეფინა მაშინდელ წყვედიად და მღვამე ამ სპაროტესტო დროშის ირგვლივ ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი და ცოტად თუ ბევრად გათვითცნობიერებული ქართველობა დარაზმა.

ამას მოჰყვა არჩილ ჯორჯაძის და გიორგი დეკანოზიშვილის პარიზისაკენ გამგზავრება, საცა ამათ — დანარჩენთა დახმარებით — გამოსცეს ამ ახალ, რადიკალურ და ეროვნულ მიმართულების ორგანო — „საქართველო“ (აგრეთვე ფრანგულ ენაზეც), რაც საქართველოში ვრცელდებოდა და ცოცხალ ძალებს რაზმავდა.

აი, აქედან წარმოიშვა ის დიდი ქართული, სახალხო მოძრაობა, რომელმაც ჩვენი საზოგადოებრივი და ეროვნულ - კულტურულ განვითარების საქმეში წარუშლელი კვალი დასტოვა.

საქართველოში დღეს რა თქმა უნდა, შეუძლებელია არა თუ მიუღწეველი დაფასება ამ მოძრაობის ნახევარ საუკუნის ოჯახისა, არამედ მისი უბრალო აღნიშვნაც.

უცხოეთში კი, სამწუხაროდ, ჩვენს განკარგულებაში არ მოიპოვება საკმაო მასალა, რათა ღირსეულად აღირიცხოს სოც. ფედერ. პარტიის დამსახურება და დაიწეროს ამ ეროვნულ ხალხოსნურ მოძრაობის 50 წ. ისტორია.

ყველაფერი ეს მომავალს ეკუთვნის, როცა ერთი თვისი მიწაწყალის ბატონი გახდება და მისი ნათელ დღეებისათვის მებრძოლთა მადლიან და თავდადებულ ღვაწლს პატივისცემით მოიგონებს...

მაგრამ ეს მაინც არ გვანთავისუფლებს მოვალეობიდან, რათა ის ჩვენი ეროვნული მოძრაობის საძირკვლის ჩაყრის დღე სიმბოლიურად მაინც აღვნიშნოთ და მისს პირველ მოამაგეთ და მუშაკთ მამულიშვილური მადლობა მივუხლოთ.

ამ მიმართულებასთან ახლო ნახიარვე ქართველთა ერთ ჯგუფს განზრახული აქვს მოკლე ხანში ამ 50 წლის თავის აღსანიშნავად გამოსცეს საგანგებო რვეული: „სახალხო საქმე“.

რვეულში უმთავრესად მოთავსდება — მოგონებანი, სოც.ფედერ.

პარტიის დამაარსებელთა ღვაწლი, ამ მოძრაობის დამსახურების ამბები ამა თუ იმ ეროვნულ საქმეში და სხ.

ჩვენ იმედს გამოგვსტყავით, რომ ამ რვეულს ყოველი ჩემსმარტი მამულიშვილი თანაგრძნობით შეეგებება; ამასთან გვჯერა, რომ ის აქ ჩვენს გამოცემას ჩასთვლის არა ვიწრო, ჯგუფურ, ან პარტიულ ნაბიჯად, არამედ ქართულ მოწინავე აზრის წმინდა მოვალეობად; ერთგვარი პატივისცეს იმ ეროვნულ მოძრაობას, ამ ნახევარი საუკუნის წინ რომ ჩაისახა. ჩვენი ქვეყნის ღირსებისათვის ბრძოლას უანგაროდ ემსახურა და ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის მუშაობაში შეძლებისდაგვარად წვლილი შეიტანა.

პატივისცემით, მეგობრების

დავალებით **აკაკი პაპავა**

პ. ს. მსურველთ შეუძლიათ ამ საგანგებო რვეულისათვის განზრახული მასალა (მოგონება, მისაღმება, სურათები და სხვ.) გადმოგზავნოს პარიზის მეშვეობით, შემდეგის მისამართით: —

Mr. N. OUROUCHADZE
13, rue Edgar - Quinet
Montrouge — Seine
FRANCE.

კრებული „მამული“-ს გამოცემლობა უღრმეს მადლობას მოახსენებს ქვემოლ ჩამოთვლილ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და სათანადო თანხის შემოწირვით შესაძლებელი გახადეს კრებულის გამოცემა —

პესი	
ზურაბ ჩხობუა	575
მერაბ კვიციანი	500
ივანე მატინიანი	500
ალექსანდრე პაპუაშვილი	310
არჩილ ხაჩიძე	300
ტარასი შანავა	150
პავლე კვარაცხელია	115
თენგიზ ქართველიშვილი	100
ზურაბ ციციშვილი	100
აკაკი პაპავა	100
ლევონიდე ჭიჭიშვილი	100
ჯონოდი ჩომახ	50
უადგილობის გამო, სამწუხაროდ, ბევრი აწყობილი მასალა გადაიდო, და სწორედ ისეთი, რომელთა დაბეჭდვას ავტორები მოელიან. — იმედი გვაქვს მორიგ კრებულს არ დაეგვიანებთ.	



26 მაისი არგენტინაში

ბუნენოსაირესის მცხოვრებმა ქართველობამ თითქმის მთლიანად მოიყარა თავი საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად. ამ დღესასწაულს დაესწრნენ სხვა და სხვა ეროვნებათა წარმომადგენელნიც. ესტრადა იყო შეენივრად მორთული ქართული ეროვნული დროშებით, სახელმწიფო ღერბით და არგენტინის დროშით. საღამოს 6 საათზე, ქართული ეროვნული ჰიმნის შესრულებით, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბ. ვ. ანდრიადე, დაწყო ზეიმი. ესტრადაზე მიწვიული იყვნენ რამოდენიმე საპატივო წევრი ქართული ახალშენისა და აგრეთვე ზოგი სტუდენტიც — ქ. მარიამ სარაჯიშვილი (ძალა ჯაფარიძის ასული); ბ. აკაკი პაპავა, ვ. ნოზაძე, არჩილ ხაჩიძე, დავით ლოლობერიძე, გიორგი ნაკაშიძე, ზურაბ ციციშვილი და გაბო გოგელაშვილი —

საზოგადოების თავჯდომარე ბ. ვ. ნოზაძემ საზეიმო სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრეთ სიტყვით მიმართა: — არგენტინაში მყოფ ქართველთა საზოგადოების გამგეობის სახელით მივესალმებით ქართველ ერს, რომელიც დღეს თავის ეროვნულ დღეობას ვერ იხდის, რადგან იგი, თავისუფლება წართმეულია. ვუსურვებთ მას მხნეობას ბრძოლაში და გამარჯვებას ამ ბრძოლის შედეგად. მივესალმებით ქართველი ერის უცხოეთში გარდახვეწილ შვილთ, ყველგან სადაც არიან ისინი; მოგესალმებით თქვენ, აქ დამსწრეთ, და გისურვებთ მალე კვლავ გენახოთ თქვენნი ტბილი სამშობლო. ამ სურვილს ჩვენ ყოველ 26 მაისს გამოვსთქვამთ და ამ ხანად დასრულდა 30 ოცდაექვსი მაისი. რა არის 30 წელიწადი ერის ცხოვრებაში? ჩვენი თაობისათვის არის ეს გრძელი ხანა, თორემ ერისათვის იგი თითქმის არა ფერია —

შემდეგ იგი იხსენებს სხვა და სხვა ბრძოლებს თავისუფლებისათვის და მტკიცე იმედს გამოსთქვამს, რომ ეს ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდება; — ამას შემდეგ საგანგებო წერილი ესპანურ ენაზე ამ დღის მნიშვნელობის შესახებ წაიკითხა (ძალა ჯაფარიძის ასულმა, და მერმე ბ ზურაბ ციციშვილმა წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

შემდეგ მოხსენება გააკეთა ქართ-

ული საზოგადოების საპატივო თავჯდომარე ბ. აკაკი პაპავამ; მან როგორც ყოფილმა წევრმა საქართველოს პირველ თავისუფალ პარლამენტისა, მოაგონა დამსწრეთ ის წინასწარი სამზადისი და პოლიტიკური ვითარება, რამაც ხელი შეუწყო ქართველი ერის საუკუნოებრივ ლტოლვას დაკარგული სუვერენობის კვლად აღსადგენად. მოკლედ აღნიშნა ის დამსახურება და შორსჭვრეტა, რაიც ანარქიით მოკლულ პირობებში, მაშინდელმა ქართულმა ხელმძღვანელმა წრეებმა და ეროვნულმა პარტიებმა გამოიჩინეს, რათა ქვეყანა გააფთრებულ და აზღვავებულ გაბოლშევიკებულ რუსის ჯარისაგან გადაერჩინათ. აღნიშნა ამიერკავკასიის სეიმისა და ფედერაციულ სახელმწიფოს უღდეურობის მიზეზი და ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს დამსახურება 1917 წლის ეროვნული ყრილობის მოწვევაში, რაიც პირველი ჩანასახი შეიქმნა ეროვნულ პარლამენტისა და სახელმწიფოს ძალაუფლებისა; და როდესაც ამიერკავკასიის უღდეური სახელმწიფო გაასვენეს, ნოე ჟორდანიამ საქვეყნოდ აღიარა 117 წლის მონობის შემდეგ მკვდრითი აღდგომა საქართველოს სახელმწიფოსი, რომლის ფორმად აღიარებული იქმნა დემოკრატიული რესპუბლიკა. ამას შემდეგ პარლამენტის პირველმა თავჯდომარემ, კ. ჩხეიძემ აღფრთოვანებული სიტყვით მიმართა ქართველ ერს და ამას მოჰყვა დამოუკიდებლობის აქტის საზეიმო გამოცხადება სასახლის აივანიდან, მოგროვილ ზღვა-ხალხის წინაშე და ეროვნული დროშის აფრიალებათ. — შემდეგ ბ. ვ. ნოზაძე მოახსენებს — დღეს, ამ მაგიდაზე, ჩვენთან ერთად იმყოფება ცნობილ ალექსანდრე სარაჯიშვილის ქვრივი, ქალაქ თბილისის საპატივო მოქალაქე, ქალბატონი მარიამი, რომელიც თავის ქმართან ერთად საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას დაესწრო; იგი თავის ქმართან ერთად ზეიმით შეეგება ამ დიდ ეროვნულ აქტს. ქალბატ. მარიამი დღესაც აღფრთოვანებით იგონებს ამ დიდებულ დღეს და მოგვითხრობს შემდეგს — როდესაც სასახლიდან გამოველით, ჩემმა ქმარმა მითხრა — „საქართველო დღევანდელ პირობებში დიდხანს ვერ იარსებებს დამოუკიდებლად მას კიდევ დაიბყრობენ, მაგრამ მალე ისევ განთავი-

სუფლდება, და მაშინ შენ, ჩემო კარგო, იქნები 70 თუ 80 წლისა. სულერთია, ჩაიცი თეთრად ტანსაცმელი როგორც დღეს გაცვია“ — თ. ეს მითხრა. მოიხსნა სათვალეები და თვალები მოიწმინდა. — „რატომ სტორი, ალექსანდრე“, ვკითხე, და მან მიპასუხა — „ოფლი მოგიწმინდე“ — თ. რასაკვირველია, სტორადა. სტორადა სინარულის ცრმელებით! — და დღეს ქალბატონი მარიამი, როცა ამ ამბებს ჩაიგონებს, 30 წლის შემდეგ, უკავშირდება პირველ 26 მაისს და გისურვებთ თქვენ საქართველოს თავისუფლებას მალე მოსწრებოდეთ და თავის თავსაც უსურვებს კვლავ თეთრი კაბა ჩაეცვას. დამსწრენი მხურვალე ტაშით გაუმასპინძლდნენ მომტირალ ქალბატონ მარიამს.

დილიდანვე ბ. მიხ. დიასამიძე საზეიმო დარბაზში და სცენაზე ტრიალებდა და მათ ამკობდა. კედლებზე გააკრა მხატვარ ლადო სააკაძის მიერ დამზადებული ფერადი წარწერები — გაუმარჯოს 26 მაისს,, გაუმარჯოს თავისუფლებას,, დროშები და ღერბი შემეკული იყო ვარდყვავილებით...

მეორე განყოფილებაში გუნდმა შეასრულა რამოდენიმე სიმღერა და იგი ტაშით დააჯილდოვეს. დიდად ნასიამოვნები დარჩნენ დამსწრენი, როდესაც ბ-ნ არჩილ ხაჩიძის კოლისდისვილებმა, ესპანურად გამოწყობილმა პაწაწა გოგონებმა იცქივეს. საზოგადოებას ისე მოეწონა პაწაწა გოგონ (კეკა, რომ ერთს გაამეორებინეს კიდევ).

ქართული სუფრა უკვე გაშლილი იყო. დილიდანვე ბ-ნ ლევან ჯაფარიძის ხელმძღვანელობით გახურებული მზადება იყო — აღონიკ ანდრონიკაშვილი, ხუტუ ელიავა, გივი გელაშვილი, ტარასი შანავა. კარლო კვანტალიანი და სხვები გაფაციცებით მუშაობდნენ სუფრის გასაწყობად. მაგიდა იყო ქართული, სახვ-ბოლოუკიტრით და ყველით დაწყებული და გათავებული ქართული საჭმელებით, რომელიც დაამზადეს ქ. მარიკა ჯაფარიძისა და ჭეიშვილების ოჯახმა. ქ. თარხნიშვილის მეუღლემ ნადიმს მიართვა მის მიერ დამზადებული ტბილეულობანი. ყველას მათ გამგეობა თავის მხრივ ღრმა მადლობას უტყბადებს. ბ-ნმა დაკრიდომ საზოგადოებას შესწირა ტყავზე დახატული თეთრი გიორგი, შეენივრად შესრულებული, რისთვისაც ბ. აკაკი პაპავამ მას დიდი მადლობა გამოუც-

ხადა. — ნადიმს ხელმძღვანელობდა კოლონიის საპატივო თავჯდომარე ბ. აკ. პაპავა. პირველად იგი მიესალმა მრავალრიცხოვან დამსწრე ქართველობას და შემდეგ საგანგებოდ თვითვე ქართველთ სტუმარს, რომელთაც ახალშენს ეს დიდი ეროვნული დღე მიულოცა — ესენი იყვნენ — კავკასიელთა, ლიტოველთა, ესტონელები და სხვა წარმომადგენლები. ამის შემდეგ წაკითხული იქმნა მოლოცვანი ლიტოველთა გაზეთის „ბოლსას“ და სხვა. შემდეგ ილაპარაკეს 26 მაისის მნიშვნელობაზე და ქართველ ერს ამ ისტორიული აქტის გამოცხადება მიულოცეს წარმომადგენელებმა — ლატვიელთა, მთიულთა და ლიტოველთა. განსაკუთრებით მხურვალე და ფრიად შინაარსიანი სიტყვა წარმოასიტყვა ლატვიელთა საზოგადოების თავჯდომარემ ფრისეს გაიშაისმა. მან მოუწოდა რკინის ფარდის აქტი და რჩენილი ერთა წარმომადგენლებს ერთობისაკენ, ორგანიზაციულ, პოლიტიკურ შეკავშირებისაკენ. განსაკუთრებით ყოფილი რუსეთის იმპერიის უღელ ქვეშ მდრტვინაჟმა ერებმა, რომელთაც ერთხელ მაინც იგემეს თავისუფლება და იგრძენეს თავიანთი 26 მაისის ძალა: უნდა ძმურად გაუწოდონ ჟრთიერთს ხელი და შეიგნონ, რომ ცალკეულის თავისუფლება მოპოვებული ვერ იქმნება: ან მტერი მთლიანად უნდა განადგურდეს და თავის ეთნოგრაფიულ საზღვრებში მოექცეს და ყველა ერებმა სუვერენობა დაიბრუნოს ან თუ ეს არ მოხდა — ყველანი მონობაში დაიღუპებიანო.

ჩვენ არა მარტო წითელი რუსეთის უნდა გვეშინოდეს, არამედ არა ნაკლებ თეთრი იმპერიალისტური რუსეთისა, რომელიც დღეს გაცხოველებული ირახმება, დიდ მოკავშირეებთან ახალ ქსელებს აბამს, რათა ხვალ საბჭოების მემკვიდრეობა ხელთ იგდოს და ჩაგრულ ერებს უფრო მძიმე იმპერიალისტური უღელი დაადგასო. აი, ამისათვის ირახმერიან რუსის მემარჯვენე წრეებიო.

ბ. ა. პაპავამ მადლობა გადაუხადა მოლოცვისათვის და აღნიშნა, რომ ქართველი ერის შვილნი მუდამ იყვნენ მოციქულნი დევნილ ერების შეკავშირებისა და იმპერიალიზმის საწინააღმდეგოდ ძლიერ ფრონტის შექმნისა, რომ ერთა შორის სოლიდარობა, გაგება და მტკიცე კავშირი აღნიშნული იყო საგანგებოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტშიც.

შემდეგ მან მიმართა საგანგებო სიტყვით ქართველ ისრაელთა წარმომადგენელთ, რომელნიც ასე მრავალრიცხოვანად დაესწრნენ ამ დღის ზეიმს. ბუენოს აირესის ისრაელნი — მოხუცნი და ახალგაზრდანი, ქალი და კაცი, რომელნიც ასე შორს იმყოფებიან და ყოველ ქართულ საქმეს გულმხურვალედ უდგანან, იმით იმსახურებენ საგანგებო პატივისცემას, რომ ქართული ენა და ადათები ასე მტკიცედ დაუცავთო.

საზეიმო მხურვალე სიტყვა წარმოასიტყვა ბ. გიორგი ნაკაშიძემ და შემდეგ ბ. გრ. ბუაძემ. სიტყვებს მისდევდა სიმღერები, შემდეგ ლექტური (უკრავდა პიანოზე ბ. ზ. ციციშვილი) და მხიარულება იყო საერთო. ბ. ვახტანგ აბუთიძემ კონიაკი შესწირა ჟურნალს „მამული“ ლოტარიაში გასათამაშებლად და ქნმა. თ. პაპავამ ვაჟა ვიეზო. ლოტარია მოაწყო ბ. ზ. ციციშვილმა და ორივე ბოთლი გაიყიდა 427 პესლად.

ნადიმის თამადამ ბ. აკაკი პაპავამ თავის თანაშემწედ დანიშნა ბბ. ლელუჩაშვილი გაბრიელ, გეგა მრელაშვილი და კოტე ვაშაძე. გუნდი გალობდა და საერთო ზეიმი გაიშალა. ქართველმა ისრაელმა მოკე ხენელოვმა მუხამაზის ხმაზე, შეგნირი ტკბილი ხმით მიღერა აკაკის ერთი ლექსი: მან ისე მოხიბლა საზოგადოება, რომ მას რამოდენჯერმე ტაშით შეაწყვეტნეს გალობა. ქართველმა ისრაელებმა შეასრულეს ძველი ქართული სიმღერები და დატრიალდნენ საცეკვაოდ. ცეკვავენენ ქალების მხრივ — ქხენი: მარია ხენელოვი, სარო ჩაპტო, რაქელ ტეკოშვილი; ესთერ ბიჭაშვილი, ციკლა ჯაფარიძის ასული, შოია ჭეიშვილისა, ნანული ანტონესკოსი, ევა დეკრიდოსი, ხოლო ვაჟების მხრივ — კოტე ვაშაძე, გივი გელაშვილი, ზურაბ ციციშვილი, კარლო კვანტალიანი, ვ. ალიხანაშვილი და სხვანი. იყო დიდი მხიარულობა და ზეიმი დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს ბ. ა. პაპავამ საღამოს მომწყობთ და კერძოდ ბ. ლ. ჯაფარიძეს დიდი მადლობა გადაუხადა ასე კარგად და უხვად, ლამაზად გამართულ მაგიდისათვის. ბოლოს, ბატონ აკაკი პაპავას ნადიმზე ხელმძღვანელობისათვის მადლობა მიუძღვნა ბ. გ. ბუაძემ. საზოგადოება ფრიად ნასიამოვნები გვიან დაიშალა.

დამსწრე
● 10 ივნისს, გარდაცვალებულან 40 დღის თავზე, გენ. ალ. კონიაშვილის პატივისმცემელმა ქართვე-

ლობამ მორონში თავი მოიყარა და მისი საფლავი ცოცხალი ყვავილებით შეამკო. პანაშვიდი გადაიხადა მღვ. ნიკოლოზ ზამბახიძემ. საზოგადოების გამგებამ შის — საფლავს ჯვარი დაადგა შესაფერი წარწერით. ამას შემდეგ დამსწრენი გაემართნენ თავშესაფარისაკენ, სადაც განსვენებულმა თავისი უკანასკნელი დღეები გაატარა და სიცოცხლეს გამოესალმა. აქ შესაფერისი სამგლოვიარო სიტყვების შემდეგ მადლობა გამოუხადეს მამა გიორგი რომანოვს (თბილისელია), და მის თანამშრომელთა რომელთაც გენერლის ბედის შემსუბუქებისათვის ბევრი რამ გააკეთეს და მას თანაგრძნობა არ მოაკლეს...

● ლიტოველთა კლუბის გამგეობასთან მოლაპარაკების შედეგად, ქართული საზოგადოების გამგეობამ მიიღო უფლება თავისუფლად ისარგებლოს ლიტოველთა კლუბით ყოველ შაბათობით. გამგეობამ გადასწყვიტა ისარგებლოს ამ უფლებით და დააარსა ქართული კლუბი.

● 14 ივლისს შესდგა ქართული საზოგადოების კრება. გაირჩა რამოდენიმე ადგილობრივი ხასიათის საკითხი; აქვე არჩეულ იქმნა სინიდისის სასამართლო შემადგენლობით — ბბ. პაპავა, არჩილ ხაჩიძე და პოლ. დგებუაძე.

● მირამარის (არგენტინა) გაზეთი „კრონიკა“ (14.7.51) გვატყობინებს, რომ ჭადრაკის ადგილობრივ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა ჩვენმა თანამემამულემ გრ. ჩომახმა.

ჩარლილოეთი ამერიკა

წერილი კალიფორნიიდან ძვირფასო მეგობრებო,

● თუმცა აქ ცოტანი ვართ, მაგრამ საქართველოს სიყვარულში და სამსახურში არც ჩვენ გვენდა სხვებს ჩამოვრჩით...

ჩვენც გადავიხადეთ 26 მაისი და აი როგორ. — ჩვენი მეზობლის მტრედები, რომლებიც ხშირად ჩვენი სახლის სახურავის ბოძებზე სხდებიან, ადრინად ახმაურდნენ და დილის ტკბილი ძილი დაგვიფრთხეს. თითქოს ისინიც ჩვენს 26 მაისს დღე სასწაულობენო, ისე ფუსფუსით და ერთის ყოფით ლულუნებდნენ... — დღეს 26 მაისია — გავივლ გულში და ფიქრებმა საყვარელ სამშობლოს მიღამოებში გადაიქროლეს.. რა ზე-

აღფრთხილებს აფეთქება იმ დღეს... ნეტავ იმ დღეს და იმ სიხარულს... ნეტავ იმ მაჯის ცემას და ამაღლებულ, განახლებულ ქართულ სულის.

30 წელმა გაიზინა მისი დაკარგვის შემდეგ მაგრამ მე მგონია თითქოს ეს მოხდა ორიოდ წლის წინად. დილოვცა, უფალო შენი სამართალი! მაგრამ ნეტავ რა დავაშავეთ, რომ ასე უსამართლოდ მოგწყდით სამშობლოს მკერდს და შორ გაფანტულნი უცხო მიწებზე უპატრონოდ ვეხეტებით!? ტელეფონის ზარის წკარუნმა გამომადგინა... მზის ცხოველი სხივები უკვე კარგად დაფრქვეოდნენ ჩვენი ფანჯრის მინებს. ავდექით. საოცნებო ამინდა იყო. დილიდანვე ემჩნეოდა რომ ცხელი დღე გვექნებოდა და ჩვენს დიდ „ავოკადოს“ ხის ძირში, სადაც მუდმივად სდგას კარგა მოგრობი მაგიდა, ხისავე სავარძლებით, ვადავწყვიტეთ ვაგვეშალა სუფრა. მალე შ. მარგველაშვილი და დუმბაძეც მოგვეშველა... უცნაურია ეს ავოკადოს ხეები. მთელი წელიწადი გაფოთილი არიან და მხოლოდ გაზაფხულზე იცვლიან ფოთლებს, და, აი, ჩვენი მაგიდის ზემოდ, ტოტების ძველ ფოთლებს ახალი, ნორჩი ყლორტების კვირტები აწვებიან — კონწში სწყვიტენ; დაბერებული, შეყვითლებული ფოთლებიც პეპლებით დაჰფრენენ ჰაერში და ნელინელ ეშვებიან ჩვენი მაგიდის ირგვლივ. „პო, პო პოოო... რა სუფრაა“, გაისმა მხიარული ხმა ახალ მოსული სტუმრებისა: ეხლა ჩიქვინიდე და ბაბიშვილი შეგვემატნენ და ჩვენც შევუდგიით „საქმესა სალხინოსა“..

— „ძვირფასო თანამემამულენო, — დავიწყე მე — მოგილოცავთ 26 მაისს, ქართველი ერის აღორძინებისა და ქართული ცხოვრების განახლების ამ დიად დღეს. მართალია, ეს სასიხარულო დღე ხანმოკლე აღმოჩნდა და ჩვენს სიხარულს მალე შეეკვეცა ფრთები, უპირო მტრებმა ხელიდან გამოგვგლიჯეს ქართული დროშა, მაგრამ ვერავითარმა ტლანქმა და სისხლიანმა ძალამ ვერ შეძლო მისდამი სიყვარული გულიდან ამოგვლიჯათ ქართველი ერიისათვის და დღეს ყოველი ქართველი, სადაც არ უნდა იყოს იგი, ციხეში თუ კარში, ციმბირში თუ ოკეანეთა აქეთ, ყველგან ზეიმით ხვდება ამ საყვარელ დღეს, როგორც აი, აქ ჩვენ.. ამ დღის კეთილდღეობას იმდენი მსხვერპლი შეეწირა იქ და ამ დღემ იმდენი ჩვენისთანა ქართვე-

გავფანტა უცხო მიწაყალზე, რომ თითქოს მას ქვებსა და გუნდებს უნდა ეგვროდეთ, მაგრამ დახეთ! ... იგი მხიარულად შემოიჭრა ძლიერად ყველა ჩვენთაგანის გულში და რაღაც ანდამატური ძალით მოგვხიბლა. იგი გვაპყრებს ტკბილ, სასიამოვნო სურნელებას, რომელიც ჩვენ სულს ახარებს და ატკბობს. განა ქრისტი რომ ეწამა, ეს არ არის მთავარი მიზეზი, რომ მისი მცნება ესოდენ სიყვარულით გავრცელდა?! დიაჰ! განაწამებმა ქართველმა ერმა ჩვენ შეგავყვარა ეს მისი ისტორიული, დიადი თავისუფლების დღე და „დიდება“ ამ დღის აღორძინებას. დიდებულ ქართველ ერს და მის მისწრაფებას თავისუფლებისაკენ...“. ჩიქები სწრაფად იცლება და „დიდებას“ ვიმღერით. შემდეგ სიტყვას ამბობს ლედა, მარგველაშვილი, დუმბაძე, ჩიქვინიდე „ბაბიშვილი... ჩვენი მრავალჟამიერ მალალ ავოკადოს ტოტებს სწვდებოდნენ და გამოძახილი უკანვე გვიბრუნდებოდა. ჩიტები, ხის კენწეროზე რომ ისხდნენ, გვისმენდნენ და როდესაც „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“ ვიმღერეთ — ისინიც ატკიპიკდნენ: არ ვიცი, მოსწონდათ თუ არა, ხოლო არც ერთი მათგანი არ დამფრთხალა და არ გაფრენილა... როგორც ხედავთ, ჩვენც გავქონდა ჩვენი პატარა, მაგრამ გულწრფელი ზეიმი ამ დიდი დღის აღსანიშნავად....

ბ. პაპ.

* კალიფორნიაში, სან - ფრანცისკოში (ცხოვრობს ოჯახითურთ, ჩვენი თანამემამულე, თ-დი ნ. ჩხოტუა, რომელიც სამწროლო მუშაობას ეწევა და ამით ქართული კულტურის გავრცელების საქმეს დიდ სამსახურს უწევს.

მისი პირველი რომანი გამოიცა 1949 წ. შემდეგი სათაურით — ტ. მელეს — და ყურადღება დაიმსახურა. ჩვენთვის ის რომანი იმითაც არის შესანიშნავი, რომ შიგ შენივრად და მხატვრულადმა გაცხოველებული ქართველი ერის ტრადიციები, მისი ხალხის ზნეჩვეულება და აღწერილია ჩვენი ქვეყნის მომხიბლავი ბუნება. მან დაამთავრა მეორე წიგნიც, რომელიც ახლო ხანში უნდა დაიბეჭდოს.

● სან-ფრანცისკოშივე იმყოფება აგრეთვე მეორე თ-დი ზურაბ ჩხოტუა: თავისი ოჯახით. იგი ენერგიულ მუშაობას ეწევა ჩრდილო-ამერიკის საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრის დაინტერესები-

არის ამავე დროს საქართველოს ეროვნული. მთავრობის წარმომადგენელი ჩრდილოეთ ამერიკაში.

● რამოდენიმე ხნის წინად ხაზბინიდან სანფრანცისკოში მოვიდა ზ. ჩოქოშვილი, რომელიც სათანადო მზრუნველობას იჩენს ქართული კულტურისათვის. საქართველოში ბ-ნი ი. მერაბიშვილი კინო - მსახიობად მოღვაწეობდა.

ნიუიორკი

ნიუიორკში ჩვეულებსამებრ გადავიხადეთ 26 მაისის დღეობა.

ბრაზილია

სანპაოლოში ვართ მხოლოდ რამოდენიმე კაცი, სულ ექვსი. ძალიან გვახარებს არგენტინის ქართული საზოგადოების მოღვაწეობა. მივიღეთ ქართული ყურნალი „მამული“. იმ ქარხნებში, სადაც ჩვენ ვმუშაობთ ბევრი უცხოელი არის და არავის თითქმის საქართველოსი არა გავგება რა. როდესაც ყურნალი მივიღეთ, ყორა გოგიშვილმა მეორე დღისვე თაატარა ქარხანაში და ყველას აჩვენებდა — აი, ჩვენ ვინა ვართო!

26 მაისს შინაურულად შეგხვდით და მოვიგონეთ ქართველი ერის ეს დიდი დღე.

გ. ნ.

პერუ

პერუში მყოფი ქართული საზოგადოება სალამს უძღვნის არგენტინის ქართულ საზოგადოებას და საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიულოცავს. — ჩვენი ქართული კოლონია პერუში პატარაა, მაგრამ ვცხოვრობთ ძმურად. აქ ვართ მხოლოდ ორი ქართველი. მე თავჯდომარე და ი. კველიშვილი კი — მდივანი. პერუში არავინ არ იცის — სად და რა არის საქართველო, სამწუხაროდ! და ამის გამო აქ მუშაობა ძნელია. ველოთ უკეთეს დღეებს. კოლონიის სახელით — **ა. ამილახვარი.** მდივანი — **ი. კველიშვილი.**

გერმანიაში

● ამა წლის 3 ივნისს ბეარისს დედაქალაქ მუნენხენში გაიმართა — „ერების ანტიბოლშევიკური ბლოკის“ დიდი ყრილობა, რომელიც გაიხსნა ბ. ნიკო ნაკაშიძის სიტყვით, რომელმაც სხვათა შორის სთქვა — მსოფლიოს გადასარჩენად საკმარისი არაა მარტო ბოლშევიზმის დამხობა, რომელიც რუსული იმპერიალიზმის მეორე სახეა, — საჭიროა აგრეთვე განუსაზღვრელი რუსული იმპერიალიზმის განადგურებაცო. მისმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა და აღფრთოვანება გამოიწვია.